საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geoworld.ge
№16 (345)
27 აპრილი - 10 მაისი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

«საქართველო და მსოფლიოს» შემდეგი ნომერი გამოვა 11 მაისს

დეკანოზი დავითი (ისაკაძე):

## მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილებას გეგმავს მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, რომელიც ვატიკანიდან იმართება...

7



კონგრესმენი სტივ რასელი ერაყში

## «საქართველოს წინააღმდეგ მზადდება შეთქმულება, რომელიც ქვეყანას საშინელ მომავალს უქადის»

8



10

## ვისგან სჭირდება დაცვა პრემიერს?

ახლა რა ვქნათ — დავივიწყოთ ის, რაც 10 წლის წინათ ხდებოდა, მაგრამ არ დავივიწყოთ ის, რაც 100 წლის წინათ ხდებოდა?არ ვილაპარაკოთ იმაზე, ვინც ცოცხალია და ოდესიდან დღემდე იმუქრება ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევით და ვილაპარაკოთ იმაზე, ვინც 60 წლის წინათ გარდაიცვალა?

## «ივანიშვილსა და «ოცნებას», მიუხედავად პროდასავლური პოლიტიკური კურსისა, წყალი აქვთ შეყენებული»

5

# მაპ-ი მათი არსობისა




4

2

«რა პაატა ბურჭულაძე, რის პაატა ბურჭულაძე... უმი კვერცხი ყლაპოს უზმოზე»

6

ულმერთო დემოკრატიის შუქურა, ანუ თქვენი ხლისტი დედა ვატირე, თქვენი!

«ვეფხისტყაოსნის» სვანურად თარგმნის ზოგიერთი საკითხისათვის

16

18

დომინიკის რესპუბლიკის კათოლიკე ეპისკოპოსი აშშ-ის ელჩს პედერასტს ეძახის

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## «ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილება კეზერაშვილის ექსტრადირებაზე პროკურატურამ არ გაასაჩივრა»

**ადვოკატ შოთა მინდელის განცხადებით, ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილება თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილის ექსტრადირების თაობაზე საქართველოს პროკურატურამ არ გაასაჩივრა.**

ადვოკატის განცხადებით, პროკურატურამ გასაჩივრების ვადა ხელიდან გაუშვა და, შესაბამისად, ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პროკურატურას დავით კეზერაშვილის ექსტრადირებაზე უარი ეთქვა, ძალაში შევიდა.



## «რა პაატა ბურჭულაძე, რის პაატა ბურჭულაძე... უმი კვერცხი ყლაპოს უზმოზე»

**მწერალი მერაბ შათირიშვილი საოპერო მომღერლის, პაატა ბურჭულაძის, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას სოციალურ ქსელში ასე გამოეხმაურა:**

„რა პაატა ბურჭულაძე, რის პაატა ბურჭულაძე, რა რეიტინგი, რის რეიტინგი, ბოლოს და ბოლოს, მომღერალია და, თუ ხმა გაუფუჭდა, დილდილობით უმი კვერცხი ყლაპოს უზმოზე. რომელი პოლიტიკოსი ეგ მყავს ან რა რეიტინგობის ჭია შეუჩნდა?! ხელი მოითბო ფარისევლური „ქველმოქმედებით“ — ფული იშოვა და ხელისუფლება მოუნდა?.. **სად იყო მაშინ, მიშას დესპოტიზმი უკანალებს რომ აზანზარებდა, საკუთარ უკანალს გაუფრთხილდა?..** ეს ქვეყანაა თუ „სბროდია“, ვერ გამიგია, გიჟები ვართ თუ უკვე შიზოფრენიის ზღვარს გავეცალეთ და პათოლოგიური პოლიტიკომანიით შეპყრობა გვჭირს?.. ვის ეკითხებიან და სად ატარებენ გამოკითხვას. მე მკითხონ, ვინ არის ეს ოპერმუშაკი — ერთი ჯიბიდან გავარდნილი ფასიანი პატრიოტია და, მოდი, ჩავაბაროთ ქვეყანა პაატა ბურჭულაძეს, მერე ვიმღეროთ და ვიმღეროთ არიები....ვაი, ჩვენს გათხელებულ პატრონს, უბედურს!“

# ევროპარლამენტარის ულტიმატუმი: სანამ საქართველოსთან უვიზო რეჟიმი ამოქმედდება, მერაბიშვილი და უგულავა უნდა გათავისუფლდნენ

**არჩევნები მოახლოვდა და სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის დასავლელი მხარდამჭერები და ლობისტები გააქტიურდნენ, თანაც ისე, რომ საქართველოს ხელისუფლებას დაუფარავად კარნახობენ, როგორ უნდა მოიქცნენ და რა გააკეთონ, ქართველი ხალხის აზრი კი ჩირადაც არ უღირთ. ამის ნათელი დადასტურებაა ევროპის სახალხო პარტიის წევრის განცხადება, რომლის თარგმანიც ტელეკომპანია „იმედმა“ გაავრცელა:**

**ევროპის სახალხო პარტიის წევრმა იაცეკ საირუშ ვოლსკიმ ბრიუსელში ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ სანამ საქართველოსთან უვიზო რეჟიმი ამოქმედდება, მერაბიშვილი და უგულავა უნდა გათავისუფლდნენ.**



როგორც სახალხო პარტიის დეპუტატმა აღნიშნა, მოითხოვს, რომ საქართველოს უვიზო მიმოსვლის საკითხი არჩევნების დასრულებამდე გადავადდეს.

„ქართველი ხალხი იმსახურებს უვიზო რეჟიმს, მაგრამ საქართველოს მთავრობა ჯერ კიდევ არღვევს ევროპულ სტანდარტებს. არის პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავების შემთხვევები, მაგალითად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ყოფილი თავდაცვის მინისტრის და თბილისის ყოფილი მერის. ადგილი აქვს დამოუკიდებელი ტელევიზიის — „რუსთავი 2“-ის შევიწროებას. ასე რომ, სანამ უვიზო რეჟიმი ამოქმედდება და საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, საქართველომ ეს სტანდარტები უნდა გააუმჯობესოს. მხოლოდ ამის შემდეგ დაიმსახურებს საქართველო უვიზო რეჟიმს. ამისთვის კი უნდა გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები. ჩვენ ვითხოვთ მერაბიშვილისა და უგულავას გათავისუფლებას, ასევე „რუსთავი 2“-ის მიმართ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას“, — განაცხადა იაცეკ საირუშ ვოლსკიმ.



## ნატოში აშშ-ის წარმომადგენელი: უახლოეს მომავალში ალიანსის გაფართოების შანსი არ არსებობს

**„უახლოეს მომავალში ნატოს გაფართოების შანსი არ არსებობს, რადგან არის საშიშროება, რომ ეს რუსეთის დესტაბილიზაციას გამოიწვევს“. როგორც სააგენტო „როიტერი“ იუწყება, ეს ნატოში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა დუგლას ლიუტმა ლონდონში უსაფრთხოების ფორუმზე განაცხადა.**

„მე ვერ ვხედავ ბევრ შესაძლებლობას ნატოს შემდგომი გაფართოებისთვის უახლოეს მომავალში, უახლოეს რამდენიმე წელიწადში ან, შესაძლოა, უფრო მეტ ხანსაც კი“, — განაცხადა ლიუტმა. მისი აზრით, სტრატეგიული ვითარება ჯერჯერობით არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ნატო გაფართოვდეს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი კვლავ ღია რჩება ახალი წევრებისთვის, მაგრამ მათ მისაღებად ნატოს 28-ვე წევრი ქვეყნის თანხმობაა საჭირო, რაც ამჟამად მოსალოდნელი არ არის.

„არ არის არანაირი გზა, რომ უახლოეს მომავალში მივაღწიოთ კონსენსუსს საქართველოს ან უკრაინის მიღების საკითხზე“, — განაცხადა დუგლას ლიუტმა.



## «სააკაშვილს აქვს დაბრუნების შანსი, მაგრამ გააჩნია, რა ფორმით»

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თამაზ მეჭიაურის აზრით, „ნაციონალურ მოძრაობას“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს.**

რაც შეეხება ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შესაძლო დაბრუნებას, მეჭიაურის თქმით, „სააკაშვილს დაბრუნების შანსი აქვს, მაგრამ გააჩნია, რა ფორმით“. კითხვაზე, სააკაშვილის დაკავებას თუ გულისხმობს, მეჭიაური პასუხობს, რომ „არც ეს არის გამორიცხული“.

მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდგომ საქართველოში დაბრუნდება. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ არჩევნებს „ნაციონალური მოძრაობა“ მოიგებს.

**გია ვოლსკი:**

# ციხეებში მდგომარეობის გაუარესებაზე საუბარი ამ კვლევების ავტორიტეტულობის ერთ-ერთი ინდიკატორია

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის — გია ვოლსკის განცხადებით, „ენ-დი-აი“ და „აი-რა-ი“ ისეთი ქართული ორგანიზაციების მომსახურებით სარგებლობენ, რომელთა კვლევითი თუ საინფორმაციო საშუალებების სრული ზედამხედველობა და მართვა ხორციელდებოდა“.**



ვოლსკის თქმით, საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებშიც კვლევების მიმართ უნდობლობის ასეთი მაღალი ხარისხი არ უნდა ნიშნავდეს, რომ დასკვნები არ გაკეთდეს და სიღრმისეულად არ იქნას შესწავლილი, თუნდაც უნდობლობის მიზეზები, რაც ამ კვლევის მიმართ არსებობს. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი რამდენიმე გარემოებას უსვამს ხაზს, მათ შორის 2012 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნების შედეგებსა და კვლევის შედეგებს შორის სხვაობას და კოალიციაში პოლიტიკური კონფიგურაციის ცვლილებას.

„უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც რთული, მაგრამ პრობლემათა აღმოფხვრის ტენდენციებით. სამწუხაროა, რომ პატარა ქვეყანას, საქართველოს, არ აქვს იმდენი რესურსი, რომ გაუმკლავდეს მსოფლიო მასშტაბის ომით გამოწვეულ პრობლემებს, მაგრამ გაუმჯობესების ტენდენცია აშკარაა. ეს ყველაფერი კვლევების დროს ნაწილობრივ აისახება, ნაწილობრივ დაკარგულია რეალური ვითარება. თუნდაც ის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ციხეებში მდგომარეობის გაუარესებაზე საუბრობს, ამ კვლევების ავტორიტეტულობის ერთ-ერთი ინდიკატორია. საჭიროა მუშაობა. კვლევები, ინდიკატორი, სტატისტიკური მონაცემები საკმარისი აქვს ხელისუფლებას... კვლევები აუცილებელი, საჭირო და საყურადღებოა. თუნდაც ნდობის დაბალი ხარისხით, ეს კვლევები იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას. ხელისუფლებას საკმარისი რესურსი აქვს, რომ ამ დასკვნების რეალიზაცია მოახდინოს“, — განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ გია ვოლსკიმ.

**კახა კალაძე:**

# «ენ-დი-აისა» და «აი-რა-ის» მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები საფუძვლიან ეჭვს იწვევს

**ამერიკული ორგანიზაციების მიერ ჩატარებილი კვლევების კომენტირებისას ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოსახლეობის გამოკითხვას აწარმოებენ არა უშუალოდ აღნიშნული ორგანიზაციები, არამედ ქართული კომპანიები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან.**



„რაც შეეხება „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“, ჩვენ ამ ორგანიზაციებს პატივს ვცემთ. ისინი დიდ როლს თამაშობენ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში, მაგრამ კვლევა არის სპეციფიკური მიმართულება. ამას სჭირდება პროფესიონალი ადამიანები. როგორც ცნობილია, თვითონ ეს ორგანიზაციები არ ახორციელებენ კვლევით სამუშაოებს ველზე, სადაც ხდება ადამიანების გამოკითხვა. ამას აკეთებენ ქართული კომპანიები, რომლებიც არიან „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები. საფუძვლიან ეჭვს, რომ არ ვენდო აღნიშნული კვლევის შედეგებს, მაძლევს ისიც, რომ მათ მიერ 2012 წლიდან ჩატარებულ ყველა კვლევაში ცდომილება არის დაახლოებით 30-40%. ეს არის კატასტროფა. მაშინ, როცა გვეუბნებიან, რომ ცდლომილების საშუალო მაჩვენებელი 2%-ს შეადგენს, ეს იწვევს საფუძვლიან ეჭვს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «საფრანგეთი და სამხრეთი ევროპის ქვეყნები ევროზონიდან უნდა გავიდნენ»



**გერმანიის პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ლიდერებმა — იორგ მოიტჰენმა და ალექსანდერ გაულანდმა, განაცხადეს, რომ „საფრანგეთი და სამხრეთი ევროპის ქვეყნები ევროზონიდან უნდა გავიდნენ“.** „ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს საერთო ვალუტა ნიდერლანდებთან, ავსტრიასთან, ფინეთთან ან ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, ვინაიდან ამ ქვეყნებს სტაბილურობის ისეთივე კულტურა აქვთ, როგორც ჩვენ. საფრანგეთი და სამხრეთი ევროპის ქვეყნები კი ევროზონიდან უნდა გავიდნენ“, — აღნიშნეს გერმანელმა პოლიტიკოსებმა. „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილი მემარჯვენე რადიკალური პარტიაა გერმანიაში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაარსდა.

## «ბი-ბი-სის» სკანდალური დოკუმენტური ფილმი:

# «ბოინგი MH17» უკრაინელმა სამხედროებმა ჩამოაგდეს?

**3 მაისს „ბი-ბი-სის“ განზრახული აქვს, აჩვენოს ფილმი დონბასში მალაიზიის „ბოინგის“ კატასტროფის შესახებ. მედიაკორპორაციის აზრით, დოკუმენტურ ფილმში წარმოდგენილია ვერსია, რომელიც განსხვავდება ოფიციალურისგან.**

ფილმში გამოყენებულია ჩვენებები ტრაგედიის მოწმეებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მალაიზიის „ბოინგი“ ჩამოგდებულია არა საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკის“ რაკეტით, არამედ უკრაინულ თვითმფრინავიდან გასროლილი რაკეტით.

„ბი-ბი-სის“ მოჰყავს სიტყვები დონბასელი **ნატალია ბერონინასი**, რომელიც ყვება, რომ ავიაკატასტროფამდე რამდენიმე წამით ადრე ორი თვითმფრინავი დაინახა და ერთ-ერთი მათგანი აფეთქების შემდეგ უკან გაფრინდა.

გერმანელი ჟურნალისტის — **ბილი სიქსის** თქმით, ის ესაუბრა 100 მოწმეს, მათგან 7 ამბობს, რომ საკუთარი თვალით ნახა სამხედრო თვითმფრინავი „ბოინგთან“ ახლოს. უფრო მეტიც — არსებობს ვერსია, რომ სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა გამოიწვია „ტერორისტულმა ოპერაციამ“, რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორგანიზებით ჩატარდა რუსეთის დისკრედიტაციისთვის.



**გერმანელი ჟურნალისტის — ბილი სიქსის თქმით, ის ესაუბრა 100 მოწმეს, მათგან 7 ამბობს, რომ საკუთარი თვალით ნახა სამხედრო თვითმფრინავი «ბოინგთან» ახლოს. უფრო მეტიც — არსებობს ვერსია, რომ სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა გამოიწვია «ტერორისტულმა ოპერაციამ», რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორგანიზებით ჩატარდა რუსეთის დისკრედიტაციისთვის**

მალაიზიის ავიახაზებით „ბოინგი 777“, რომელიც ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურში მიფრინავდა (რეისი MH17), 2014 წლის 17 ივლისს ჩამოვარდა დონბასში.

თვითმფრინავის ბორტზე 298 კაცი იმყოფებოდა. ყველა დაიღუპა.



## აშშ-ის ყოფილი სენატორი 50 წლით უმცროს მამაკაცზე ქორწინდება

**ამერიკის ყოფილმა სენატორმა დემოკრატიული პარტიიდან — ჰარის უოფორდმა განაცხადა, რომ 50 წლით უმცროს მამაკაცზე დაინიშნა. პოლიტიკოსმა თავისი ექსტრავაგანტური საქციელის მოტივზე გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში დაწერა.** 90 წლის უოფორდი 50 წლის განმავლობაში იყო დაქორწინებული, მაგრამ 20 წლის წინათ მისი ცოლი, სამი შვილის დედა, ლეიკემიით გარდაიცვალა.

თავის სტატიაში ყოფილი სენატორი წერს, რომ იმხანად, როცა 70 წლის იყო, ვერც კი იფიქრებდა ახალ სიყვარულს თუ შეხვდებოდა და კვლავ დაქორწინდებოდა, მაგრამ 5 წლის შემდეგ მოულოდნელად შეუყვარდა 25 წლის მამაკაცი. უოფორდი წერს, რომ უბრალოდ, ბედნიერია, ცოლის სიკვდილის შემდეგ მეორედ რომ ეწვია სიყვარული და იცოცხლა აშშ-ში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებამდე.

ჰარის უოფორდი დაიბადა 1926 წელს, 1960-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის პრეზიდენტ ჯონ კენედის მრჩეველი იყო ადამიანის უფლებების საკითხებში. 1991-დან 1996 წლამდე კი პენსილვანიის შტატს წარმოადგენდა სენატში.

# ევროპა მავთულხლართებში, ანუ ევროპის მომავალი რკინის ფარდის მიღმა

**„ევროკავშირი თავიდანვე იყო ჰაერში მოფარფატე ტაძარი, რომელსაც სახალხო საძირკველი არ ჰქონდა“, — ამბობს ორჰუსის (დანია) უნივერსიტეტის პროფესორი უფე ესტერგორდი გაზეთ „ვიკენდავისენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

**უფე ესტერგორდმა**, რომელიც ევროპული ცივილიზაციისა და ინტეგრაციის შესწავლის საკითხებით იყო დაკავებული, გულწრფელად აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა და უნივერსიტეტის პროფესურა ჟან მონეს გადააბარა.

ფრანგი **ჟან მონე** ევროკავშირის არქიტექტორად ითვლება, თვითონ ესტერგორდიც მრავალი წლის განმავლობაში თავგამოდებით უჭერდა მხარს ევროკავშირს, მაგრამ ორჰუსის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ამბობს, რომ ევროკავშირი აუხდენელი ოცნებების ნანგრევებად იქცევა.

ევროკავშირის შემაშფოთებელი მდგომარეობა აიხსნება არა მხოლოდ მიგრანტებით, ეკონომიკური კრიზისითა და ომებით, არამედ ეს გაერთიანება საფუძველშივე იყო არადემოკრატიული და ხალხებისთვის მავნე. ესტერგორდი განმარტავს, რომ ჟან მონეს არ სჯეროდა ხალხის და დაინტერესებული იყო მხოლოდ იმით, რომ ძლიერთა ამა ქვეყნისა ჰქონოდათ შესაძლებლობა, ნებისმიერი გზით გაეტანათ პროექტი „ევროპა“.



„შორიდან ისე ჩანდა, რომ წინ პატარა ნაბიჯებით მიიწევდნენ, მაგრამ სინამდვილეში უზარმაზარი ცვლილებები ხდებოდა.

მაგალითად, სახელწოდება ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება აღიქმებოდა, როგორც მხოლოდ ქვანახშირსა და ფოლადთან დაკავშირებულთან. სინამდვილეში კი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ქვანახშირისა და ფოლადის გამოყენება მხოლოდ საომრად შეიძლებოდა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას შიგა ბაზარზეც, სადაც ხორციელდებოდა სამუშაო ძალის თავისუფლად გადაადგილება, მაგრამ იქ იურიდიული უპირატესობა ჰქონდა ევროკავშირის სასამართლოს.

შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა, ეს მხოლოდ დანიის სახალხო პარტიის პროფკავშირულმა მოძრაობამ შეამჩნია.

დანიის სახალხო პარტიას ადანაშაულებენ, რომ მისი წევრები წარსულში ჩარჩენილი მეოცნებეები არიან, რომლებსაც არაფერი გაეგებათ ევროკავშირის პოლიტიკის. არადა, ეს პარტია ევროკავშირის პოლიტიკაში რეალიზმის შეტანის მოთხოვნით გამოდის. **ევროკავშირის მშენებლები კი პირიქით — მეოცნებენი არიან, რომლებიც აშენებენ თავიანთ დიდებულ ტაძარს, მაღალი სართულებით, კოშკის საათებით, ჰიმნებითა და მორთულობებით, თუმცა საძირკველი ჯერ ჩაყრილი არ არის. შენგენის ზონა საერთო სასაზღვრო პოლიტიკის გარეშეა, საერთო მონეტა საერთო ეკონომიური პოლიტიკის გარეშე და კეთილდღეობის მიღწევაც ერთობლივი პოლიტიკის გარეშე.**

მეთოდი, რომლითაც ევროპის შესახებ გადაწყვეტილებების მიმღები ელიტური მოღვაწეები ევროპის მოსახლეობის მხარდაჭერას მოიპოვებენ, მხოლოდ ევროპის ჩაკეტილი ციხესიმაგრის აშენებაა და მეტი არაფერი.

**რკინის ფარდით, მავთულხლართებით, პროჟექტორებითა და საგუშაგო კოშკებით, მრავალრიცხოვანი პოსტებით, ზღვაზე სასაზღვრო ხომალდებით, რომლებიც ლტოლვილებს შეაგროვებენ და გადაიყვანენ იმ ნაპირზე, რომლიდანაც მოვიდნენ“,** — აი ეს განაცხადა ადამიანმა, რომელსაც სწამდა ევროკავშირის და რომელმაც ნებისმიერზე მეტი იცის ევროპის ისტორიის შესახებ.





## სომხები ლვოვისთვის არიუცის დარქმევას ითხოვენ

**ლვოვში მცხოვრები სომხური თემი დასავლეთ უკრაინის ყველაზე დიდი ქალაქისთვის სახელის გადარქმევას ითხოვენ.**

ლვოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ვარდკეს არზუმანიანი ლვოვში მცხოვრები 6 ათასი სომხის სახელით ამბობს, რომ ქალაქის ადმინისტრაციას გაეგზავნება წინადადება ლვოვისთვის სახელის შეცვლისა და მისთვის არიუცის დარქმევის შესახებ.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ ეს ნაბიჯი იქნება „ჯეროვანი დაფასება იმ სომხებისა, რომლებმაც ეს ქალაქი დააარსეს, აგრეთვე, სხვა ლვოველი სომხებისა, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქალაქის განვითარებაში. თანაც, არიუცი უკრაინულადაც და სომხურადაც ლამაზად გამოითქმის“.

**ისტორიულ წყაროებში ლვოვი პირველად მოხსენიებულია 1256 წელს. ქალაქი დააარსა თავადმა დანიილ გალიცკიმ და მას შვილის — ლევ დანიილის ძის პატივსაცემად ლვოვი უწოდა.**

ლვოვში, სადაც ამჟამად 900 ათასი კაცი ცხოვრობს, ბევრი არქიტექტურული ძეგლია, მათ შორის, სომხური ეკლესია, რომელიც სომეხი ვაჭრების სახსრებით ააშენეს 1363 წელს.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ყველასთვის ცხადია, რომ ვარშავაში საქართველო ვერ მიიღებს ვერც მაპს და ვერც (მით უმეტეს) წევრობას, რადგან ამას ევროპის წამყვანი ქვეყნები ეწინააღმდეგებიან.**

# მაპ-ი მათი არსობისა

**ნატოს სამიტამდე საკმაო დრო რჩება. ის ვარშავაში 8-9 ივლისს უნდა გაიმართოს, მაგრამ თემა თანდათან „ხურდება“ და კეთდება განცხადებები, რომელთა ნაწილმა შეიძლება სააკაშვილის მმართველობის წლები და მის მიერ ილუზიების მართვის მცდელობები გაგვახსენოს.**




„საქართველო ვარშავის სამიტზე გაწევრიანების სამოქმედო გეგმას (შემდგომში მაპ-ი — ავტ.) ითხოვს. თავდაცვის მინისტრი ალიანსის ლიდერებთან და პარტნიორებთან შეხვედრებს სწორედ ამ დღის წესრიგით იწყებს.“ (სტილი დაცულია— ავტ.) — გვამცნობდა 2015 წლის 1 ივნისს თავდაცვის სამინისტრო თავის პრესრელიზში, რომელიც **თინა ხიდაშელისა** და ნატოს გენერალური მდივნის — **იენს სტოლტენბერგის** შეხვედრას აღწერდა. 2016 წლის 19 აპრილს კი ხიდაშელი შემდეგ მოსაზრებამდე მივიდა: **„ჩვენ ვითხოვთ არა მაპ-ს, არამედ წევრობას“** (“ინტერპრესნიუსი”). **უნდა ვივარაუდოთ, რომ შარშან მოხდა რაღაც პრინციპულად მნიშვნელოვანი, რამაც თავდაცვის მინისტრის პრიორიტეტები შეცვალა. ხიდაშელის ვრცელი განცხადება ამავე თემაზე მის პოზიციას სიცხადეს არ ჰმატებს** (უფრო პირიქით):

„მაპ-ი არის ერთგვარი წარსული საქართველოსთვის. 2015 წლის დეკემბრის მინისტერიალზე, პრინციპში, ეს ასეც ითქვა, რომ მაპ-ი გახდა პოლიტიკური პროცესების ნაწილი და მას არავითარი საერთო აღარ აქვს პრაქტიკულ ინსტრუმენტებთან. შეგახსენებთ, დოკუმენტში ცალსახად ჩაიწერა, რომ საქართველოს აქვს ყველა ინსტრუმენტი გაწევრიანების გზაზე. გაწევრიანების გზაზე მაპი-ი არ არის ამოცანა, ჩვენთვის ამოცანა გაწევრიანებაა“.

**ყველასთვის ცხადია, რომ ვარშავაში საქართველო ვერ მიიღებს ვერც მაპს და ვერც (მით უმეტეს) წევრობას, რადგან ამას ევროპის წამყვანი ქვეყნები ეწინააღმდეგებიან.** „არ არის არანაირი გზა, რომ ჩვენ უახლოეს მომავალში მივაღწიოთ კონსენსუსს საქართველოს ან უკრაინის მიღების საკითხზე“, — განაცხადა გასულ კვირას აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოში — **დუგლას ლიუტმა.** ალიანსმა შეიძლება მოძებნოს ახალი შუალედური სტატუსი საქართველოსა და უკრაინისთვის — „ასოცირებული პარტნიორობა“, მაგრამ მას **„გაღრმავებული მეგობრობა“ და „აფილირებული ძმაკაცობა“ რომც უწოდონ, წევრობასთან საერთო არაფერი ექნება და ამით ნატოს ქვეყნები საკუთარ თავზე ორი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის დაცვის ვალდებულებას არ დაიკისრებენ.**

ცხადია, მაპ-ი არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მიზანი; ნატოს წევრობის მსურველი ქვეყნებისთვის ის მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა იმ ეტაპზე, რომელიც წინ უძღვის ალიანსში შესვლას. მაგრამ სააკაშვილის პროპაგანდამ, თავის დროზე, მაპისგან ერთგვარი კერპი შექმნა; **ხელისუფლების პირველი პირები იმხანად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მისი მიღება გარდაუვალია. შემდგომ, როდესაც ეს არ მოხდა, ისინი იძულებულნი შეიქნენ, უკან დაეხიათ და „მაპ-ზე უკეთესის“ მსგავსი სასაცილო ფორმულირებები მოეძებნათ, მაგრამ უკვე გვიანი იყო — მაპ-ის მიღება-არმიღება საქართველოს მოსახლეობისთვის ერთგვარი ინდიკატორი გახდა, რომლის მიხედვით ნატოში ინტეგრაციაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმატება-წარუმატებლობას აფასებს.** ხელისუფლებამ როგორი საინტერესო ახალი დოკუმენტებიც უნდა ჩამოიტანოს ნატოს სამიტებიდან, საზოგადოება ინტეგრაციის დინამიკას, სავარაუდოდ, ისევ მაპ-ის მიმართ შეაფასებს და, შესაბამისად, უარყოფითად განეწყობა. **ეს საკმაოდ ცუდია აშშ-ის იმიჯისთვის საქართველოში**, რადგან ამის თაობაზე სწორედ ვაშინგტონმა (ბუშის მმართველობის პერიოდში) შექმნა ქართულ ელიტაში გადაჭარბებული მოლოდინები. აქედან გამომდინარე, შემდგომ წლებში საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა დაახლოებით ასეთი შინაარსის მოსაზრება: **„ძია სემს არაფრის შნო არ აქვს“.** ამერიკელები ცდილობენ, გაანეიტრალონ ეს განწყობა და მათი მოკავშირეები საქართველოში დროდადრო ახერხებენ, ნეგატივი „მხდალი ევროპელებისკენ“ გადაამისამართონ. ალბათ, ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ სააკაშვილის მიერ დატოვებული პროპაგანდისტული ნაღმის დეაქტივაცია, რომელსაც პირობითად შეიძლება **„მაპ-ის მოლოდინი“** ვუწოდოთ. ამ შემთხვევაში ამერიკელებისა და ქართველი რესპუბლიკელების სურვილები ერთმანეთს ემთხვევა — **თინა ხიდაშელი ვერ გაიკეთებს „კარგ პიარს“ ვარშავაში, თუ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ისევ მაპ-ი დარჩება. სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის უცნაური შელოცვები „მაპ-ი ერთგვარი წარსულია“ და წევრობაზე აქცენტის გადატანა, რომლის მიღება, მართალია, კიდევ უფრო არარეალურია, მაგრამ, პროპაგანდის თვალსაზრისით, მასზე ყურადღების გამახვილება ამ ეტაპზე ნაკლებ დანაკარგებს დაუკავშირდება.** „მაპ-ის დავიწყება“ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს, ყოველი ახალი შეთანხმება „ძლიერ გაღრმავებული და უფრო სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ დიდ წარმატებად წარმოაჩინოს.

**ყველასთვის ცხადია, რომ ვარშავაში საქართველო ვერ მიიღებს ვერც მაპს და ვერც (მით უმეტეს) წევრობას, რადგან ამას ევროპის წამყვანი ქვეყნები ეწინააღმდეგებიან**

იმაზე, რომ ყოველივე ეს არა მხოლოდ ხიდაშელის პიარის პრობლემა, არამედ დიდი თამაშის ნაწილია, შეიძლება მიუთითებდეს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — **მევლუდ ჩავუშოღლუს** განცხადება იმავე თემაზე, რომელიც 19 აპრილს გავრცელდა: **„ამ საკითხს წამოვჭრი მაისში, ნატოს მინისტერიალის საბჭოზე, ბრიუსელში. რა თქმა უნდა, თურქეთს გარანტიის მიცემა არ შეუძლია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, საქართველო იმსახურებს ალიანსის წევრობას. აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და ის უნდა გახდეს ნატო-ს წევრი. მაპ-ის გარეშე ტექნიკურად ეს შესაძლებელია. რატომაც არა?! სავსებით დასაშვებია, რომ საქართველო პირდაპირ მოვიწვიოთ“** („რუსთავი 2“).

ტექნიკურად, რა თქმა უნდა, ყველაფერია შესაძლებელი, მათ შორის, ადამიანის კოსმოსში გაგზავნა ზარბაზნის მეშვეობით, როგორც ეს აღწერილია **ჟიულ ვერნის** ცნობილ რომანში, მაგრამ ამას რატომღაც არავინ აკეთებს და ისევ კარგად დაცდილ ტექნოლოგიებს იყენებს. თუმცა, აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: **ჩავუშოღლუს განცხადებამ მოულოდნელად გაამყარა ხიდაშელის პოზიციები სწორედ იმ მომენტში, როდესაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ყველასათვის ცხადია, რომ თურქების ინიციატივას ევროპელები (პირველ რიგში, გერმანელები) დაბლოკავენ, მაგრამ ანკარამ მაინც მიაღწია გარკვეულ წარმატებას: ა) აიმაღლა ავტორიტეტი ქართველი ატლანტისტების თვალში; ბ) ხელი შეუწყო ვაშინგტონისთვის აქტუალური „მაპ-ის პრობლემის“ გადაწყვეტას, რომელიც უფრო ფსიქოლოგიურ, ვიდრე პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მეორეხარისხოვანი ნამდვილად არ არის.** ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ნატოს ახალ ინიციატივებს ენთუზიაზმით შეხვდეს და არა — ჩვეული სკეპტიციზმით.

რუმინეთის თავდაცვის მინისტრი **მიხნია მოტოკი** (თინა ხიდაშელი მას 7 აპრილს ბუქარესტში ვიზიტისას შეხვდა) ვარაუდობს, რომ ვარშავის სამიტი მხარს დაუჭერს ნატოს ქვეყნების შავი ზღვის ფლოტის შექნას. რუმინულ სააგენტო „ჰოტნიუსთან“ საუბარში მან განაცხადა: „ეს ფორმულა ღია იქნება შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან მოკავშირეები, მაგრამ არიან პარტნიორები, მაგალითად, უკრაინა და საქართველო. და, რა თქმა უნდა, ღია იქნება მოკავშირეებისთვის, რომელნიც არ არიან შავიზღვისპირა ქვეყნები, მაგრამ რეგულარულ ან მუდმივ ნიადაგზე წარმოდგენილნი არიან შავ ზღვაში, მონაწილეობენ რა წვრთნებში ან სტუმრობენ პორტებს — მე, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს ვგულისხმობ“.

**თუ ეს იდეები რეალობად იქცევა, იმის ალბათობა, რომ ამ ჰიპოთეტური ფლოტისა და რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დაპირისპირება მკვეთრად დაძაბავს სიტუაციას რეგიონში, ძალიან მაღალია.** გამორიცხული არ არის, ამერიკულ ხომალდებს ამ კონტექსტში დაახლოებით ისეთივე დატვირთვა მიენიჭოს, როგორიც გერმანულ „გებენსა“ და „ბრესლაუს“ 1914-ში; ისინი გამოჩნდებიან კრიტიკულ მომენტში, რათა ძალთა ბალასში არსებითი ცვლილება შეიტანონ. ცხადია, პირდაპირი პარალელების გავლება ასი წლისწინანდელ სიტუაციასთან არ შეიძლება, რადგან ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებმა, ავიაციამ და რადიოელექტრონულმა საშუალებებმა ბევრი რამ შეცვალა, თუმცა ძირითადი სტრატეგიული იდეა შეიძლება უცვლელი დარჩეს.

ძნელი სათქმელია, ვინ დაუჭერს მხარს ამ ინიციატივას, მაგრამ **დავუშვათ, რომ მალე დაიწყება სამზადისი ამ ფლოტის ფორმირებისთვის და საქართველო პროცესებში აქტიურად ჩაერთვება. ნატოს ქვეყნებმა შეიძლება რამდენიმე ხომალდი გადმოგვცენ და მეზღვაურების გაწვრთნაში დაგვეხმარონ, ხელი შეუწყონ ჩვენი სანაპირო ინფრასტრუქტურის განვითარებას. მაგრამ, ამასთანავე, ყოველივე ეს გადაიქცევა ერთ-ერთ პრიორიტეტულ სამიზნედ რუსებისთვის იმ პირობებში, როდესაც ალიანსი ჩვენი დაცვის ვალდებულებას თავად არ დაიკისრებს.** მარტივად რომ ვთქვათ — **თუ იერიშს რუმინულ ან ბულგარულ პორტებსა და ხომალდებზე მიიტანენ, ნატოს ქვეყნები ალიანსის წესდების მე-5 მუხლის შესაბამისად იმოქმედებენ (თუ როგორ, ცალკე საუბრის თემაა), მაგრამ** ▶

**თინა ხიდაშელი ვერ გაიკეთებს «კარგ პიარს» ვარშავაში, თუ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ისევ მაპ-ი დარჩება. სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის უცნაური შელოცვები «მაპ-ი ერთგვარი წარსულია» და წევრობაზე აქცენტის გადატანა, რომლის მიღება, მართალია, კიდევ უფრო არარეალურია, მაგრამ, პროპაგანდის თვალსაზრისით, მასზე ყურადღების გამახვილება ამ ეტაპზე ნაკლებ დანაკარგებს დაუკავშირდება**

**ადვილი შესაძლებელია, „ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და ლეიბორისტების კოალიციამ საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა შექმნას და მთავრობის ჩამოყალიბების უფლება მიიღოს. ეს იქნება ხელისუფლების სამართლებრივი, კონსტიტუციური შეცვლა არჩევნების მეშვეობით — ყველაზე მეტად მისაღები შეერთებული შტატებისთვის.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ივანიშვილსა და «ოცნებას», მიუხედავად პროდასავლური პოლიტიკური კურსისა, წყალი აქვთ შეყენებული

**ბოლო დღეებია, საქართველოში აქტიურად მსჯელობენ „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე. ბევრი მას „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთად მიიჩნევს და სრულ უნდობლობას უცხადებს. საზოგადოების ფართო მასებში კი ამერიკული ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულმა მონაცემებმა, რბილად რომ ვთქვათ, გალიზიანება გამოიწვია.**



„ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს აღფრთოვანებით მხოლოდ ის პოლიტიკური ორგანიზაციები შეხვდნენ, რომლებიც ყველაზე პროამერიკულად ითვლებიან, რუსეთის მიმართ შეურიგებელი პოზიცია უკავიათ და აგრესიული რიტორიკით გამოირჩევიან. ესენია „ნაციონალური მოძრაობა“ და **ირაკლი ალასანიას** „თავისუფალი დემოკრატები“. ამავე კატეგორიაში შეგვიძლია შევიყვანოთ ბოლო პერიოდში „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტად ქცეული **შალვა ნათელაშვილის** ლეიბორისტული პარტია.

თუ კვლევის შედეგებს არაპროფესიონალის თვალით შევხედავთ, შესაძლოა, იგი „ნაციონალური მოძარობის“ დაკვეთადაც მივიჩნიოთ, მაგრამ საკითხის სიღრმისეულად გაანალიზების შემთხვევაში შეძლება იმ პოლიტიკური მიზნის ამოკითხვა, რომელიც საფუძვლად უდევს ამერიკული ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მათთვის მისაღები ვერსიის გამოქვეყნებას. აქ უკვე **ბრმისთვისაც ნათელია, რომ ეს ვერსია მხოლოდ შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური ინტერესების ამსახველია, ვინაიდან ნებისმიერ პატარა ქვეყანაში, რომელიც ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროშია მოქცეული, საგარეო პოლიტიკა და შიგაპოლიტიკური პროცესები ყოველთვის ურთიერთდაკავშირებულია.** აღნიშნული ორგანიზაციების დაკვეთით შესრულებული კვლევები და მისგან მიღებული შედეგები ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას რომ ემსახურება, ამ ორგანიზაციების სტატუსი და ფუნქციური დატვირთვაც მეტყველებს: „ენ-დი-აი“ და „აი-რა-ი“ წარმოადგენენ შეერთებული შტატების ორ წამყვან პარტიასთან (დემოკრატიული და რესპუბლიკური) აფილირებულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ამერიკის ფედერალური მთავრობა აფინანსებს, ანუ **ორივე ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი პოლიტიკური კლასის პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელია. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც ორივე ორგანიზაციამ თითქმის იდენტური შემოგვთავაზა, ამერიკის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონების სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის არის კონსენსუსი საქართველოში გარკვეულ სახელისუფლო ცვლილების განხორციელების შესახებ.** ამაზე მეტყველებს თუნდაც კვლევის ის პუნქტი, რომელშიც საუბარია საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში მოქმედი პარტიების რეიტინგებზე. სწორედ ამPპუნქტის მიხედვით მარტივია იმ პოლიტიკური სქემის გაშიფრვა, რომლის განხორციელებაც, სავარაუდოდ, აქვთ განზრახული. კერძოდ, მათი გეოპოლიტიკური ინტერესების სრულყოფილად განსახორციელებლად ხელისუფლებაში კოალიციურ რეჟიმში დააბრუნონ „ნაციონალური მოძრაობა“ შეერთებული შტატების საელჩოს ტოტალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად.

აი „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ კვლევების შედეგების საყურადღებო პუნქტი:

კითხვა — „რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?“

**„ენ-დი-აი“:**

**1. „ქართული ოცნება“ — 16%;**

**2. „ნაციონალური მოძრაობა“ — 15%;**

**3. ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ — 9%;**

**4. ლეიბორისტული პარტია — 5%;**

**5. „პატრიოტთა ალიანსი“ — 5%;**

**6. სხვა დანარჩენი — 3%-ზე ნაკლები.**

**„აი-რა-ი“:**

**1. „ქართული ოცნება“ — 19%;**

**2. „ნაციონალური მოძრაობა“ — 18%;**

**3. ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ — 11%;**

**4. ლეიბორისტული პარტია — 8%;**

**5. „პატრიოტთა ალიანსი“ — 4%.**

რადგან ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევის მიზანი საზოგადოებაში ამა თუ საკითხზე არსებული ტენდენციების გამოვლენაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ციფრებიც მომავალი არჩევნების წინ იმ ტენდენციის (პოლიტიკური მიზნის) გამოკვეთაა, რომლის მიღწევაც სურთ ამერიკელებს საქართველოში — ეს არის **„ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნება ხელისუფლებაში.**

ზოგს ეს შეიძლება ფანტაზიის ნაყოფად მოეჩვენოს, მაგრამ, თუ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის — **უილიამ რაინერის** მიერ შემუშავებული კოალიციური თეორიის მიხედვით გავაანალიზებთ, იგი სრულიად შესაძლებელია. როგორც რაინერი აღნიშნავს, პოლიტიკურ სისტემაში ბევრი პარტიის ფუნქციობის შემთხვევაში პარტიები იმოქმედებენ რაციონალური მოგების მიღების პინციპებიდან გამომდინარე. მისი აზრით, როდესაც პარლამენტში წარმოდგენილია პარტიათა ფართო სპექტრი, თანაც ისე, რომ არც ერთს არ აქვს აბსოლუტური უმრავლესობა, პარტიებს შორის საერთო პოლიტიკური მიზნის გამოკვეთის შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია, პირველ ადგილზე გასული პარტია უმცირესობაშიც აღმოჩნდეს.

ახლა ვნახოთ „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ კვლევის შედეგები **და მათი მონაცემების დაჯამებით მივალთ დასკვნამდე, რომ არ არის გამორიცხული, „ქართულ ოცნებას“ არჩევნების შემდეგ ხელისუფლების დათმობა მოუწიოს.** აქ გასათვალიწინებელია ისიც, რომ „ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და ლეიბორისტების უკან დგას ერთი და იგივე ძალა — შეერთებული შტატები და მისი მითითების შემთხვევაში **ზემოჩამოთვლილი პარტიები საკანონმდებლო ორგანოს შიგნით შექმნიან კოალიციას. ამ სცენარით პროცესების განვითარების შემთხვევაში, რაც „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ კვლევებშიც იკითხება, ადვილი შესაძლებელია, „ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და ლეიბორისტების კოალიციამ საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა შექმნას და მთავრობის ჩამოყალიბების უფლება მიიღოს.**

ეს იქნება ხელისუფლების სამართლებრივი, კონსტიტუციური შეცვლა არჩევნების მეშვეობით — ყველაზე მეტად მისაღები შეერთებული შტატებისთვის. თუ არჩევნების შედეგები და პოლიტიკური პროცესები მიუღებელი იქნება ამერიკელებისთვის, მათ შეუძლიათ ზემოქმედების სხვა ბერკეტები აამუშავონ — საერთოდ არ აღიარონ მათთვის და მათი სატელიტი პარტიებისთვის მიუღებელი არჩევნების შედეგები. როგორც მოგეხსენებათ, ნებისმიერ პატარა სახელმწიფოში არჩევნების საერთაშორისო აღიარება და იურიდიული ძალის მინიჭება დამოკიდებულია შეერთებული შტატების პოლიტიკურ პოზიციაზე, ვინაიდან, ფაქტობრივად, იგია უმრავლეს ქვეყანაში მმართველი ძალის მთავარი ლეგიტიმატორი. არჩევნების არაღიარებისა და გაყალბებულად გამოცხადების შემთხვევაში, როგორ სრულდება მმართველი პოლიტიკური ელიტის მოღვაწეობა, შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც საქართველოსა და უკრაინის მაგალითებიც კმარა.

როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, „ქართულ ოცნებასა“ და განსაკუთრებით — ბიძინა ივანიშვილს, მიუხედავად აღებული პროდასავლური პოლიტიკური კურსისა, წყალი აქვთ შეყენებული შეერთებულ შტატებში და ამერიკელები აუცილებლად შეეცდებიან საქართველოში ხელისუფლების როტაციას. როგორ გამოუვათ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ორივე ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი პოლიტიკური კლასის პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელია, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ორივე ორგანიზაციამ თითქმის იდენტური შემოგვთავაზა, ამერიკის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონების სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის არის კონსენსუსი საქართველოში გარკვეული სახელისუფლო ცვლილების განხორციელების შესახებ**

**ირაკლი უბილავა**

**რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ დარტყმის ქვეშ ქართული ხომალდები და საპორტო ქალაქები აღმოჩნდება?**

თეთრი სახლი ეძებს შუალედურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს, გაიძლიეროს სამხედრო-პოლიტიკური პოზიციები რეგიონში ისე, რომ რუსეთთან მწვავე კონფრონტაციამდე არ მიიყვანოს. ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ „ბაყაყის ნახტომების“ სტრატეგია, რომელსაც ამერიკელებმა მეორე მსოფლიო ომის დასკვნით პერიოდში მიმართეს. იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ შეეტიათ იაპონელების მიერ კარგად გამაგრებული კუნძულებისთვის წყნარ ოკეანეში (როგორც ეს ადრე ხდებოდა), ისინი მათ გვერდს უვლიდნენ, იკავებდნენ სხვა, ნაკლებად დაცულ კუნძულებს, იქ საჰაერო და საზღვაო ბაზებს აწყობდნენ და მათი გამოყენებით ახდენდნენ მთელი სექტორის იზოლაციას, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებდა „ციხესიმაგრე-კუნძულების“ აღებას. ნატო-საქართველოს სასწავლო ცენტრი, ერთი შეხედვით, ძალიან პატარა „ნახტომია“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთგვარ „საყრდენ პუნქტს“ ქმნის. **ამერიკული ტანკების გამოჩენა საქართველოში (მაისში, ერთობლივ წვრთნებზე) თითქოსდა, ასევე, პატარა „ნახტომი” იქნება, მაგრამ მასაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვება, ამჯერად სიმბოლურ სივრცეში. „ნატოს შავი ზღვის ფლოტის შექმნა“ გაცილებით დიდი „ნახტომია“ და მას შეიძლება რუსების მკვეთრი კონტრზომები მოჰყვეს, ამიტომ პირველ ეტაპზე საქმე შეიძლება მხოლოდ ერთგვარი „ჩანასახის“ შექმნით შემოიფარგლოს,** ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის სისტემების ჩამოყალიბებით, სწავლებების ჩატარებით და ა.შ. მაგრამ, ალბათ, ესეც უნდა განვიხილოთ, როგორც საკვანძო პოზიციის დაკავებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

**ორიენტაცია მაპ-ის, შემდგომ კი — წევრობის სწრაფ მინიჭებაზე ბუშისა და სააკაშვილის მმართველობისდროინდელი შეცდომა იყო, მისი მიღწევა ვერ მოხერხდა და ამერიკელები, ქართველი პარტნიორების დახმარებით, ცდილობენ ეს ეპიზოდი წარსულში დატოვონ. აგერ, თინა ხიდაშელი პირდაპირ ამბობს: „მაპ-ი არის ერთგვარი წარსული“.** სიტუაცია 180 გრადუსით შემობრუნდა — ადრე ნატოს აპოლოგეტებს მაპ-ზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ, დღეს კი ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ მას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ნატოს მოწინააღმდეგეები კი პირიქით — მიუთითებენ იმაზე, რომ მაპ-ის არმიცემა ხელისუფლების პროდასავლური პოლიტიკის (ყოველ შემთხვევაში, ნატოს ასპექტში) კრახის ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი ნიშანია. ამასობაში კი საქართველო უსაფრთხოების ყოველგვარი გარანტიების გარეშე ცხოვრობს და ამ ვითარების შეცვლის არანაირი წინაპირობა არ ჩანს.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თხა თხაზე ნაკლებიო და, „ქართული ოცნების“ გაზულუქებული მაღალჩინოსნების მსგავსად, სახალხო დამცველმაც 100-ათასიან ჯიპში ჩადო მურდალი უკანალი, შემდეგ კი ისეთი წლიური ანგარიში გაუმზადა პარლამენტს, რომ მსგავს თავხედობას, აშკარა მკრეხელობას, ვერც ერთი ყოფილი სახალხო დამცველი ვერ გაბედავდა...**

# უღმერთო დემოკრატიის შუქურა, ანუ თქვენი ხლისტი დედა ვატირე, თქვენი!

**რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ნება დართო რუსეთის დუმას, ყურადღება არ მიაქციოს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს იმ დადგენილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას. დეპუტატებს განზრახული აქვთ, შექმნან მსგავსი ვერდიქტების უარმყოფელი მექანიზმი. მათი აზრით, ეს მექანიზმი ამოქმედდება ხოდარკოვსკისთან დაკავშირებული ე.წ. იუკოსის საქმის, აგრეთვე, გეებისა და პატიმართა უფლებების მიმართ.**




„ვერანაირი კონვენციები, ვერც სტრასბურგის სასამართლოს პოზიცია ვერ გააუქმებს მათზე კონსტიტუციის პრიორიტეტულობას“, — მიუთითეს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა.

და იქვე:

**„თუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ქვეყნის ძირითად კანონს, მაშინ რუსეთის უფლებაა, რომ იგი არ შეასრულოს“**, — ნათქვამია რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 19 აპრილის განჩინებაში.

„ველური რუსეთის“ ასეთი თავხედობის გამო შეშფოთება-აღშფოთება ხეირიანად დამთავრებულიც არ ჰქონდათ „დემოკრატიული“ აშშ-ევროპის სამთავრობო თუ არასამთავრობო ნეოტროცკისტ ხლისტებს, რომ „ტოტალიტარული“ რუსეთი კიდევ უფრო „გათავხედდა“:

რუსეთის ახალ ომბუდსმენად დაინიშნა იურიდიულ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იუსტიციის გენერალი **ტატიანა მოსკალკოვა**, რომელმაც პირველივე განცხადებით აღშფოთება-შეშფოთების ახალი მიზეზი მისცა დასავლელ ნეოლიბერალებს — **„დასავლეთი ე.წ. ადამიანის უფლებებს შანტაჟის იარაღად იყენებს და დროა, ამას შევეწინააღმდეგოთ“...**

და იქვე: „ჩემი ქმედებების საგარეო პრიორიტეტი იქნება ეთნიკური რუსების უფლებების დაცვა ბალტიის სახალმწიფოებსა და უკრაინაში, ხოლო შინ მიგრანტთა პრობლემებსა და ხელფასის გაუცემლობაზე გავაკეთებ აქცენტებს“...

აი ასე — არც ერთი სიტყვა დასავლეთის ნებიერა ლგბტ-პედერასტებისა თუ რელიგიური სექტების უფლებების დაცვაზე(?!).

აქ ნოდარ დუმბაძის ერთი რომანის პერსონაჟის — სკოლის დირექტორის რეპლიკა მახსენდება: „როგორია ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში? — რა თქმა უნდა, პირიქით!“

**და მართლაც, რას ჰგავს „დემოკრატიულ-კაპიტალისტური“ საქართველოს ომბუდსმენის საქციელი? — მისი ზრუნვის საგანი, პედერასტებით დაწყებული და იეღოვას სექტით დამთავრებული, ყველა და ყველაფერი რომ არის, ქართული, ეროვნული ინტერესების გარდა, ვინმეს უკვირს?..**

ჯერ — **თხა თხაზე ნაკლებიო და, „ქართული ოცნების“ გაზულუქებული მაღალჩინოსნების მსგავსად, სახალხო დამცველმაც 100-ათასიან ჯიპში ჩადო მურდალი უკანალი, შემდეგ კი ისეთი წლიური ანგარიში გაუმზადა პარლამენტს, რომ მსგავს თავხედობას, აშკარა მკრეხელობას ვერც ერთი ყოფილი სახალხო დამცველი ვერ გაბედავდა...**

როგორც ბოროტი ენები ამბობენ, თვითონ ბაპტისტი ბრძანდება ჩვენი ტანკენარ-პირმშვენიერი ომბუდსმენი და, სხვა ეშმაკეულ სექტებსა და ლგბტ-პედერასტებს რომ გადაეფარებოდა, აბა, რა გასაკვირია?! მაგრამ **გაგონილა, რომ რელიგიურ დისკრიმინაციად, შეურაცხყოფად მონათლო ქართული საჯარო სკოლის მოსწავლეების ექსკურსიაზე წაყვანა სვეტიცხოველში, ვარძიაში, ბეთანიაში და ა.შ.** ერთი სიტყვით, იქ, სადაც თავის დროზე დავყავდით ჩვენს მასწავლებლებს?

**თურმე რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ყოფილა, თუ მარიამის წილხვედრ საქართველოში მართლმადიდებლობის ისტორიულად განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე ესაუბრება მასწავლებელი მოსწავლეებს, — ხომ შეიძლება, კლასში სხვა აღმსარებლობის ბავშვებიც იყვნენ და სვეტიცხოველში წასვლა თუ მართლმადიდებლობაზე საუბარი მათი შეურაცხყოფა იქნებაო (?).**

ასე თვით ჩემი დროის „უღმერთო“ კომუნისტებიც კი არ აზროვნებდნენ და მით უმეტეს, ვერ გამიგია, რას როშავს ეს „ქვაზე დახატული ეშმაკის“ (ბატონი რეზო ამაშუკელის მიხედვით) მსგავსი არსება?!

მით უმეტეს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსი, კონკორდატის სახით, კონსტიტუციით არის გარანტირებული, მაგრამ...

**საქართველო ხომ „დიქტატორული“ რუსეთი არ არის, ის ხომ ნეოლიბერალური, ანუ უღმერთო დემოკრატიის შუქურაა კავკასიაში.**

**ეს ხომ ის პარლამენტია, რომელმაც დიმიტრი ლორთქიფანიძის მხარდამჭერი 70 ათასზე მეტი ხელმოწერა თავზე გადაგვახია ქართველ საზოგადოებას და, მრავალშვილიანი, მართლმადიდებელი ქართველის ნაცვლად, ეს ბაპტისტი სექტანტი დაგვასვა თავზე**

ჰოდა, როგორც დიდი **დოსტოევსკი** ბრძანებდა, თუ ღმერთი არ არსებობს, ყველაფერი შეიძლება!.. მათ შორის ყოველივე ზემოთქმულიც და ისიც, რასაც ქვევით ვიტყვი:

**ცანცარა ზაზა ბურჭულაძეები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უკანასკნელი სიტყვებით რომ ლანძღავენ, აფთარტურების ნაცვლად, მის გამომწყვდევას რომ ითხოვენ ზოოპარკის ვოლიერებში; ერეკლე დეისაძეები დედაეკლესიას რომ გვიგინებენ — ეს მხოლოდ უწყინარი ე.წ. გამოხატვის თავისუფლებაა, ხოლო პატრიარქისა და ეკლესიის დასაცავად ხმის ამოღება, ანტიდისკრიმინაციული კანონის ძალით, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა?**

მე თქვენი ხლისტი დედა ვატირე, თქვენი!

უკაცრავად მკითხველთან, მაგრამ რა ვქნა, მეც მაქვს ნერვები, უფრო ზუსტად, აღარ მაქვს ამ ხლისტების ბოგინის შემყურეს.

ზემოთ — ვერ გამიგია-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, რთული გასაგები არ არის საქართველოს სახალხო დამცველის ქმედებების მოტივაცია — **მსოფლიოს მმართველ ნეოლიბერალთა დავალებას ასრულებს ჩვენი ომბუდსმენი და, თუ დროზე არ მივუჩინეთ ადგილი, უფრო სწორად, როგორც ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ ბრძანა, თუ არ გავაძევეთ საქართველოდან ისიც და სრულიად ლიბერასტთა კრებულიც, მალე ჯვრების ტარებას აუკრძალავენ ჩვენს შვილებს, ემანდ მისი კლასელი ვინმე იეღოველი არ შეურაცხვყოთ; შემდეგ, როგორც ამას ნაწილობრივ მიაღწიეს დასავლეთში, უასაკო ყრმათა მონათვლასაც აგვიკრძალავენ და ა.შ.** და ეს ყველაფერი ჩვენი ამომგდები ანტიდისკრიმინაციული კანონის ძალით მოხდება!

ჩვენი ომბუდსმენის ეს მრავალგვერდიანი ანგარიში უკვე გაგზავნილია პარლამენტში და, როგორ გგონიათ, ზემორე დასმული კითხვები თუ ემოციები გაუჩნდება „მეოცნებე“ დეპუტატთა უმრავლესობას?

**ეს ხომ ის პარლამენტია, რომელმაც დიმიტრი ლორთქიფანიძის მხარდამჭერი 70 ათასზე მეტი ხელმოწერა თავზე გადაგვახია ქართველ საზოგადოებას და მრავალშვილიანი, მართლმადიდებელი ქართველის ნაცვლად ეს ბაპტისტი სექტანტი დაგვასვა თავზე.**

**ეს ხომ ის მეოცნებე პარლამენტია**, რომელსაც დღეს გაახსენდა, რომ ოჯახი ქალისა და კაცის ერთობა ყოფილა და, ყოველმხრივ გაკოტრებულმა, ახლა, წინასაარჩევნოდ, პოპულისტურად აიფარა კონსტიტუციაში ტრადიციული ოჯახის განსაზღვრების ჩაწერა.

**ეს ხომ ის პარლამენტია**, რომელმაც ერთხმად დაამტკიცა ანტიდისკრიმინაციული კანონი? კანონი, რომლის გამოც ხდება ყველა უბედურება (მათ შორის, ომბუდსმენის წლიური ანგარიშიც) საქართველოში დღეს და მოხდება ხვალაც!

ამიტომ **ქართველი საზოგადოება არ უნდა წამოვეგოთ ამ სატყუარას და, კონსტიტუციაში ოჯახის ინსტიტუტის განსაზღვრების ჩაწერასთან ერთად, საქართველოს დამღუპველი (ასე უწოდა მას ჩვენმა პატრიარქმა) ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებაც უნდა მოვითხოვოთ ამ თუ მომავალი პარლამენტისგან.**

**და ყველაზე მთავარი:**

**უნდა დავამსხვრიოთ სტერეოტიპი რუსეთისგან მტრის ხატის შექმნისა, რადგანაც საკითხავია, რა უფრო დიდი მტრობაა: ქვეყნის 22% ტერიტორიის დროებითი ოკუპაცია თუ ნეოლიბერალური იდეოლოგიის მიერ ქართული სულიერების 100%-ით სამუდამო ოკუპაცია?**

თუნდაც ვინმე არ მეთანხმებოდეს და რუსეთში მხოლოდ მტერს ხედავდეს, მივბაძოთ ამ მტერს და მის მსგავსად კანონმდებლობით ავკრძალოთ არასრულწლოვნებში გეიპროპაგანდა, რაც იმის გარანტია იქნება, რომ საქართველოში არც 17 და არც 37 მაისს, არასოდეს გაიმართება გეიაღლუმები, ხოლო ჩვენს შვილებს სკოლებში არ ასწავლიან „მე და საზოგადოების“ მსგავს, სულისწამწყმედ საგნებს!

**რუსეთის მსგავსად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომ ყველა კონვენციასა თუ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს ვერდიქტებზე მაღლა დგას საქართველოს კონსტიტუცია.**

აქედან გამომდინარე, საქართველოს ომბუდსმენმაც (იმედია, რომ გველირსება ეროვნული ცნობიერების სახალხო დამცველი), რუსი კოლეგის მსგავსად, ქვეყნის გარეთ, პირველ რიგში იმ ქართველების, გნებავთ, თეთრი ზანგების უფლებები უნდა დაიცვას, რომლებიც მონურ შრომას ეწევიან ჩვენს „ისტორიულ მეგობარ“ თურქეთში, შედარებით შორეულ ევროპასა თუ ძალიან შორს, ოკეანის გაღმა მდებარე „სტრატეგიულ მოკავშირე“ ამერიკაში.

ხოლო ქვეყნის შიგნით იმ ქართველთა უფლებები უნდა დაიცვას, რომლებსაც სცივათ, შიათ და სწყურიათ...

**რუსეთის მსგავსად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომ ყველა კონვენციასა თუ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს ვერდიქტებზე მაღლა დგას საქართველოს კონსტიტუცია**

**დავით მხეიძე**

„სრულიად მართლმადიდებელთა კრების მოწვევის იდეა არის არა მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობის განმტკიცებისკენ სწრაფვა, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევის გზა. თუ კრება შედგა მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის მიერ შემოთავაზებული საკითხებით, ეჭვიც არ არსებობს, რომ ყველაფერი საეკლესიო ცხოვრების სეკულარიზაციის, ლიბერალიზაციისა და, შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური წყობის დანგრევის მიმართულებით წარიმართება“.

ხმა ბერისა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დეკანოზი დავითი (ისაკაძე):

# მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილებას გეგმავს მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, რომელიც ვატიკანიდან იმართება...

**რა ხდება მსოფლიოს მართლმადიდებელ სამყაროში და რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს უახლოეს მომავალში მართლმადიდებელი ეკლესია? რატომ უწოდა რომის პაპს ეშმაკეული, ხოლო მის საქართველოში ვიზიტს — ქვეყნისთვის სახიფათო და რატომ აპროტესტებენ სასულიერო პირები სახალხო დამცველის ქმედებებს? — ამ აქტუალურ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ისაკაძე) ესაუბრება.**



**«სრულიად მართლმადიდებელთა კრების მოწვევის იდეა არის არა მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობის განმტკიცებისკენ სწრაფვა, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევის გზა»**

**— მამაო, რამდენიმე დღის წინათ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ სახალხო დამცველის ოფისთან გამართა საპროტესტო აქცია, თქვენ თქვით, რომ სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი თავისი განცხადებებით მართლმადიდებლობას და ზნეობას ეწინააღმდეგება. რამ გამოიწვია თქვენი აღშფოთება?**

— ჩვენ ამ აქციაზე პროტესტი გამოვხატეთ არა მხოლოდ სახალხო დამცველის, არამედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგაც, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან ფინანსდებიან და იმართებიან. ასეთია, მაგალითად, **კაპიტანი გიგაურისა** და **თინა ხიდაშელის** ორგანიზაცები, ანუ **ეს არის რაღაც თავისებური წარმონაქმნი, რომელიც ქვეყანაში წარმოადგენს ერთგვარ დე ფაქტო ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს, მართოს ქვეყანა თავისი ინტერესებისა და მიზნების სასარგებლოდ და, თუ დააკვირდებით, ბოლო პერიოდში სხვადასხვა ტელეარხზე სწორედ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან წარმოჩენილნი და ამა თუ იმ საკითხზე პირდაპირ მოუწოდებენ ხელისუფლებას, გინდა თუ არა, ასე გააკეთეო!**

ამას გარდა, ეს აქცია არ იყო მხოლოდ სასულიერო პირების პროტესტი. ვინაიდან ჩვენ ხშირი ურთიერთობა გვაქვს ხალხთან, ვიცი, რომ სახალხო დამცველის ქმედებები საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთებას იწვევს. ჩვენ უფრო მასშტაბურ აქციებსაც გავმართავთ ქვეყანაში არსებული ამ სისტემური დანაშაულის წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიან სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

**— აქციის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის ოფისიდან თუ გამოგეხმაურათ ვინმე?**

— ჩვენ არავინ გამოგვხმაურებია, რადგან სათქმელი არაფერი აქვთ. ტელევიზიებისთვის კი მიუციათ ინტერვიუ. მათი ქმედება არის ტენდენციური და არაობიექტური. სახალხო დამცველის აპარატი, როგორ გგონიათ, მართლა ხალხის ინტერესებს იცავს?! რასაც ამბობს დასავლეთი, იმას იმეორებს ისიც. **უარყოფილია ჩვენი ეროვნული ღირებულებები, ფასეულობები, სარწმუნოება, ქართველი ხალხისა და მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ყველას მხარს უჭერენ და ყველას ინტერესებს იცავენ.**

**— შემოდგომაზე საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით ჩვენს ქვეყანას რომის პაპი ესტუმრება. მამაო, თქვენ მწვავედ შეაფასეთ ეს ვიზიტი და პაპს „ეშმაკზე უარესი“ და „კომედიანტი“ უწოდეთ. აგრეთვე, განაცხადეთ, რომ ეს ვიზიტი განსაცდელია ჩვენი ქვეყნისთვის. რა საფრთხეს ხედავთ რომის პაპის საქართველოში ჩამოსვლაში?**

— რომის პაპი არც ერთ ქვეყანაში არ ჩადის, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. ეს სიცრუეა. ის ყველგან ჩადის, როგორც რომის პაპი, ვატიკანის წარმომადგენელი და მისი ჩასვლა ყველგან პაპიზმის ქადაგებას ნიშნავს. მოგეხსენებათ, 2000 წელს თბილისში ჩამოსულმა პაპმა იოანე პავლე მეორემ რიყეზე მესის ჩატარების უფლება მოითხოვა, ამის უფლება იქ არ მისცეს და შემდეგ სპორტის სასახლეში ჩაატარა მესა. **პაპის ვიზიტი რელიგიური ვიზიტია და, როგორც ვიცი, პაპი ფრანცისკეც ითხოვს საქართველოში მესის ჩატარებას. თუ რომის პაპი, როგორც პოლიტიკოსი ისე ჩამოდის საქართველოში, მაშინ საერო ფორმით შემოსილი ჩამოვიდეს, ასე შეხვდეს მარგველაშვილს და შემდეგ დატოვოს საქართველო.**

**პაპის ვიზიტი — ეს არის უდიდესი ცოდვა, ვინაიდან პაპიზმი არის ერესებისა და ცდომილებების მშობელი.** მათი სწავლება ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც კი ქრისტემ სულიწმინდის შესახებ გვასწავლა. **მსოფლიოს საეკლესიო კრებებზე დამსწრე მამებიდან ყველა ერესად, ანუ მწვალებლობად მიიჩნევს პაპიზმს,** რადგან პაპიზმმა უამრავ ისეთ ცდომილებას დაუდო სათავე როგორიცაა **პაპის პრიმატი და უცდომელობა, ევქარისტია, ცოდვების პატიება, ანუ ინდულგენცია და წმინდა საიდუმლოსთან დაკავშირებული ყველა სწავლება. იქამდეც კი მივიდნენ, რომ ჩასადენ ცოდვაზე ფულს იღებდნენ. და, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, სწორედ მათ დააწესეს ინკვიზიცია, ადამიანებს კოცონზე წვავდნენ. აი, ეს არის პაპიზმი** და როგორ შეიძლება ასეთი ე.წ. ეკლესიის წარმომადგენელი (ჩვენ მას ეკლესიადაც არ ვცნობთ) ჩამოვიდეს საქართველოში და ეს არ იყოს განსაცდელი ჩვენი ქვეყნისთვის?!

**— მაგრამ, მამაო, ინდულგენციისა თუ ინკვიზიციის შემდეგ ხომ საუკუნეები გავიდა?**

— დიახ, მაგრამ ეს ყველაფერი მათ ჰქონდათ და ჰქონდათ არა პიროვნულად, არამედ საეკლესიო კანონებით. და თუ ასე ცდება ეკლესია, მაშინ რა ეკლესიაა?! სხვათა შორის, ინდულგენცია დღესაც არსებობს, მაგრამ სხვა ფორმით.

**— განხეთქილებაა თვით მართლმადიდებლებს შორისაც. ივნისში უნდა ჩატარდეს მსოფლიოს დიდი საეკლესიო კრება, რომლისთვის მზადებაც მსოფლიოს საპატრიარქოსა და საქართველოს ეკლესიას შორის ურთიერთობრალდებების ფონზე მიმდინარეობს. კონსტანტინოპოლის ეკლესიამ საქართველოს ეკლესია ფუნდამენტალიზმში დაადანაშაულა. რა ხდება მსოფლიოს საპატრიარქოსა და საქართველოს ეკლესიას შორის?**

— გააჩნია, ვინ დაადანაშაულა ჩვენი ეკლესია ფუნდამენტალიზმში. გვახსოვს, რომ ნაციონალები გვადანაშაულებდნენ საზოგადოების უდიდეს ნაწილს, მაგრამ საინტერესო და საყურადღებო უნდა იყოს მათი ნათქვამი ჩვენთვის? ანალოგიური ვითარებაა ახლაც. ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ, რას იტყვის ჩვენზე ლიბერალურად განწყობილი საზოგადოება, ვინაიდან ისინი ფუნდამენტალიზმსა და კონსერვატიულად მოაზროვნე საზოგადოებას რაღაც მონსტრად განიხილავენ. სინამდვილეში ჩვენ ფუნდამენტურად ვიცავთ იესო ქრისტეს სწავლებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიქცევით ისე, როგორც ლიბერალი და აგრესიულად მოაზროვნე პაპისტები იქცევიან.

მინდა გითხრათ მნიშვნელოვანი რამ: მსოფლიოს ე.წ. მართლმადიდებელთა კრების მოსაწყობად მსოფლიო საპატრიარქო 1923 წლიდან იღვწის და იგი განსაკუთრებით აქტიურია მსოფლიოს ამჟამინდელი პატრიარქის — **ბართლომეოსის** პერიოდში, რომელსაც პაპის აღმოსავლეთის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და ცნობილია მისი საოცრად თბილი ურთიერთობით რომის პაპთან, ანუ ერეტიკოსთან და, თუ გადავხედავთ იმ საკითხებს, რომლებიც ზემოხსენებულ კრებაზე უნდა განიხილონ, დავრწმუნდებით, რომ ყველა საკითხი შეეხება ან სარწმუნოებას (კონფესიათა და რელიგიათა შორის დიალოგი, ერთობლივი ლოცვები), ან ეკლესიის კანონებს (კალენდრის, სასულიერო პირების მეორედ ქორწინების), ანუ, ფაქტობრივად, მიზნად ისახავენ მსოფლიო კრებებზე მიღებული და დამტკიცებული კანონების გადახედვას. უკვე **ამიტომ არ შეგვიძლია ვუწოდოთ მოსალოდნელ ე.წ. მართლმადიდებლურ კრებას მართლმადიდებლური. თავისი მიზნებითა და სულით მსოფლიო კრება აუცილებლად იქნება რეფორმატორული. საკრებო ფრაზა კი „წმიდასა სულსა და ჩვენსა“ მხოლოდ ყალბი საფარველი იქნება უკანონო ქმედებებისთვის.** ცხადია, ასეთი კრების გადაწყვეტილებებს ეკლესია, სასულიერო პირების დიდი ნაწილი და მრევლი უარყოფს.

**— როგორც ცნობილია, უთანხმოებას იწვევს ორი საკითხი — ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები და მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან... რატომ ვერ თანხმდებიან ამ საკითხებზე მართლმადიდებლები?**

— დიახ, ქორწინების საიდუმლო და ეკუმენისტური ურთიერთობები — ეს ორი საკითხია მთავარი. მარხვისა და მეორედ ქორწინების შესახებ საკითხები უკვე ამოღებულია, მაგრამ რაღაც პუნქტები მაინც დატოვეს.

**სრულიად მართლმადიდებელთა კრების მოწვევის იდეა არის არა მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობის განმტკიცებისკენ სწრაფვა, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევის გზა. თუ კრება შედგა მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის მიერ შემოთავაზებული საკითხებით, ეჭვიც არ არსებობს, რომ ყველაფერი საეკლესიო ცხოვრების სეკულარიზაციის, ლიბერალიზაციისა და, შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური წყობის დანგრევის მიმართულებით წარიმართება. ეს კი, რაც ყველაზე სახიფათოა, ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს აუცილებლად დააყენებს არჩევანის წინაშე — იყოს ამ უკვე განდგომილ იერარქიებთან თუ ეძებოს სხვა მართლმადიდებლური იურისდიქცია. ეს არის მიზანი ამ კრების მოწყობისა.** ვინაიდან ის, რაც ახლა ამ კრებაზე სურთ განიხილონ, უკვე დიდი ხანია, განხილული და გადაწყვეტილია. მოკლედ, მათ სურთ, გადახედონ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებს, რაც საეკლესიო სამართლის მიხედვით დაუშვებელია.

**— კონსტანტინოპოლის პროტოპრესვიტერმა გიორგი ცეცისმა ქართული ეკლესიის წარმომდგენლები პირდაპირ დაადანაშაულა ხისტ, გამაღიზიანებელ საქციელში და განაცხადა, რომ მხოლოდ საქართველოს ეკლესია არ არის მსოფლიოში რწმენის დამცველი...**

— ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც, საქართველოს ეკლესია კი არა, მსოფლიოში მხოლოდ ერთი ადამიანი იცავდა ეკლესიის სწავლებას. მაგალითად, **მაქსიმე აღმსარებელი. მას სამი ერეტიკოსი მსოფლიო პატრიარქი აწამებდა და სტანჯავდა.** გავიხსენოთ წმინდა **მარკოზ ეფესელი**, რომელმაც ფლორენციის კრებაზე მარტომ დაიცვა მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლება. ასე რომ, რა გასაკვირია, თუ დღეს მთლიანად საქართველოს ეკლესია გვევლინება ჭეშმარიტების დამცველად?!

სხვათა შორის, მსოფლიოს ბევრ მართლმადიდებელ ეკლესიაში დაიწყო სერიოზული მოძრაობები, სასულიერო პირები უპირისპირდებიან თავიანთ იერარქებს ჟენევაში შეთანხმებაზე ხელის მოწერის გამო.

**— გამოდის, ვიღაც შეგნებულად გეგმავს მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილებას?**

— დიახ, **მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილებას გეგმავს მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, რომელიც ვატიკანიდან იმართება... სწორედ ამიტომ არის პაპის საქართველოში ვიზიტი ჩვენთვის დაუშვებელი და მიუღებელი.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს ხელისუფლება ვერანაირ განცხადებას ვერ გააკეთებდა, რადგან ის ისევე მოკუზული დგას ამერიკელთა და ევროპელთა წინაშე, როგორც ახლახან გიორგი კვირიკაშვილი იდგა ევროსაბჭოში, სადაც მას დაკითხვა მოუწყვეს“.**

# «საქართველოს წინააღმდეგ მზადდება ევროპული და ამერიკული შეთქმულება, რომელიც ქვეყანას საშინელ მომავალს უქადის»

**ამერიკელმა კონგრესმენმა სტივ რასელმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში გამოსვლისას საქართველოს ყოფილ პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს რუსეთის ნდობით აღჭურვილი პირი უწოდა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოკავშირეობასა და იარაღით უკანონო ვაჭრობაში დაადანაშაულა. რასელმა ევროპისა და ამერიკის ბანკებში ივანიშვილის ანგარიშების, ფინანსური აქტივების გაყინვაც მოითხოვა. რასელის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას გამოხატავდა თუ ეს რიგითი რესპუბლიკელი კონგრესმენის თვალსაზრისი იყო და რა რეაქცია უნდა ჰქონოდა ამ განცხადებაზე საქართველოს ხელისუფლებას? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ თავიანთ მოსაზრებას უზიარებენ პოლიტოლოგები — ჟუმბერ კირვალიძე და ჰამლეტ ჭიპაშვილი, აგრეთვე, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია.**



კონგრესმენი სტივ რასელი ერაყში

## „რასელის განცხადება მხოლოდ ივანიშვილის შეურაცხყოფა არ არის, ეს ჩვენი სუვერენიტეტის შეურაცხყოფაა!“

**ჟუმბერ კირვალიძე, პოლიტოლოგი:**

— სტივ რასელის განცხადება, შესაძლოა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ოფიციალური პოზიცია არ არის, მაგრამ ამერიკის გავლენიანი წრეებიც იმავე აზრზე არიან. ამერიკის გავლენიანი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები აშშ-ის ადმინისტრაციაშიც და კონგრესშიც არიან წარმოდგენილნი. ეს, ძირითადად, მაკკეინის ხელმძღვანელობით, რესპუბლიკური პარტიის შემადგენელი ბირთვია და ისინიც სტივ რასელის მოსაზრებას იზიარებენ. რაც შეეხება უშუალოდ რასელის განცხადებას, **ეს ყოველგვარ ზღვარს გადასული განცხადებაა და ახსნა-განმარტებისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სულ ცოტა, აშშ-ის ელჩი მაინც უნდა დაებარებინათ. თავმოყვარე სახელმწიფოს, პარლამენტს, მთავრობას, რომელსაც სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის განცდა აქვს, ოფიციალური განცხადებაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ასე არ მოხდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი პოლიტიკური ელიტა არც ხელისუფლებაში გვყავს და არც ოპოზიციაში.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთთან საბედისწერო დაპირისპირებამ და ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ისე წარმართა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, რომ ახლა სხვა ქვეყნის განკარგულებაში აღმოვჩნდით.

**— მაგრამ აშშ-ის ელჩის მოადგილემ ნიკოლას ბერლინერმა ხომ განაცხადა, რომ ეს განცხადება მხოლოდ კონგრესმენ რასელის პირადი მოსაზრებაა და ის აშშ-ის მთავრობისა და მინისტრთა კაბინეტის პოზიციას არ წარმოადგენს?**

— ეს ხომ არ იყო ამერიკის რიგითი მოქალაქის განცხადება, რასელი არ არის რიგითი ამერიკელი ან შოუბიზნესის წარმომადგენელი, ის კონგრესმენია ოკლაჰომას შტატიდან და აშშ-ში კანონმდებელია.

**— მიხეილ სააკაშვილის ბოლო განცხადება, რომ ის არჩევნების შემდეგ აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში, თუ უკავშირდება რასელის განცხადებას? შეიძლება ითქვას, რომ მას ერთგვარი იმედიც კი ჩაუსახა რასელის გამოსვლამ?**

— რა თქმა უნდა. ეს ყველაფერი „თეთრი ძაფით“ არის ნაკერი.

უკრაინაში სააკაშვილს ამერიკელების ხელშეწყობით პოლიტიკურ ტრამპლინს უმზადებენ. რაც შეეხება უშუალოდ სააკაშვილს, როგორც ჩანს, ის უკრაინისა და საქართველოს გაერთიანებას აპირებს, რადგან საქართველოშიც სურს ყოფნა და უკრაინაშიც. ამიტომ ვფიქრობ, **სააკაშვილმა ჯერ ფსიქიატრთან შემოწმება უნდა გაიაროს და განცხადებებით მერე გამოვიდეს.**

ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული შავი პიარია, თუმცა, არ დავმალავ და ის არ მეცოდება. მართალია, არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ დავუჭირე მხარი, მაგრამ ვიტყვი, რომ ყველაფერი, რაც ახლა ხდება, ბიძინა ივანიშვილის ბრალია. რადგან მოხვედი პოლიტიკაში, ვალდებული ხარ, ხალხს და ქვეყანას ბოლომდე ემსახურო. ახლა ვინ დაიცავს ივანიშვილს — **ბესელია-კობახიძე?** ჩვენთან რატომღაც ადვილი ჰგონიათ პოლიტიკოსობა, არადა, ურთულესი პროფესიაა. კოალიცია დაიშალა და დასაშლელიც იყო, მაგრამ პარტიის გენერალური მდივანია **კახა კალაძე,** რომელიც კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ პოლიტიკოსი არ არის. **პაატა ბურჭულაძემ** მოინდომა კიდევ პოლიტიკოსობა, ისტორიაში, პოლიტიკაში, გეოგრაფიაში, ყველაფერში უნდა ერკვეოდეს პოლიტიკოსი, მას კი რა განათლება აქვს?!

საქართველო ხომ სახელმწიფო აღარ არის, კოლონიაა. აქეთ რუსეთია, იქით — **ამერიკა, რომელიც კვებავს ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც რეიგანი უფრო უყვართ, ვიდრე ილია ჭავჭავაძე.** ამიტომაც ბედავს ერაყში ნაომარი რასელი, ჩვენს ყოფილ პრემიერმინისიტრს ასეთი რამ აკადროს. რასელის განცხადება მხოლოდ ივანიშვილის შეურაცხყოფა არ არის, ეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და ჩვენი სუვერენიტეტის შეურაცხყოფაა.

## „დარწმუნებული ვარ, რესპუბლიკელები რასელის აზრს სრულად იზიარებენ“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებ რასელის აზრს, რადგან ეს არ არის მისი. ეს არის საქართველოდან, კერძოდ კი, „ნაციონალური მოძრაობიდან“ მიწოდებული აზრი. ნაციონალებს ამერიკაში ბევრი მხარდამჭერი ჰყავთ, რადგან ამერიკისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოში ამერიკული იდეების გამტარებელი პარტიაა და, ამერიკელთა აზრით, ეს ის მოძრაობაა, რომელიც რუსეთს ებრძვის, რაც ამერიკისთვის ამოსავალი წერტილია. **რასელის განცხადება, თითქოს ივანიშვილი პუტინის მეგობარია და მის იდეებს ატარებს, მტკნარი სისულელეა.** შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი, ივანიშვილის წინააღმდეგ კი არა, უფრო პუტინის წინააღმდეგ მიმართული კამპანიაა. სურთ, აჩვენონ: აი, ხედავთ, რა ნაძირალაა პუტინი, რომ იარაღით მოვაჭრე ქურდი ივანიშვილის ხელით აპირებს თავისი პოლიტიკის გატარებას საქართველოშიო.

**— როგორ ფიქრობთ, ეს არის აშშ-ის პოზიცია თუ ერთი რიგითი კონგრესმენის მოსაზრება?**

— აშშ-ის ოფიციალური დეპარტამენტის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, თითქოს ეს არის ერთი რიგითი კონგრესმენის განცხადება და არ არის სახელმწიფოს პოზიცია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ანალოგიურად აზროვნებენ მაკკეინი და ის ამერიკელები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ნაციონალებთან. ასე რომ, **ეს არ არის მხოლოდ ერთი რასელის განცხადება, ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთი გარკვეული წრის განცხადება, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვს.**

**— საქართველოს ხელისუფლება რასელის საპასუხოდ ოფიციალური განცხადებით უნდა გამოსულიყო თუ არა?**

— **დარწმუნებული ვარ, საქართველოს ხელისუფლებაში ჟღერჟღერობით წარმოდგენილი რესპუბლიკელები რასელის აზრს სრულად იზიარებენ და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ რასელის განცხადებაში მათი წვლილიც არის.** წვლილი, აგრეთვე, შეტანილი აქვს ლეიბორისტული პარტიის ლიდერს — **შალვა ნათელაშვილსაც,** რომელიც თითქმის ყოველთვე დარბის ამერიკაში. აღარაფერს ვამბობ **პაატა ბურჭულაძეზე,** რომელიც იგივე ნაციონალია. ესენი, ყველანი, ნაციონალები არიან და საპრლამენტო არჩევნების წინ გააქტიურდნენ, რადგან, გეგმის მიხედვით, ამ არჩევნებში უნდა გაიმარჯვონ იმ პარტიებმა, რომლებიც აშშ-ის შვილობილები არიან. ეს პარტიებია: „ნაციონალური მოძრაობა“, რესპუბლიკური პარტია, ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“, „გირჩი-მირჩი“, პაატა ბურჭულაძის პარტია და ა.შ. მას შემდეგ, რაც ჩატარდა „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ ვითომ საყოველთაო გამოკითხვა, რომელიც ნაციონალების ჩატარებულ გამოკითხვას უფრო ჰგავს, აშკარად გამოჩნდა საზოგადოების შემზადების ტენდენცია. ეს ყველაფერი ერთი პოლიტიკური პროცესის ჯაჭვია, რომლის დირიჟორიც ვაშინგტონში ზის.

## „ქართველი ხალხის წინააღმდეგ მზადდება შეთქმულება, რომელიც საშინელ მომავალს უქადის ქვეყანას და რომელშიც მონაწილეობს ევროპა, ამერიკა, ივანიშვილი და სააკაშვილი“

**ვალერი კვარაცხელია, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე:**

— არანაირი პოლიტიკური სიმპათია ბიძინა ივანიშვილის მიმართ არ მაქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემთვის მიუღებელია, როდესაც ქართველ კაცს, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენს, მეცენატსა და პოლიტიკოსს ვიღაც გადამთიელი ასე აგდებით მოიხსენიებს და მისი ანგარიშების დაყადაღებას მოითხოვს. მთავარი აქ სხვა რამ არის: **ქართველი ხალხის წინააღმდეგ მზადდება შეთქმულება, რომელიც საშინელ მომავალს უქადის ქვეყანას და რომელშიც მონაწილეობს ევროპა, ამერიკა, ივანიშვილი და სააკაშვილი.**

ჩვენ მოვისმინეთ, ერთი მხრივ, რასელის განცხადება, რომელიც ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშად ჩაერია და, მეორე მხრივ, ვნახეთ, ევროსაბჭოს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილს** რა დაკითხვაც მოუწყვეს. გაისმა აშკარა მოწოდებები, რომ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ გზა გაუხსნან პოლიტიკისკენ. აი, ეს არის დღეს ევროპელი დეპუტატების მთავარი მოთხოვნა. ასე რომ, მართალია, ეს იყო ერთი რიგითი კონგრესმენის განცხადება, მაგრამ რეალურად ეს აშშ-ის პოზიციაა, ვინაიდან მათთვის, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი და ივანიშვილი შესანიშნავად თანამშრომლობდნენ და, როგორც ჩანს, ახლაც თანამშრომლობენ, უფრო ძვირფასი ფიგურა სააკაშვილია და სურთ, მომავალ არჩევნებში მოხდეს ნაციონალური რევანში. **ეს ე.წ. სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებსაც საქართველოში ამერიკული ინსტიტუტები ატარებენ, არის არა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, არამედ საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რათა ხალხის ყური და ცნობიერება იმ ციფრებს მიაჩვიონ, რომლებიც მათთვის არის სასურველი.** დააკვირდით, როგორ დააწყვილეს პარტიები გამოკითხვების მიხედვით — „ქართულ ოცნებას“ 20% აქვს, „ნაცმოძრაობას“ — 19%, ხოლო მესამე ძალად შემოგვაჩეჩეს ირაკლი ალასანიას პარტია, რომელსაც არავითარი რეიტინგი არ ჰქონია საქართველოში და გამორიცხულია, ოდესმე ჰქონდეს, რადგან ეს არ არის პარტია, მას არ აქვთ პროგრამა, მსოფლმხედველობა.

ამ ყველაფრის გაანალიზებით, გამოდის, რომ **საქართველოს წინააღმდეგ მზადდება ევროპული და ამერიკული შეთქმულება — ივანიშვილისა და სააკაშვილის შეთქმულება.**

**— საქართველოს ხელისუფლებას როგორი რეაქცია უნდა ჰქონოდა რასელის განცხადებაზე?**

**— საქართველოს ხელისუფლება ვერანაირ განცხადებას ვერ გააკეთებდა, რადგან ის ისევე მოკუზული დგას ამერიკელთა და ევროპელთა წინაშე, როგორც ახლახან გიორგი კვირიკაშვილი იდგა ევროსაბჭოში, სადაც მას დაკითხვა მოუწყვეს.** კვირიკაშვილმა ვერ გასცა სათანადო პასუხი და ვერ უთხრა ამ ადამიანებს, რომ ისინი ინფორმირებულები არ არიან ან ტენდენციურები არიან საქართველოში მიმდინარე პროცესების შეფასებისას, რადგან კვირიკაშვილი თავს არ გრძნობდა იქ, როგორც ერთიანი ევროპული ოჯახის წარმომადგენელი. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს მთლიანად საქართველოს ხელისუფლებას დასავლეთის მიმართ.

25 წელიწადია, ვანგრევთ ქვეყანას და გვაქვს სამ ნაწილად დაშლილი საქართველო, ჩამოქცეული ეკონომიკით, განადგურებული ცნობიერებით, სულიერებით, ზნეობით და აქედან ერი დასკვნას თუ ვერ გამოიტანს, მაშინ ის ერი მართლა დასაღუპად ყოფილა განწირული.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

**ნაციონალების მთავარი მოტივი ჩემთვის ბიზნესის წართმევა და მითვისება იყო. მოითხოვდნენ, უარი მეთქვა ჩემს კომპანიაზე. ამას გარდა, უნდა მეთანამშრომლა მათთან და უზენაესის სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანისთვის უნდა დამებრალებინა, თითქოს მათთან ერთად ფინანსურ მაქინაციებს ვაწარმოებდი“.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ზაალ ქვანია:

# რას ჰქვია გამომიშვეს? ან რატომ დამიჭირეს და, თუ კანონიერად დამიჭირეს, რატომღა გამომიშვეს?

**ახალგაზრდული გაერთიანება „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს ბიზნესმენებთან უკანონო გარიგებაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტრომ მათ საგადასახადო დავალიანება აპატია. სულ კი სახელმწიფომ ბიზნესმენებს მილიარდ ასი მილიონი ლარის დავალიანება ჩამოაწერა, თუმცა, როგორც ბიზნესმენების ვინაობას, ასევე თანხას, სახელმწიფო მკაცრად ასაიდუმლოებს. „თავისუფალი თაობის“ დამფუძნებელი ლადო სადღობელაშვილი ამბობს, რომ ვალი ნაციონალებთან დაახლოებულ ბიზნესმენებს აპატიეს. არადა, ყოფილი ხელისუფლებისგან დაჩაგრული ბევრი ადამიანი სამართალს დღემდე უშედეგოდ ეძებს.**

**ყოფილი პოლიტპატიმარი და კომპანიის — „კავკას ტრანს ექსპედიტორი ევროპა-აზია“ დამფუძნებელი ზაალ ქვანია იმ ბიზნესმენთა შორისაა, რომლებიც, წლებია, წართმეული ქონების დაბრუნებას უშედეგოდ ითხოვენ. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში სამართლის ძიებისას კუთვნილი თანხის დაბრუნების სანაცვლოდ ბიზნესმენი თაღლითობის ბრალდებით ორ შვილთან ერთად ციხეშიც აღმოჩნდა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მართალია, ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდა, მაგრამ, მოგებული სასამართლო პროცესების მიუხედავად, თანხას დღემდე ვერ იბრუნებს.**

## „დავით უსუფაშვილმა და მანანა კობახიძემ განმიცხადეს, — ხომ გამოგიშვით ციხიდან და მეტს რას ითხოვთო. რას ჰქვია გამომიშვეს? ან რატომ დამიჭირეს და, თუ კანონიერად დამიჭირეს, რატომღა გამომიშვეს?“

**ზაალ ქვანია, ბიზნესმენი, ყოფილი პოლიტპატიმარი:**

— ყველაფერი ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყო, როდესაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ჩემი კომპანიის ვალი დაედო, რადგან საწვავი წაიღეს და თანხა არ გადამიხადეს. რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს მოვუგე საქმე სასამართლოში, იმჟამინდელი მთავრობის სხდომაზეც განიხილეს საქმე და ვალის გასტუმრება სახელმწიფომ თავის თავზე აიღო.

გამოუშვეს № 90 ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ვალი, სამი მილიონი აშშ დოლარი, ჩემთვის უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ ფული არ გადამიხადეს, ამიტომ, საქართველოში პირველმა, სწორედ მე გავხსენი გაკოტრების საქმე. ამის შემდეგ საქმეში ჩაერივნენ მაშინდელი პრეზიდენტი და მთავრობა, ყველანაირად მავიწროებდნენ, მემუქრებოდნენ, თავსაც დამესხნენ და, ბოლოს და ბოლოს, დამითანხმეს, გაკოტრების საქმე შემეწყვიტა, ხოლო დავალიანება, რომელიც რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს მართებდა, ჩემი კომპანიის გადასახადებიდან უნდა გაქვითულიყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემი კომპანია „ყაზბეგი-კასტელს“ შეუერთდა, ეს ბრძანებაც გააუქმეს, რადგან არ სურდათ, ჩემთვის კუთვნილი თანხა დაებრუნებინათ. **საგადასახადო შემოსავლების იმჟამინდელმა მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა გამოუშვა ბრძანება, რომლითაც გააუქმა მთავრობის ბრძანება №90 და ჩემი ფულის დაბრუნებაც შემეზღუდა. მიხეილ მაჭავარიანმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, როდესაც სამართალმემკვიდრეობის პრინციპზე უარი თქვა და ამის ნაცვლად რაღაც ბრძანება გამოუშვა, რომლის ძალითაც ადმინისტრაციული ნორმატიული აქტი გააუქმა.** ბრძოლა ხელისუფლებაში ნაციონალების მოსვლის შემდეგაც გავაგრძელე და, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მოვითხოვე, შეთითხნილი ბრალდებით მეც და ჩემი შვილებიც დაგვიჭირეს.

**— რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— **ნაციონალების მთავარი მოტივი ჩემთვის ბიზნესის წართმევა და მითვისება იყო. მოითხოვდნენ, უარი მეთქვა ჩემს კომპანიაზე. ამას გარდა, უნდა მეთანამშრომლა მათთან და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანისთვის უნდა დამებრალებინა, თითქოს მათთან ერთად ფინანსურ მაქინაციებს ვაწარმოებდი.** ეს ჩემი მხრიდან უსინდისობა იქნებოდა, რადგან არც ერთ მათგანს პირადად არ ვიცნობდი. როდესაც თანამშრომლობაზე უარი განვაცხადე, წამართვეს ბიზნესი და შეთითხნილი ბრალდებით დამაპატიმრეს, თითქოს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საგარანტიო წერილი გავაყალბე. ხოლო, რადგან ჩემი საქმე სტრასბურშიც გავაგზავნეთ, ამის გამო ჩემს ოჯახსაც დაუპირისპირდნენ და ხულიგნობის ბრალდებით ჩემი ორი შვილიც დააპატიმრეს.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გამომიშვეს ციხიდან, როგორც პოლიტპატიმარი, და მას შემდეგ სამართლიანობის აღდგენას ველოდები.

**— ციხიდან გათავისუფლების შემდეგ თქვენი რეაბილიტაცია თუ მოხდა?**

— არავითარი რეაბილიტაცია არ მომხდარა. მხოლოდ პოლტიპატიმრებად გამოგვაცხადეს და გამოგვიშვეს ციხიდან. **დავით უსუფაშვილმა** და **მანანა კობახიძემ** განმიცხადეს, — ხომ გამოგიშვით ციხიდან და მეტს რას ითხოვთო. რას ჰქვია გამომიშვეს? ან რატომ დამიჭირეს და, თუ კანონიერად დამიჭირეს, რატომღა გამომიშვეს? თუ ეჭვი ეპარებათ ჩემს სიმართლეში, მზად ვარ, ჩემს საქმეს გადახედონ.

**— იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის დადგენილებით, 18 მილიონი ლარი უნდა გადაგიხადოს სახელმწიფომ?**

— დიახ, პლუს ამას, დაყადაღებულია ჩემი ქონება, სახლი აუქციონზეა გატანილი და, ჩემია თუ არა, დღემდე ვერ გამიგია. მაქვს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ხელისუფლებამ უნდა აღასრულოს, მაგრამ არ ასრულებს. პირიქით, რაღაც მაქინაციებით 11 მილიონი ლარის დავალიანება დამარიცხეს. არადა, სახელმწიფომ უნდა გადამიხადოს დავალიანება. ახლახან ადგნენ და ზოგიერთ კომპანიას მილიარდ ასი მილიონი ლარის თანხა ჩამოაწერეს. **თქვას ხელისუფლებამ, რომელ კომპანიებს აპატია დავალიანება, რატომ ადევს ამ ინფორმაციას გრიფი საიდუმლო, რა იყო გასასაიდუმლოებელი, არ მესმის! ან რატომ ჩამოაწერეს კონკრეტულად იმ ბიზნესმენებს და მე რატომ არ მოვხვდით ამ სიაში?** რა ხდება ამ ქვეყანაში, არ მესმის...

**— სასამართლო პროცესი მოიგეთ, რა მოტივით არ გიბრუნებენ თანხას?**

— ფინანსთა სამინისტროში რომ უზით ის „შამანი“ — ნოდარ ხადური, ეგ კაცი რას აკეთებს საერთოდ ან რა განცხადებებით გამოდის, არ ვიცი. სადავო საქმეებშია ჩემი საქმე, ერთი ნაწილი აღიარეს ვითომ, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ხელოვნურად დამარიცხეს ჯარიმები, რომლებიც არ მეკუთვნოდა და, რომც მეკუთვნოდეს, ეს თანხა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა გამოქვითულიყო. წარმოუდგენელი რამ ხდება.

ვერც მინისტრთა კაბინეტიდან, ვერც პარლამენტარებისგან პასუხს ვერ ვიღებ, ვერც ვერავის ვუკავშირდები. ტელეფონის ზარს არავინ პასუხობს. დესპოტური მმართველობის პრინციპია ქვეყანაში. **სააკაშვილს თუ ტირანია ჰქონდა, ამათ დესპოტური მმართველობა აქვთ.** ერთადერთი — ქუჩაში აღარ დაგვდევენ და ტყვიას აღარ გვესვრიან, თორემ სხვა ყველაფერი იგივე ხდება, რაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში.

## „ნოდარ ხადურმა თემურ კოხოძეს 10 მილიონი ლარი საეჭვოდ ჩამოაწერა“

**„თავისუფალი თაობის“ დამფუძნებელმა ლადო სადღობელაშვილმა ახლახან ფინანსთა სამინისტროს წინ საპროტესტო აქცია გამართა და მოითხოვა ინფორმაცია, თუ რომელ ბიზნესმენს რამდენი ლარის ოდენობის დავალიანება აპატია სახელმწიფომ 2015 წელს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.**

— სანდო წყაროსგან შევიტყვეთ, რომ ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ნოდარ ხადურმა 2013-2015 წლებში ისეთ ოდიოზურ ბიზნესმენებს ჩამოაწერა საგადასახადო ვალდებულებები, როგორიცაა, მაგალითად, „თეგეტა მოტორსის“ დამფუძნებელი **თემურ კოხოძე,** რომელიც 2008 წლის მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი იყო. კოხოძეს სახელმწიფომ ათი მილიონი ლარი ჩამოაწერა. თანხა, აგრეთვე, ჩამოაწერეს ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ დამფუძნებელ **პაატა კურტანიძეს,** „პე-ეს-პეს“ დამფუძნებელ **კახა ოქრიაშვილსა** და ერეკლე კოდუას დედას — **ლაურა ლაჭავას.** სახელმწიფომ, ფაქტობრივად, კოდუების ბიზნესს აჩუქა თანხა. სხვათა შორის, „ქართუ ბანკმაც“ ჩაფარცხა ეს საქმე.

გამოდის, ხელისუფლებამ ნაციონალების კარის ბიზნესმენებს ჩამოაწერა ფინანსური ვალდებულებები, თანაც, საკმაოდ დიდ თანხებზეა საუბარი და, როდესაც დავინტერესდი ხელისუფლების მოტივაციით და გამიჩნდა ლოგიკური კითხვა — რატომ ჩამოაწერა მხოლოდ ამ კონკრეტულ ბიზნესმენებს სახელმწიფომ თანხა, ასევე, ვინ იყვნენ ეს ბიზნესმენები და რა ოდენობის თანხა ჩამოაწერეს, წერილობით მივმართე ფინანსთა სამინისტროს და **მივიღე პასუხი, რომ თურმე ფინანსთა მინისტრმა ჩამოაწერა მილიარდ ასი მილიონი ლარის დავალიანება წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნესმენებს.** როგორც აცხადებენ, ისეთი ბიზნესმენები შეარჩიეს, რომლებიც გაკოტრდნენ და შეწყვიტეს საქმიანობა, მაგრამ ყველა მეწარმემ, რომლებსაც დიდი დავალიანება დაუგროვდება, იცის, რომ შეუძლია ვითომ გაკოტრებულად გამოაცხადოს კომპანია, რათა აღებული ვალდებულებები გაუუქმდეს და საქმიანობა უკვე შეცვლილი სახელწოდებით განაგრძოს.

ესენი ბიზნესკოაბიტაციაში არიან. კარგია, რომ ბიზნესს ეხმარებიან, მაგრამ საკითხავია, რა ფორმით და ვის ეხმარებიან. ამიტომ, ამ შემთხვევაში მე დავინტერესდი არა წვრილი ან საშუალო ბიზნესით, რომლებსაც მართლა სჭირდება დახმარება, არამედ მსხვილი ბიზნესმენებით. მათთან, როგორც ჩანს, სხვა ტიპის გარიგება შედგა...

**— ფიქრობთ, რომ სახელმწიფოსა და ზოგიერთ ბიზნესმენს შორის ფარული გარიგებები ხდება?**

— დიახ, ლოგიკურად ასე გამოდის. **ბიზნესმენი, რომელსაც ჩამოაწერეს თანხა და არ გაკოტრებულა, ანუ განაგრძობს საქმიანობას, უკვე გარკვეულ დათმობაზე მიდის სახელმწიფოსთან — ან ეხმარება არჩევნებში, ან მის სასურველ ადამიანებს ასაქმებს, ან უარესი — იმ ჩამოწერილი თანხიდან გარკვეულ ოდენობას აბრუნებს, ოღონდ „შავი ფულის“ სახით. სწორედ ეს არის კორუფცია.** ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, 15-მდე ბიზნესმენი საკმაოდ სოლიდური საგადასახადო დავალიანებისგან გათავისუფლდა. სწორედ იმიტომ, რომ ჩემი და საზოგადოების ეჭვი გააქარწყლოს, ვითხოვთ ბატონ ნოდარ ხადურისგან, გაასაჯაროოს ინფორმაცია ან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისგან მაინც შექმნას ჯგუფი და მათ მაინც გააცნოს ეს ინფორმაცია.

**— თუმცა ფინანსთა სამინისტრო არ ადასტურებს, რომ, მაგალითად, თემურ კოხოძეს თანხა ჩამოაწერეს.**

— ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციის დამალვის მიზეზად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლს ასახელებს, რომელიც მესამე სუბიექტს სახელმწიფოსა და ბიზნესმენის ურთიერთობაში ჩარევას უკრძალავს, მაგრამ სიცრუეა, თითქოს ეს აძლევს მათ უფლებას, დამიმალონ, რომელ ბიზნესმენს რა თანხა ჩამოაწერეს. გამოდის, რომ, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ართმევდნენ ფულს ბიზნესმენებს და მათთან გარიგებებს დებდნენ, ასე იქცევა ამჟამინდელი ხელისუფლებაც. თბილისი პატარაა და ყველამ კარგად იცის, რომ ნოდარ ხადურმა თემურ კოხოძეს 10 მილიონი ლარი საეჭვოდ ჩამოაწერა. **ფინანსთა სამინისტრო ისევ ნაციონალებს ეხმარება და ჩვენი ფული, სახელწიფო ბიუჯეტის ფული, აჩუქეს იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც ისედაც არ აკლიათ ფული, თანაც, პასუხსაც არ გვცემენ, რა მოტივით აჩუქეს ეს თანხა, ეს კი დანაშაულია.**

სააკაშვილისგან გამწარებული უამრავი ადამიანი დღესაც ვერ პოულობს სამართალს, სახელმწიფო კი ეხმარება ნაციონალების კარის ბიზნესმენებს, რომლებიც არჩევნებზე ისევ ნაციონალებს დააფინანსებენ.

## «სააკაშვილისგან გამწარებული უამრავი ადამიანი დღესაც ვერ პოულობს სამართალს, სახელმწიფო კი კვლავ ნაციონალების კარის ბიზნესმენებს ეხმარება»

მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როგორ გავიგოთ, ბატონო პრემიერო, თქვენი გამოხდომა ევროსაბჭოზე? თქვენივე ლოგიკით, გამოდის, რომ სტალინი თქვენთვის მომავალი ყოფილა ხომ? ახლა რა ვქნათ — დავივიწყოთ ის, რაც 10 წლის წინათ ხდებოდა, მაგრამ არ დავივიწყოთ ის, რაც 100 წლის წინათ ხდებოდა?არ ვილაპარაკოთ იმაზე, ვინც ცოცხალია და ოდესიდან დღემდე იმუქრება ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევით და ვილაპარაკოთ იმაზე, ვინც 60 წლის წინათ გარდაიცვალა?**

# ვისგან სჭირდება დაცვა ჩვენს პრემიერს?

## («იოსიფ ვისარიონოვიჩის» აჩრდილი ევროპის საბჭოზე)

**საბჭოთა პროლეტარიატის დიდი ბელადი კრემლის მიმდებარე ტერიტორიაზე სრულიად მარტო, დაცვის გარეშე რომ დაბოდიალობდა ხოლმე, ეს, ალბათ, ყველას გვახსოვს V-VI კლასების სახელმძღვანელოებიდან.**



დაახლოებით იმავე წლებში, როდესაც ძია **ლენინის** ასეთ უშიშრობასა და ხალხთან უშუალო კონტაქტზე წიგნებით მასწავლიდნენ, დიდი თანამდებობის პირის ასეთ „უჩვეულო ადამიანურ“ თვისებებზე საუბარი ჩემი ყურითაც მოვისმინე. 7-8 წლის ბავშვის გონება ყველაფერს გაფაციცებით ისრუტავს და არასდროს დამავიწყდება, როგორი აღფრთოვანებით საუბრობდნენ დედაჩემის თანამშრომელი ქალბატონები — ვაიმე, გოგო, თვალებს არ დავუჯერე, ედუარდი დავინახე საკუთარი თვალით მეტროში, ჩვეულებრივი ადამიანივით მოდიოდა, ლამის პირდაპირ შემეჩეხა, ხალხი შეჩერდა და მას უყურებდაო.

საზოგადოდ, **ედუარდ შევარდნაძის** მსგავსი „კაი ტიპები“, რომელთა შესახებაც ლეგენდები დღემდე დადის, მოგვიანებით აშკარად დაჩრდილა მისმა მოწაფემ **მიხეილ სააკაშვილმა.** იმდენი ქნა, თუ გახსოვთ, არათუ საქალაქო ტრანსპორტში, არამედ განმუხურში „შემოჭრილ“ ოკუპანტ რუს ჯარისკაცებსაც კი მიუვარდა „უდაცვოდ“ და სულ კუდით ქვა ასროლინა.

სხვათა შორის, ამ ბანალური „უდაცვოდ სიარულის“ უფრო მეტად გაშლა და გაარაორდინარულება სწორედ ძია ლენინს ეკუთვნის — აკი, გვინახავს ნახატები წიგნებში, როგორ ეხმარება ილიჩი მებადურებს მდინარიდან დიდი თევზის ამოთრევაში; ან კიდევ — როგორ მიაბიჯებს კომუნისტურ შაბათობაზე მუშებთან ერთად მხარზე ხის მორგადებული...

სიმართლე ითქვას, იმხანად, ამ ასიოდე წლის წინათ, მსგავსი „პიარის“ მიზანი და დანიშნულება კიდევ უფრო გასაგებია — ემხობოდა მეფის ხელისუფლება და პროლეტარიატის ბელადებს სურდათ, დაენახვებინათ, რომ ისინი ძალიან განსხვავდებიან სამეფო კარისგან, თავადებისა და მთავრებისგან, რომლებიც უბრალო ხალხს, გლეხობას, მუშებს თავს არ უყადრებდნენ, ანუ მთელი ეს „პიარტექნოლოგია“ ემსახურებოდა გარკვეულ მიზანს — ხაზგასმას, რომ ქვეყანაში მოდის მუშურგლეხური მთავრობა, რომელიც „ჩვეულებრივი ადამიანებისგან“ შედგება და არა „უფლისრჩეული“ მეფისა და დიდებულებისგან.

დაახლოებით გასაგებია კომუნისტი ლიდერის — ედუარდ შევარდნაძის მისწრაფებაც. აკი, ჩემ მიერ ამ საგაზეთო წერილის შესავალში ნახსენები ედუარდის „სეირნობანი“ მეტროპოლიტენში სწორედ იმ დროინდელია, როდესაც შევარდნაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო და, სავარაუდოდ, სურდა, პროლეტარიატის დიდ ბელადთან თავისი სულიერი ნათესაობა ხალხისთვის დაენახვებინა.

მაგრამ **საბჭოთა პროლეტარული მთავრობის დამხობის შემდეგ, უკვე აღარ ვხვდები, რას უნდა მივაწეროთ საზოგადოების გარკვეული ნაწილის ასეთი ხბოს აღტყინება თანამდებობის პირთა „ჩვეულებრივი, ადამიანური“ საქციელის გამო.**

*** „ჩემი პრემიერი! სავსებით ჩვეულებრივად, უბრალო მოკვდავივით მიყრდნობილი თსუ-ს მეექვსე კორპუსის კარებს! აი, ასეთი საქართველოსთვის ვიბრძოდით!“** — წერს ერთი აღტყინებულ-აღფრთოვანებული სოციალურ ქსელში.

*** „გველირსა! ადამიანი, კაცი პრემიერი! როდესაც ვნახე, როგორ გადავიდა ჩვეულებრივი ადამიანივით მიწისქვეშა გადასასვლელში, იმწამს ვთქვი — ის ჩემი პერემიერიცაა!“** — ბანს აძლევს მეორე.

*** „კაცი, რომელიც ამსხვრევს სტერეოტიპებს! კაცი, რომელიც საზოგადოებას ზევიდან არ უყურებს! უშუალო, თავმდაბალი, ხალხის ქომაგი“,** — იქაჩება მესამე.

*** „ამ კაცთან ერთად ომშიც წავალ და დაზვერვაშიც! როგორ უბრალოდ და ჩვეულებრივად ესაუბრა სტუდენტებს. დაცვის გარეშე მოვიდა. დაცვის გარეშე წავიდა...“** — სიყვარულად იღვრება მეოთხე...

და ჩემი ცხოვრების სრული 40 წლის განმავლობაში უკვე მერამდენედ მიჩნდება კითხვა: მაპატიეთ და, **რამ გამოაშტერა ეს ხალხი?**

სიმართლე გითხრათ, მე, პირადად, ეს კითხვა მაშინაც გამიჩნდებოდა, ლენინის თანამედროვე რომ ვყოფილიყავი, ანუ ჩემი ხასიათისა და მსოფლმხედველობის ადამიანი აუცილებლად ეჭვის თვალით შეხედავდა ლენინის „მებადურობასა“ და „მტვირთაობას“ და დაცვის გარეშე მის ბოდიალსაც მოსკოვის შემოგარენში...

არა, რა თქმა უნდა, არავის ვაძალებ, ჩემსავით „ეჭვიანი“ იყოს და ზუსტად ჩემნაირი მსოფლმხედველობა ჰქონდეს, მაგრამ, როდესაც მსგავსი მაგალითები უკვე უამრავი აქვს ადამიანს ნანახი და ზუსტად იმავე ტიპის „პიარტექნოლოგიით“ მაინც „აღფრთოვანდება“, აქ უკვე ან დაკვეთილ აღფრთოვანებასთან გვაქვს საქმე, ან, როგორც ვთქვი, მაპატიეთ და, გამოშტერებასთან.

თუმცა, გამოშტერების ხარისხიც არსებობს. მაგალითად, ისეთი დონის გამოშტერება, როდესაც თანამდებობის პირის მიერ წარმოთქმულ სრულიად ბრიყვულ ფრაზას საზოგადოების უმაღლეს დონეზე გამოშტერებული ნაწილი აიტაცებს და მას „სიბრძნისა და თავმდაბლობის“ ეტალონად ასაღებს.

კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი იყო კვირიკაშვილის ცნობილი პასუხი კითხვაზე, რატომ მივიდა იგი სტუდენტებთან შეხვედრაზე დაცვის გარეშე: **„მე სტუდენტებთან დაცვა არ მჭირდება, ისინი ჩემი შვილების ტოლები არიან“.**

აი, ეს ფრაზა საზოგადოების არაერთგზის ხსენებულმა ნაწილმა წარმოაჩინა, როგორც რაღაც „ახალი სტანდარტი ქართულ პოლიტიკაში“, „თანამდებობის პირის უკიდურესი თავმდაბლობის მაჩვენებელი“ და ა. შ.

არადა, თუკი ოდნავ ჩავრთავთ აზროვნებას და ჩვენში ჩაბუდებულ „ხბოს“ ცოტათი მაინც „გავდენით“ ტვინის ნაოჭებიდან, ლოგიკურად გაგვიჩნდება კითხვა: **აბა, ვისგან სჭირდება დაცვა ჩვენს ესოდენ თავმდაბალ და აღმაფრთოვანებელ პრემიერს?**

**აკი, „სტუდენტებისგან დაცვა არ მჭირდება“ თავისთავად მოიცავს იმ აზრსაც, რომ საზოგადოების სხვა ფენებისგან, რომლებთანაც, შესაძლოა, მოუწიოს შეხვედრა, პრემიერს უკვე აუცილებლად სჭირდება დაცვა, ხომ?**

**და რომელია ეს ფენა — სოციალურად დაუცველები? ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილები? თუ იმ პარტიის ამომრჩევლები, რომლის თავმჯდომარეც თვითონ არის? თუ ვისთან შეხვედრისას გჭირდება დაცვა, ბატონო პრემიერო?**

თუკი არავისგან არასდროს გჭირდებათ დაცვა, მაშინ რატომ გაუსვით ხაზი მაინცდამაინც სტუდენტებს და ბედნიერებისა და აღფრთოვანებისგან აატრემლეთ ჩვენი საზოგადოების ის „გამოუსწორებელი“ ნაწილი, რომელიც მთელი ცხოვრება უცქერს სხვადასხვა ლიდერის მსგავს „პაკაზუხურ“ გამოხდომებს, მაგრამ ახალი ლიდერის მსგავს გამოხდომაზე, რატომღაც, მაინც აუცრემლიანდა თვალი?

პროვოკაციული და ინტრიგანული კითხვაა ჩემგან? — დიახ! სწორედაც! ოღონდ **ჩემი ეს კითხვა ზუსტად იმდენად არის დემაგოგიური და ინტრიგანული, რამდენადაც თქვენი ეს ხსენებული ფრაზაა სრულიად ჩვეულებრივი აფერისტობა, „პაკაზუხობა“ და დაბალი დონის პიარი.**

საზოგადოდ კი, ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებს დაცვა იმისთვის და იმათგან კი არ სჭირდებათ, ვისთანაც შეხვედრას მართავს, არამედ იმისთვის და იმათგან, ვინც შეიძლება გაიგოს ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირის ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან შეხვედრის შესახებ და იქ მოაწყოს რაიმე პროვოკაცია ან თავდასხმა.

**დაცვის გარეშე მისვლა თქვენი შვილის ტოლ სტუდენტებთან არა მხოლოდ თქვენ გიქმნით საფრთხეს, არამედ თქვენი შვილის ტოლ სტუდენტებსაც, ბატონო პრემიერო!**

ქვეყნის პირველი პირების დაცვა ასე ხელწამოსაკრავი და „მჭირდება-არ მჭირდებას“ თემა არ არის და ეს ნებისმიერმა ასეთ რაღაცებში ოდნავ ჩახედულმა ადამიანმაც იცის, თუმცა დიდი ჩახედულობა არც სჭირდება ამ ყოველივეს და კიდევ ვიმეორებ: ელემენტარული აზროვნებაა საჭირო იმისთვის, რომ ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი მიხვდეს: მაღალი თანამდებობის პირის დაცვის გარეშე სადმე გამოცხადება საფრთხეში აგდებს არა მხოლოდ მას, არამედ იქ მყოფ სხვა ადამიანებსაც.

დაცვის გარეშე თანამდებობის პირთა ბოდიალი და სამსახურებრივი მანქანით სარგებლობაზე უარის თქმა, „მარიაჟობა“ კი არა, უპასუხისმგებლობაა!

საბედნიეროდ, **ისიც ვიცი, რომ „ჩვენი საამაყო პრემიერის“ ეს გამოხდომა მხოლოდ და მხოლოდ „მარიაჟობა“ და „შთაბეჭდილების მოხდენის“ უბადრუკი მცდელობა იყო და სინამდვილეში თსუ-ს მთელი ტერიტორია პრემიერის მისვლამდე დიდი ყურადღებით შეისწავლეს როგორც პირადმა, ასევე სახელმწიფო დაცვამაც და კვირიკაშვილს, თვალისგან მოფარებულად, დაცვის კარგა მოზრდილი კონტინგენტიც ახლდა სტუდენტებთან შეხვედრისას, თორემ ჩემი გაბრაზება და აღშფოთება კიდევ უფრო მკაცრი იქნებოდა იქ მყოფი ადამიანებისთვის საფრთხის შექმნის გამო!**

თუმცა ჩვენი „არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი“ პრემიერი მკაცრად გასაბრაზებელ მიზეზებს არც სხვა შემთხვევაში გვაძლევს და, მიუხედავად თემის სერიოზულობისა, მაინც კომიკურ განწყობაზე გვაყენებს. აბა, **როგორ გინდა, სერიოზულად გაბრაზდე, როდესაც ევროსაბჭოს ასამბლეაზე ამხელა პრობლემების წინაშე მდგარი ქვეყნის პრემიერმინისტრს, სტალინის გარდა, სხვა არაფერი ექნება საზრუნავი და სალაპარაკო?!**

რა თქვა და რა ილაპარაკა გიორგი კვირიკაშვილმა სტრასბურში სტალინზე, სრულიად საქართველომ მოისმინა ან წაიკითხა. მე მხოლოდ მოკრძალებით შევახსენებ საზოგადოების მისით აღფრთოვანებულ ნაწილს ერთ რამეს — **უკაცრავად, ეს ის კაცი ხომ არ არის, რომელიც ორიოდე კვირის წინათ ქართული ტელე თოქშოუების წამყვანებთან შეხვედრისას ძველი ფრონტელი მეგობარივით რომ უღიმოდა მის წინ მჯდარ თამარ ჩერგოლეიშვილს და, თანაც, სრულიად საქართველოს გვმოძღვრავდა, წარსული** ▶

**უკაცრავად, ეს ის კაცი ხომ არ არის, რომელიც ორიოდე კვირის წინათ ქართული ტელე თოქშოუების წამყვანებთან შეხვედრისას ძველი ფრონტელი მეგობარივით რომ უღიმოდა მის წინ მჯდარ თამარ ჩერგოლეიშვილს და, თანაც, სრულიად საქართველოს გვმოძღვრავდა, წარსული უნდა დავივიწყოთ, წარსულზე ლაპარაკი სისულელეა და მხოლოდ მომავალს უნდა ვუყუროთო?.. ბატონი პრემიერი „წარსულის დავიწყებაში“ გულისხმობდა ნაცების მიერ ჩადენილ მანიაკობებს, ადამიანების მკვლელობებს, დამცირებებს, შეურაცხყოფებს, არაადამიანურ მოპყრობებს, ოჯახების დაქცევას, გაუბედურებას, გაუგონარ სადიზმს...**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შალვა ნათელაშვილი მთაწმინდიდან ესვრის ხელისუფლებას თეთრ „ნასკს“ და დუელში გამოიწვევს ბიძინა ივანიშვილს. რომან გოცირიძე სპეციალურად ამ დღეს ულვაშს გაიპარსავს და იტყვის, რომ მისთვის სიტყვის თავისუფლება უფრო ძვირფასია, ვიდრე ულვაში, რომელიც ერთ დროს ნამუსთან და კაცობასთან ასოცირდებოდა. შავებში ჩაცმულები იქნებიან ბაია გადაბაძე, ეკა მიშველაძე და ინგა გრიგოლია, რომლებიც სპეციალურად ამ დღეს, სიმბოლურად შავი „გაზ-21“-ით მივლენ აქციაზე. გულყრების სიმულაციას გეგმავს თამარ ჩერგოლეიშვილი.**

**◀უნდა დავივიწყოთ, წარსულზე ლაპარაკი სისულელეა და მხოლოდ მომავალს უნდა ვუყუროთო?**

დიახ, ეს სწორედ ის კაცია, რომელმაც თამარ ჩერგოლეიშვილისგანაც დიდი აღფრთოვანება დაიმსახურა და, მგონი, ჩერგოსგან თვით მიშასაც კი არ ღირსებია ისეთი ქება-ქება, როგორიც იმ დღეს კვირიკაშვილს...

ამის მიზეზი სწორედაც ის იყო, რომ ბატონი პრემიერი „წარსულის დავიწყებაში“ გულისხმობდა ნაცების მიერ ჩადენილ მანიაკობებს, ადამიანების მკვლელობებს, დამცირებებს, შეურაცხყოფებს, არაადამიანურ მოპყრობებს, ოჯახების დაქცევას, გაუბედურებას, გაუგონარ სადიზმს...

მოგვიწოდებდა, რომ ამ ყოველივეზე ლაპარაკი უნდა დავასრულოთ!

**„ჩვენ კავკასიელები ვართ და პირადი სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის შეიძლება კაცი მოვკლათ, ამიტომ დროა, დავასრულოთ ერთმანეთის ლანძღვა.“** — ჰუმანური ფარაზით გამოვიდა პრემიერი და ვერც კი მიხვდა, რაოდენ ლოგიკურია ეს ფრაზა იმ კონტექსტში, რა თემაზეც ის საუბრობდა.

ანუ, კავკასიელებმა შეიძლება სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის კაცი მოვკლათ და ამიტომ ჩვენს ფიზიკურ შეურაცხმყოფლებზე არც კი უნდა ვილაპარაკოთ?

**გამოდის, პრემიერმა მოგვიწოდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც მთელი ათწლეული გვამცირებდნენ, გვაწამებდნენ, გვაუბედურებდნენ, სიტყვიერადაც არ უნდა შევაგინოთ, რადგან ისინი კავკასიელები არიან და შეიძლება გაბრაზდნენ?**

აი, ამ სისულელეში, თუ შეძლებთ, ლოგიკა თქვენ იპოვეთ, მე მხოლოდ პრემიერისეულ ვერსიას შემოგთავაზებთ — ამ ყოველივეს ახსნა თურმე ის ყოფილა, რომ ეს უკვე წარსულია და წარსულზე საუბარი არ ღირს... მხოლოდ მომავალს უნდა ვუყუროთ, მომავალზე ვისაუბროთ...

კარგი და, **როგორ გავიგოთ, ბატონო პრემიერო, თქვენი გამოხდომა ევროსაბჭოზე? თქვენივე ლოგიკით, გამოდის, რომ სტალინი თქვენთვის მომავალი ყოფილა ხომ? ახლა რა ვქნათ — დავივიწყოთ ის, რაც 10 წლის წინათ ხდებოდა, მაგრამ არ დავივიწყოთ ის, რაც 100 წლის წინათ ხდებოდა?**

**არ ვილაპარაკოთ იმაზე, ვინც ცოცხალია და ოდესიდან დღემდე იმუქრება ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევით და ვილაპარაკოთ იმაზე, ვინც 60 წლის წინათ გარდაიცვალა?**

რა საფრთხეს წარმოადგენს ასეთს ადამიანი ან მისი ძეგლი, ან ფოტოსურათი, ან მისი თაყვანისმცემლების ჯგუფი, ან მის შესახებ პრესაში დაბეჭდილი დადებითი სულისკვეთების მასალა? **დავიჯერო, ამ „უშიშარ“ და „უდაცვოდ“ მავალ კაცს მართლა ასე გაკანკალებთ მის ხსენებაზეც კი?**

**აჰ, მივხვდი...**

**აი, თურმე ვისგან სჭირდება დაცვა ჩვენს პრემიერს... და არა მხოლოდ მას...**

# სად ატარებენ გამოკვლევებს «ენ-დი-აი» და «აი-რა-ი»?

## კოსმოსური საიდუმლო ამოხსნილია!

**უკვე არაერთი წელიწადია, საქართველოს მოქალაქეებს ლოგიკურად უჩნდებათ კითხვა — სად ცხოვრობენ და ბინადრობენ ის ადამიანები, რომლებიც ამერიკის გინდ „დემოკრატიის“ (ენ-დი-აი) და გინდ „რესპუბლიკური“ (აი-რა-ი) ინსტიტუტის ქართულ წარმომადგენლობებს ასეთ წარმოუდგენელ პასუხებს აძლევენ ხოლმე სოციალური გამოკვლევების დროს?**

აგერ, გასულ კვირაშიც კიდევ ერთხელ გაოცდა სრულიად ქართული საზოგადოება, როდესაც ჯერ ერთი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მეორე ხსენებული ინსტიტუტის გამოკვლევების შედეგები შეიტყო.

როგორც აღმოჩნდა, **პატივცემული ორგანიზაციები „ენ-დი-აი“ და „აი-რა-ი“ სადღაც პოულობენ ადამიანებს, რომელთა ხან — 13, ხან —15 და ხანაც კიდევ 20 პროცენტი ნდობას უცხადებს და ეთაყვანება იმ პოლიტიკურ ლიდერებსა და ისეთ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომელთა მხარდამჭერიც სინამდვილეში, სანთლით რომ ეძებო, შეიძლება ერთიც ვერ იპოვო.**

**მაშ, როგორ ხდება ხოლმე, რომ საზოგადოებისთვის სრულიად ოდიოზურ და არასასურველ ფიგურებსა და ორგანიზაციებს ამხელა პროცენტები აქვთ ხსენებული გამოკვლევების მიხედვით?**

ამ მოვლენამ მძიმედ ჩააფიქრა ჩვენი ისედაც მძიმედ ჩაფიქრებული წყარო და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მიაგნო კიდეც ამ ყოველივეს მიზეზს.

პირველ რიგში, მან კითხვა „როგორ“ შეცვალა კითხვით „სად“, ხოლო სიტყვა „ადამიანი“ საერთოდ ამოაგდო საძებნი ცნებებიდან. ამ მეთოდმა გაამართლა კიდეც, რადგან, **დღეს ვინც „თავისუფალ დემოკრატებს“, „რესპუბლიკელებს“ ან „ნაციონალებს“ უჭერს მხარს, იმას არც შეიძლება „ადამიანი“ ეწოდოს.**

საბოლოოდ, ჩვენი ძალიან ჭკვიანი წყარო გავიდა კიდეც სწორ კვალზე და მიაგნო „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ საიდუმლოს. როგორ მოახერხა მან ეს, ამას ვერ გავამჟღავნებთ, რადგან მერე სხვებიც მიაგნებენ და ექსკლუზივს დავკარგავთ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მან ყურადღება მიაქცია სიტყვას **„დამკვირვებელი“**. აკი „ენ-დი-აიც“ და „აი-რა-იც“ გამუდმებით გაიძახიან,—ჩვენმა დამკვირვებლებმა ეს შედეგი დადეს, ჩვენმა დამკვირვებლებმა ის შედეგი დადესო? ჰოდა, ნეტავ, სად და რას აკვირდებიან ისინი?

როგორც აღმოჩნდა, ორივე ამ ორგანიზაციას ოფისებში უდგას გასაიდუმლოებული უზარმაზარი ტელესკოპები და ერთი მათგანი მარსს აკვირდება, ხოლო მეორე — მთვარეს. სიმართლე გითხრათ, ჩვენმა გაკვირვებულმა **წყარომ კონკრეტულად ვერ დაადგინა, რატომ უჭერს მარსელთა 13 პროცენტი მხარს „თავისუფალ დემოკრატებს“, ხოლო მთვარეულთა დაახლოებით იმდენივე პროცენტი — რესპუბლიკელებს, თუმცა ფაქტია, რომ „ენ-დი-აისა“ და „აი-**



**რა-ის“ დამკვირვებლები ამ უზარმაზარ ტელესკოპებში ცქერის შემდეგ სწორედ ასეთ შედეგებს აქვეყნებენ.**

ჰო, მართლა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მესამე „ტელესკოპი“, რომელიც ჩვენს განცვიფრებულ წყაროს თავდაპირველად ტელესკოპი ეგონა, მაგრამ მოგვიანებით დააკვირდა და მიხვდა, რომ ეს არის „რუსთავი 2“-ის ვიდეოკამერა, რომელიც მუდმივად მიმართულია ვარსკვლავ სირიუსისკენ, რომლის მოსახლეობაც, როგორც ჩანს, **დავით ბაქრაძესა** და ნაციონალებს ემხრობიან. სათქმელია ისიც, რომ, ვინაიდან სირიუსს მხოლოს „რუსთავი 2“ აკვირდება, შემდეგ „ენ-დი-აიცა“ და „აი-რა-იც“ მის მონაცემებს იმეორებენ „ნაციონალების“ შესახებ.

ჩვენი თავბრუდახვეული წყაროს ინფორმაციით, მათ სხვა გზა არც აქვთ, რადგან, როგორც გაირკვა, მთელ **გალაქტიკაში ნაციონალებს მხოლოდ სირიუსელები უჭერენ მხარს.**

**კოსია მოსია**

# რას გეგმავენ «რუსთავი 2»-ის დასაცავად?

## (ონიაშვილის ლობიანის რიგში ჯიბიდან ამოვარდნილი სკანდალური სცენარი)

**„რუსთავი 2“-ში საგანგაშო წითელი სიგნალი ჩაირთო. ურთმელიძემ გაიღვიძა, ნინია და ნინო რკინის ქალამნებს იცვამენ და ბიძინა ივანიშვილისთვის ქოშების სროლას აპირებენ. ამის შესახებ ჩვენმა ანონიმმა წყარომ იმ მომენტში შეიტყო, როდესაც ხსენებული ქალბატონები ე.წ. ონიაშვილის ლობიანის რიგში დგომისას ერთმანეთში საუბრობდნენ. გაირკვა, რომ არსებობს სცენარი, რომელიც უკრაინაში მყოფმა პირებმა საგანგებოდ დაწერეს და თითო ეგზემპლარი ყველა მხარდამჭერს გადასცეს, მაგრამ ქალბატონების საუბრისას ნინია კაკაბაძეს ეს სცენარი ჯიბიდან შემთხვევით ამოუვარდა და ყველაფერი ნათელი შეიქნა.**

როგორც შევიტყვეთ, **ნინია კაკაბაძე** ბაბუის ნაჩუქარი სანადირო თოფით აპირებს „რუსთავი 2“-ის შენობის დაცვას, **ნინო დანელიას** კი უთქვამს, მე ბებიაჩემის ნაქონ აბჯარსა და ხმალს წამოვიღებო. წყაროს ინფორმაციით, დიდი შეკრების გამართვას გეგმავენ სატანისტთა და მფრინავ სპაგეტისტთა სექტის წარმომადგენლები, ასევე, გაურკვეველი სქესის ფერადი გოგობიჭები.

ტელეკომპანია „ტაბულას“ შენობაში ფალარათის ბომბები მზადდება. ნაციონალური მოძრაობის ოფისში ტონობით პომიდორს ხარშავენ და სიმულაციური სისხლის კომპონენტებს ამზადებენ. დიდ ქვაბს **ხათუნა გოგორიშვილი** ყარაულობს, ხოლო სიმულაციური სისხლის დეგუსტაციას ამ ამბავში არაერთხელ ნაწრთობი **ჩიორა თაქთაქიშვილი** აპირებს. გაბერილია მილიონი ფერადი ბუშტი, რომელიც **„თავისუფალი ზონის“** საწყობში ინახება, დამზადებულია ბიძინას დაჯღანული ფიტულები, რომლებსაც **ნიკა გვარამია** დაწვავს. **შალვა ნათელაშვილი** მთაწმინდიდან ესვრის ხელისუფლებას თეთრ „ნასკს“ და დუელში გამოიწვევს **ბიძინა ივანიშვილს. რომან გოცირიძე** სპეციალურად ამ დღეს ულვაშს გაიპარსავს და იტყვის, რომ მისთვის სიტყვის თავისუფლება უფრო ძვირფასია, ვიდრე ულვაში, რომელიც ერთ დროს ნამუსთან და კაცობასთან ასოცირდებოდა.

შავებში ჩაცმულები იქნებიან **ბაია გადაბაძე, ეკა მიშველაძე** და **ინგა გრიგოლია,** რომლებიც სპეციალურად ამ დღეს, სიმბოლურად შავი „გაზ-21“-ით მივლენ აქციაზე. გულყრების სიმულაციას გეგმავს **თამარ ჩერგოლეიშვილი,** რომელსაც, სცენარის თანახმად, მათივე ნაცნობი სასწრაფო დახმარების მანქანა წაიყვანს საავადმყოფოში და ეს იქნება იმის ჩვენების მცდელობა, რომ ხელისუფლებამ ადამიანები უყურადღებოდ დატოვა. სიმულაციებში ჩერგოლეიშვილს აქტიურად ავარჯიშებს მისი მეუღლე და ტელევიზიის ერთ-ერთი სტაჟიორი. **ქეთათო ჩარკვიანი** „რუსთავი 2“-ის გადამცემზე იქნება ლოკალიზებული და საფრთხის შემთხვევაში წითელ კოლჰოტს გადმოფენს. „რუსთავი 2“-ის ჭერში დამონტაჟებულია მილიონობით წყლით სავსე ბურთი და უცხო პირის შესვლის შემთხვევაში მოხდება მასირებული დაშვება.

**ნიკა გვარამიას** კაბინეტის კარის სახელურზე 2400-ვოლტიანი დენი მიაერთეს და, თუ უცხო პირი შეეხო, მიწასთან გაასწორებს. იგეგმება **სტივ რასელისა** და ევროპის სახალხო პარტიის წევრთა სრული მობილიზება, ამისათვის მათ სპეციალური ტექსტები და შეშფოთების ჰაიდლაინები დაგზავნეს. **გივი თარგამაძე** სპეცვიზიტით უკრაინაში გაემგზავრა, **გიორგი გაბუნია** ერთჯერად წნეხს ასხამს „რუსთავი 2“ის შესასვლელში. **მეგი გოცირიძე** „კურიერის“ სტუდიის კარში დადგება, როგორც ცნობილია, მას, უცხო პირის გამოჩენის შემთხვევაში, რაც შეუძლია ხმამაღლა ღრიალი ევალება.

მოკლედ, როგორც იტყვიან, მზადყოფნაშია საშხაპე აპარატურა, ბრონეულის ოყნები და აბი გლუკოზა. თვალი დაუდგეს ევროპის სახალხო პარტიას — ჩვენც ქართველები ვართ, ბოლოს და ბოლოს!

**გრიგოლ ინგაძე**

**ტელეკომპანია «ტაბულას» შენობაში ფალარათის ბომბები მზადდება. «ნაციონალური მოძრაობის» ოფისში ტონობით პომიდორს ხარშავენ და სიმულაციური სისხლის კომპონენტებს ამზადებენ. დიდ ქვაბს ხათუნა გოგორიშვილი ყარაულობს, ხოლო სიმულაციური სისხლის დეგუსტაციას ამ ამბავში არაერთხელ ნაწრთობი ჩიორა თაქთაქიშვილი აპირებს. გაბერილია მილიონი ფერადი ბუშტი, რომლებიც «თავისუფალი ზონის» საწყობში ინახება**

ეს უნდა იცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნორვეგიის ლუთერანული ეკლესიის 88 წევრმა (115-დან) მხარი დაუჭირა ჰომოსექსუალი წყვილებისთვის ჯვრისწერის ნებართვის მიცემას. ამასთანავე, ეკლესია შეიმუშავებს სპეციალურ ლიტურგიას, რომელსაც ასეთ „საზეიმო“ შემთხვევებში გამოიყენებენ.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ექსსპიკერი პედოფილიაში დაადანაშაულეს

**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ექსსპიკერი, დენის ჰასტერტი, მცირეწლოვანთა გარყვნაში დაადანაშაულეს. ილინოისის შტატის პროკურატურამ სასამართლოს ამა წლის 9 აპრილს გადასცა დოკუმენტები, რომლებშიც აღწერილია, როგორ ცდილობდა პოლიტიკოსი 4 მოზარდის გარყვნას.**



კონგრესმენს, რომელიც შტატის საკანონმდებლო ორგანოს წევრობამდე ქალაქ იორკვილის (ილინოისის შტატი) სკოლაში სპორტის ერთ-ერთი სახეობის მწვრთნელად მუშაობდა, ბრალი დაზარალებულთა ჩვენებების საფუძველზე წაუყენეს. ცნობილია, რომ 4 მათგანი მამრობითი სქესისაა.

2015 წლის 28 მაისს სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდნენ ანგარიშებით ყოფილი კონგრესმენისა, რომელმაც 2010-2014 წლებში თავისი საბანკო ანგარიშიდან 1,7 მლნ დოლარი გადაურიცხა პიროვნებას, რომელიც, როგორც ჩანს, აშანტაჟებდა. დენის ჰასტერტმა მხოლოდ 2012 წელს 106 საფინანსო ოპერაცია განახორციელა და სწორედ ამან მიიპყრო საგადასახადო სამსახურისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელთა ყურადღება.

დენის ჰასტერსი, რომელიც ამჟამად 74 წლისაა, 1990-2007 წლებში ხელმძღვანელობდა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატას (ქვეყნის სახელისუფლო იერარქიაში ეს მნიშვნელობით მესამე პოსტია პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის შემდეგ), კონგრესმენი კი 20 წლის განმავლობაში იყო — 1987-დან 2007 წლამდე.



## ოთხი შვილის მამა გეიქორწინების გაკრიტიკების გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს

**შეფილდის უნივერსიტეტის სტუდენტი „ფეისბუქში“ ერთნაირსქესიანთა ქორწინების გაკრიტიკებისთვის სასწავლებლიდან გარიცხეს.**

2015 წლის სექტემბერში 38 წლის **ფელიქს ნგოლმა** — შეფილდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, რომელიც სოციალური მუშაკის სპეციალობას ეუფლებოდა, „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა თავისი კრიტიკული თვალსაზრისი გეიქორწინებებზე: „მე მხარს ვუჭერ **კიმ დევისს** — კენტუკელ სახელმწიფო მოხელეს, რომელიც ციხეში ჩასვეს იმისათვის, რომ უარი განაცხადა ერთნაირსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციაზე“.

ამას გარდა, ფელიქსმა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებას დაურთო ციტატა ბიბლიიდან („ლევიანელთა“), რომელშიც ნათქვამია, რომ ჰომოსექსუალიზმი საზიზღრობაა.

ორი თვის შემდეგ ოთხი შვილის მამამ უნივერსიტეტიდან მიიღო წერილი თხოვნით მისი საქციელის განხილვაში მონაწილეობაზე, შემდეგ კი უნივერსიტეტიდან გარიცხეს.






## გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის სინოდმა ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება დააკანონა

**ევანგელისტური ეკლესიის გადაწყვეტილებით, ბერლინში, ბრანდენბურგსა და სილეზიაში ჰომოსექსუალური წყვილები მალე მიიღებენ ევანგელისტურ ეკლესიებში ჯვრისწერის უფლებას — ეს გადაწყვეტილება 9 აპრილს მიიღო ბერლინ-ბრანდენბურგ-სილეზიის ევანგელისტური ეკლესიის სინოდმა ხმათა უმრავლესობით.**

უფრო ადრე ანალოგიური კანონი მიიღეს ჰესენ-ნასაუსა და რეინლანდის ევანგელისტურმა ეკლესიებმა.

ახალი საეკლესიო კანონი 2016 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება.

## ნორვეგიელ მღვდელმსახურებს ჰომოსექსუალი წყვილების ჯვრისწერის ნება დართეს

**ნორვეგიაში ლუთერანული ეკლესიის სინოდმა მღვდელმსახურებს გეებისა და ლესბოსელების ჯვრისწერის ნება დართო. როგორც ეკლესიის ოფიციალური პორტალი იუწყება, ეს გადაწყვეტილება სინოდის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიიღეს.**



ნორვეგიის ლუთერანული ეკლესიის 88 წევრმა (115-დან) მხარი დაუჭირა ჰომოსექსუალი წყვილებისთვის ჯვრისწერის ნებართვის მიცემას. ამასთანავე, ეკლესია შეიმუშავებს სპეციალურ ლიტურგიას, რომელსაც ასეთ „საზეიმო“ შემთხვევებში გამოიყენებენ.

ნორვეგიელი პოლიტიკოსები გაახარა ლუთერანული ეკლესიის რევოლუციურმა გადაწყვეტილებამ: „ეკლესია ყველასთვის უნდა არსებობდეს... ეს ეკლესიის სინოდის ისტორიული გადაწყვეტილებაა“, — დაწერა სოციალურ ქსელში ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა **ერნა სულსბერგმა.**

სკანდინაველ მღვდელმსახურებს ისღა დარჩენიათ, ცხოველებთან ქორწინებაც დააკანონონ, შემდეგ კი პედოფილიის მიმართაც გამოიჩინონ შემწყნარებლური დამოკიდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა — „ევროპული დემოკრატიის“ მომხრეები რა სანქციას დაუწესებდნენ უფალს სოდომისა და გომორას დაწვის შემდეგ? იქაც რომ ყველაფერი ასე დაიწყო?

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

2011 წლის 22 ივლისს ანდერს ბრეივიკმა ორი ტერაქტი განახორციელა: ოსლოს სამთავრობო კვარტალში მოაწყო აფეთქება და თავს დაესხა კუნძულ უტოიაზე ნორვეგიის მმართველი მუშათა პარტიის ახალგაზრდულ ბანაკს. დაიღუპა 77 ადამიანი, დაიჭრა —151.

წამებანი ბრეივიკისანი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე აღარავინ კამათობს, რომ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე ვირტუალური ცხოვრება ჩაენაცვლა რეალურს, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი თემები, თანამედროვეობის უპირველესი ინფორმაცია სასამართლოს დარბაზებიდან მოდის, იქიდან, სადაც აღსრულდება მართლმსაჯულება.**
**უნდა აღსრულდეს, ჩვენთან თუ უცხოეთში. იქით — სავჩენკოს, ნავალნის, ბრეივიკის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები. აქეთ, ანუ საქართველოში — ვერც ჩამოთვლი რამდენია.**

# მიართვით ცხელი ყავა ტერორისტს!



**ტერორისტ ანდერს ბრეივიკს ნება დართეს, ციხეში ისტუმროს და საალერსოდ მიიღოს მასზე შეყვარებული ქალიშვილი, — იტყობინება «ინდეპენდენტი». ამ ფანატიკოსმა გოგომ, სახელად ვიქტორიამ, თითქმის 5 წლის განმავლობაში ასობით წერილი გაუგზავნა თავის სათაყვანებელ კერპს... არიქა, ქალი მიჰგვარეთ სასიყვარულო ვნებათაღელვის დასაოკებლად ევროპელ ტერორისტს, ნაციონალისტს, ნეოფაშისტს**

ნებისმიერი ტელეარხის საინფორმაციო პროგრამა სასამართლო ქრონიკით იწყება და მთავრდება. ტელევიზია, რადიო, გაზეთები ამ თემატიკის ინტენსიური გაშუქებით იმაღლებს რეიტინგს.

ასე სჯერა და ჰგონია.

საზოგადოებრივი აზრი ამ ნარკოტიკის ნემსზე დასვეს.

საკაიფოდ.

დემოკრატიული ტერმინით, ამას ჰქვია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, „პერესტროიკის“ პერიოდში საჯაროობას რომ უწოდებდნენ. თუ ვინმეს ახსოვს.

ხელისუფლების ამ შტოს საქმიანობას დღეს სხვა ეშხი აქვს და სხვა პრინციპზეა აწყობილი; მთავარი პროცესია, მდინარება, ხოლო შედეგი, ანუ განაჩენი ახალი პროცესის დაწყების საფუძველი ხდება: ინსტანციების საფეხურებგავლილი საქმე საწყის მდგომარეობას უბრუნდება.

ორომტრიალია ცხოვრების, და საზოგადოებაც ამ დახშულ წრეში ტრიალებს თავბრუდახვეული. ყველა სხვა პრობლემა ინტერესს მიღმა გაირიყა.

მიზანიც ეგაა.

მედიის მთავარი გმირები დანაშაულში ეჭვმიტანილები ხდებიან. სასჯელმისჯილებიც. ადვოკატებმა ჩააჩოჩეს „ეკრანის ვარსკვლავები“, ხოლო სიტყვები, „ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს“, ნაშუალამევს მამლის ყივილივით მომაბეზრებელი, ხშირი მოხმარებისგან ისე გაცვდა და გაიცრიცა, როგორც საბჭოთა კავშირის დასალიერს თვალში დირესავით გაჩრილი ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

რაღა დროს მსოფლიო პროლეტარიატის სარევოლუციოდ დარაზმვაა, როცა ადამიანის უფლებათა დაცვის დემოკრატიული ლოზუნგით სახელმწიფო გადატრიალებები ხორციელდება ზნეობრივი ნორმების მოშლისა და ამოძირკვის ხარჯზე.

ნეოლიბერალური ქარი ქრის.

ტერორისტ ანდერს ბრეივიკის მიერ ნორვეგიის ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლო პროცესის მოგება, რომლის შესახებაც მსოფლიოს საზოგადოებრიობამ გასული კვირის ოთხშაბათს, 20 აპრილს შეიტყო, ქარდაქარ აფრიალებული თვალსაჩინო მაგალითია.

## „ბატონმა“ ბრეივიკმა იჩივლა...

ოსლოს სასამართლომ განიხილა ანდერს ბრეივიკის საჩივარი მისი აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ შეინის ციხეში, რომელიც 100 კილომეტრზეა ნორვეგიის დედაქალაქიდან. ტერორისტს საპყრობილის რეჟიმი რომ უნდა გაესაჩივრებინა, თვე-ნახევრის წინათ, 4 მარტს, გახდა ცნობილი. ორი დღით ადრე კი ნორვეგიის გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ევროპის კონვენციის ნორმები ბრეივიკის მიმართ სრულად არის დაცული. მისთვის გამოყოფილია სამი ოთახი — საცხოვრებელი ოთახი, ოთახი სასწავლებლად და დარბაზი სავარჯიშოდ. შეუძლია ისარგებლოს ტელევიზორით, კომპიუტერით (ინტერნეტში გაუსვლელად) და კომპიუტერული თამაშებისთვის საჭირო მისადგამით.

4 მარტს გაზეთი **„ინდეპენდენტი“** წერდა, რომ პატიმარი შეიტანდა სარჩელს ნორვეგიის მთავრობის წინააღმდეგ, მის მიმართ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევის თაობაზე.

იჩივლა.

**რამ შეაწუხა ბრეივიკი? („ბატონი ბრეივიკი“, იტყოდნენ ჩვენთან, როგორც არაერთგზის კაცისმკვლელების დასახელებისას).**

**ყავა, რომელსაც ყოველდღიურად მიართმევენ, თურმე, ცივია, ხოლო საკვები, რომელიც მისი რაციონით არის გათვალისწინებული (ოი, საშინელება!), მიკროტალღურ ღუმელშია შემთბარი(!). ეს ის მიკროტალღური ღუმელია, რომლის შეძენა ჩვენთან ოჯახებს ოცნებად აქვთ ქცეული. აი, ტერორისტი და კაცისმკვლელი ნორვეგიელი კი მიიჩნევს, რომ ცივი ყავა და ამ ღუმელით შემთბარი კერძები „წყლით წამებაზე უარესია“... აღშფოთებულია იმითაც, რომ გამოცალკევებულია სხვა პატიმრებისგან და მეგობარ-ექსტრემისტებთან შეხვედრის შესაძლებლობა არ აქვს. განსაკუთრებით კი იმით, რომ იძულებულია ისარგებლოს კომპიუტერული თამაშების ძველი მოდელით — „ფლეისთეიშენით“.**

წამებით მოუკლავთ კაცი და ეგაა!

მეტიც: ეს **სამართლიანობის ფობიით შეპყრობილი კაცისმკვლელი მიიჩნევს, რომ ციხეში არსებული პირობებით ირღვევა „კერძო ოჯახური ცხოვრების“ მისი უფლება, აგრეთვე, უფლება მიმოწერის. ჯერ კიდევ 2015 წლის ივნისში ბრეივიკი ჩიოდა, რომ ციხის ადმინისტრაცია მასმედიისთვის გათვალისწინებულ მის წერილებს დანიშნულებისამებრ არ გზავნის.**

**ცნობისთვის:** ბრეივიკის კორესპონდენციები კონტროლდება იმ მიზნით, რომ მან დაუსწრებლად არ შექმნას ტერორისტული ორგანიზაცია. ამავე მიზანს ისახავს ისიც, რომ მის შეხვედრებს ვიზიტორებთან, რომლებიც შუშით გატიხრულ ოთახში მიმდინარეობს, უთვალთვალებენ საპატიმროს თანამშრომლები.

ირღვევაო წამების, არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის საერთო ევროპული წესი და კანონი... იგივე გაიმეორა მისმა ადვოკატმა **ეისტეინ სტურვიკმა,** რომელიც ცდილობდა, სასამართლოსთვის დაემტკიცებინა, რომ „მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ“ ციხეში ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი; რომ ამ პრობლემის მოგვარება უაღრესად მნიშვნელოვანია პატიმრისთვის, რადგან, სავარაუდოა, რომ მას დარჩენილი ცხოვრების გატარება ციხეში მოუწევს (მისჯილი აქვს 21 წელიწადი), და ნაკლებ სარწმუნოა, რომ ევროპაში ნაცისტები დაბრუნდნენ და გაათავისუფლონ იგი.

ხოლო მეორე ადვოკატის მტკიცებით, „მისი დაცვის ქვეშ მყოფი“ სტრესულ მდგომარეობაშია.

რატომ?

მოემზადეთ მოსასმენად იმისა, რაც აქამდე არ გსმენიათ: **„მისი (ბრეივიკის) ძირითადი საქმიანობა ციხეში სწავლაა. ამჟამად მან შეწყვიტა სწავლა, რაც თურმე იმის ნიშანია, რომ იზოლაცია უარყოფითად მოქმედებს მის სულიერ ჯანმრთელობაზე“ (!).**

ამ, სულიერად დათრგუნვილმა, საწყალმა პატიმარმა, როგორც კი პოლიციელმა ხელბორკილი შეხსნა, „ვაჟკაცურად“ აღმართა ხელი — ნაცისტური სალამი მისცა სასამართლო დარბაზში მყოფთ.

**ჰაილ!**

„დეპრესიაში მყოფი“ ბრეივიკი ამზადებდა პროცესზე წარმოსათქმელ სიტყვას, თავისი ნაცისტური იდეების მასებისთვის მისაწოდებლად. იბრძოდა და თან თავისი პოპულარობით ტკბებოდა.

დეპრესიაში არისო(!).

ადვოკატების ალოგიკური ენამჭევრობა საქართველოში არავის უკვირს.

## დანაშაული და სასჯელი

თითქმის ხუთი წელიწადი გავიდა იმ საშინელი დღიდან ნორვეგიელმა ტერორისტმა ჯერ ოსლოში და შემდეგ კუნძულ უტოიაზე რომ ჩაიდინა „დანაშაული, რომლის მსგავსი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნორვეგიაში არ მომხდარა“.

გავიხსენოთ.

**2011 წლის 22 ივლისს ანდერს ბრეივიკმა ორი ტერაქტი განახორციელა: ოსლოს სამთავრობო კვარტალში მოაწყო აფეთქება და თავს დაესხა კუნძულ უტოიაზე ნორვეგიის მმართველი მუშათა პარტიის ახალგაზრდულ ბანაკს. დაიღუპა 77 ადამიანი, დაიჭრა —151.**

კუნძულ უტოიაზე დაღუპულთა შორის იყო ქართველი გოგონა — **თამთა ლიპარტელიანი.** საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე — **ნათია ჩხეტიანი** გადარჩა.

სასამართლომ ბრეივიკს 21 წლით პატიმრობა შეუფარდა — უმაღლესი სასჯელი, რომელიც ადგილობრივი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

მეორე სასამართლომ კი, რომელმაც ეს-ესაა ტერორისტის სარჩელი განიხილა, ბრეივიკის პრეტენზიები სამართლიანად ცნო. „არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საბაზო მოთხოვნაა. მნიშვნელობა არ აქვს, ვისზეა ლაპარაკი — ტერორისტებსა და მკვლელებს, აგრეთვე, აქვთ ამის უფლება“, — ნათქვამია საბოლოო ვერდიქტში.

**ნორვეგიის მთავრობამ ტერორისტს სასამართლოს ხარჯების დასაფარავად 331 ათასი ნორვეგიული კრონი (40,7 ათასი დოლარი) უნდა გადაუხადოს.**

ეტყობა, ყველა ქვეყნის სასამართლო სისტემაში ჰყავთ თავიანთი მურუსიძეები.

დასასრულ — კიდევ ერთი ნეოლიბერალური ჩაროზი: **ტერორისტ ანდერს ბრეივიკს ნება დართეს, ციხეში ისტუმროს და საალერსოდ მიიღოს მასზე შეყვარებული ქალიშვილი, — იტყობინება „ინდეპენდენტი“. ამ ფანატიკოსმა გოგომ, სახელად ვიქტორიამ, თითქმის 5 წლის განმავლობაში ასობით წერილი გაუგზავნა თავის სათაყვანებელ კერპს...**

**არიქა, ქალი მიჰგვარეთ სასიყვარულო ვნებათაღელვის დასაოკებლად ევროპელ ტერორისტს, ნაციონალისტს, ნეოფაშისტს.**

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, — წერს ერთ-ერთი ბლოგერი სოციალურ ქსელებში, — რომ ბრეივიკის ახლაც კი ეშინიათ ნორვეგიაში. იგი თავის დროზე დაუყოვნებლივ უნდა მოეკლათ“.

აჟიოტაჟის ტალღამ არა, მაგრამ ინტერნეტს ზღვის ბრიზის მსგავსმა შეშფოთებამ გადაუარა:

*** „(ბრეივიკმა) დანაშაული თავიდანვე იმიტომ ჩაიდინა, რომ მსოფლიოში გაეთქვა სახელი. ახლა იგი თავისი პოპულარობის მწვერვალზეა“.**

*** „ო, ეს დასავლური დემოკრატია და ტოლერანტობა, რომელიც ევროპას შიგნიდან დაანგრევს“.**

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფაქტი ასე შეაფასა: „მალე ევროპელები ბრეივიკს „საუკეთესო მსროლელის“ მედლით დააჯილდოვებენ“.

არც გაგვიკვირდება!

ქალაქ ეფესოში არტემიდეს ტაძრისთვის ხანძრის გამჩენი ჰეროსტრატეს სახელის საუკუნოდ დასავიწყებლად მთელ საბერძნეთში დადიოდნენ ახალი ამბების მაუწყებელნი და აფრთხილებდნენ ხალხს:

— არ გაბედოთ გიჟი ჰეროსტრატეს სახელის დამახსოვრება, რომელმაც პატივმოყვარეობის გამო დაწვა ქალღმერთ არტემიდეს ტაძარი.

**P.S. კუნძულ უტოიაზე ბრეივიკის მიერ მოკლული ქართველი გოგონას, თამთა ლიპარტელიანის გულდათუთქულმა მამამ ავთანდილ ლიპარტელიანმა, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ ქუთაისში დაუკავშირდა, თქვა: „ჩემი შვილის მკვლელი ამ ქვეყნად ცოცხალი არ უნდა დადიოდეს“...**

**შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულით გაოგნებულმა მამამ იენს ბრეივიკმა (პროფესიით დიპლომატმა) მასზე უარი თქვა და განაცხადა, რომ ანდერს ბრეივიკს თავი უნდა მოეკლა, დაუყოვნებლივ და დაუფიქრებლად.**

**და ინებეთ გადამკვეთი პარალელები:**

**ვაჟას „ბახტრიონში“ მოღალატე წოწოლას გულამოსკვნით დასტირის დედა: „მარტომ იტიროს დედამა, წინ ცრემლი დაიგუბოსა“, რადგან შვილმა „ლაფით დათხიფა“ თანამოძმეები.**

„ვინღა გაივლევს ახლოსა,
ჩააქვავებენ დედანი.
მიწამ შეჭამოს ცოცხალი
ე მაგისთანა მხედარი“.

**„ე მაგისთანა მხედრის“ — ნორვეგიელი ტერორისტის სახელის დავიწყება, ეგებ, ღირდეს სამუდამოდ...**

**არმაზ სანებლიძე**

ჰკა მამათა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველ ხალხს ძალიან ძვირი უჯდება ევროამერიკელთა წინაშე პოლიტიკური კლოუნებისა და „ფოკუსნიკების“ კუდის ქიცინი — რუსეთის გაუთავებელი ლანძღვით ქართველ ხალხს აყენებენ სახიფათო მდგომარეობაში. როდის დაელაპარაკე რუსეთს, იქნებ იმაზე გაცილებით უკეთეს პირობებს გთავაზობს, ვიდრე დასავლეთის ყალბი მიეთ-მოეთი და მათი სირცხვილის ოფლის მომდენი მოთხოვნების შესრულებაა?! კიდევ კარგი, რუსეთში იციან, რომ ეს ანტირუსული ფსიქოზი ერთი მუჭა პოლიტიკური თაღლითების ბოდვაა, რომელსაც ქართველი ხალხისთვის მხოლოდ უბედურება მოაქვს.**

# პოლიტიკური ცირკი და მისი ტაკიმასხარები

**საფარ-ბეგის უღირსი საქციელის გამო მისმა გამზრდელმა ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა. რა უნდა ქნას ბიძინა ივანიშვილმა მდიდარი სექსის კავალრისა და „ნიჩურტა ქართველის“, როგორც ის ქართველებს ახასიათებს, საქართველოს პრეზიდენტად შემოსაღებისთვის?**

„მდიდარი სექსის“ მქონე ადამიანის გაპრეზიდენტებაში ბიძინა ივანიშვილის იმედის ნისლში გახვეული ხალხი არაფერ შუაშია. მან კი პრეზიდენტად კურთხევისთანავე თავისი ამღზევებელი „გადააგდო“. ხალხი? ხალხს იგი არ ცნობს, ისევე როგორც ხალხი — მას. სამაგიეროდ, **თამამად შეიძლება ეწოდოს უცხოეთის მიერ დაპროგრამებული არასამთავრობოებისა და ხელმოცარული ოპოზიციონერების პრეზიდენტი,** რომელსაც იმაზე მეტი არაფერი ეკითხება, რასაც „ნიჩურტა ქართველის“ ტვინი დაიტევს. ის ხმაურით მოითხოვს პარლამენტში ანგარიშის ჩაბარებას და მის მოსასმენად მთელი მთავრობის დასწრებას. **რა გაგიკეთებია, ბიძიკო, რა უნდა ჩააბარო?!** ფრთიანი ფრაზით კი გამოიჩინა თავი: „ძალიან მდიდარი სექსი მქონდა, მაქვს და მექნება“-ო. ადრე მეომარი მხარეები მთავარსარდლების შებრძოლებით წყვეტდნენ სადავო საკითხებს. **ახლა, როცა ევროატლანტიკიდან სექსუალური აღვირახსნილობა და სიბილწე ღვარცოფივით აგორებულა კაცობრიობის წასალეკად და ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი იმუქრება, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება უნდა დაკანონდესო, უპრიანი იქნებოდა, მთავარსარდლები თავიანთი სექსუალური შესაძლებლობით შეჭიდებოდნენ ერთმანეთს. აი, მაშინ ნახავდნენ, რა შეუძლია „მდიდარი სექსის“ მქონე ჩვენს პრეზიდენტს!**

საქართველოში არ წყდება პოლიტიკური საცირკო წარმოდგენებით ხალხისთვის თავბრუსხვევა. ამგვარად ილვწის ყველა ილუზიონისტი უცხოელი მწვრთნელების საამებლად.

მათი „ფოკუსნიკობა“ ნათლად ჩანს, როცა აწყობენ ვითომ კონკურსს რომელიმე რიგითი თანამდებობისთვის და, ვინც უნდა მიიღონ, წინასწარ გადაწყვეტილი აქვთ; გულუბრყვილონი კი მონდომებით მონაწილეობენ ამ ტაკიმასხარობაში.

**ხომ შეიძლება ეს ფოკუსები მოაწყონ უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშვნისას, ვთქვათ, როცა მეჩექმეთა მინისტრად მეხაშეს დასვამენ. მოაწყონ კონკურსი და ხალხს უმტკიცონ, რომ ნემსსა და სადგისს მეჩექმეზე უკეთესად მეხაშე იყენებს. ეს ილუზიონისტური თაღლითობა კარგად ჰქონდათ დამუშავებული ნაციონალებს, როცა სოფლის მეურნეობის მინისტრად მამალი ძროხების მწველავს ნიშნავდნენ.** მოკლედ, ამ ცირკის არენად გადაქცეულ პოლიტიკაში მინისტრების დასანიშნად კონკურსების მოწყობას ფოკუსებიც აღარ სჭირდება, ისე სვამენ მეხაშეს — მეჩექმედ.

**სხვა რა უნდა ეწოდოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის მიერ შემოთავაზებული კანდიდატის თავდაცვის მინისტრად კურთხევას?** სამხედრო საქმის გარდა, ყველაფერში ისე ერკვევა, რომ ფრინველისფეხებიან ქოხში მჯდომ ჯადოქარსაც გაუკვირდება. პრემიერიც არის, საგარეო საქმეთა მინისტრიც და ცესკოს თავმჯდომარეც — ყველა პოლიტიკური პრობლემის სოფლის ორღობის ყბედი დედაკაცის თვითდაჯერებით შემფასებელ-შემფერადებელი. მასზე უკეთესი ვინ უნდა ინატროს ამქვეყნიური ჭირ-ვარამის ტვირთით წელში გადრეკილმა ერმა?!

ევროპის სახალხო პარტიამაც საქართველოს ხელისუფლების თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდა ვიზალიბერალიზაცია. ამ პარტიის პრეზიდენტი **ჟოზეფ დოლი** დელეგაციით ეწვია საქართველოს. რა საკითხს აყენებ მასთან, ტერორისტებისა და ლტოლვილებისგან შეწუხებული საკუთარ თავს რომ ვერ შველის და შენგან მოითხოვს 235 ათასი მიგრანტის მიღებას 147 მილიონი ევროს საფასურად? **ეს ხელისუფლება ვერ უნდა მიხვდეს, რომ ევროპაში ფუჭი ფაფხურისა აღარავის სჯერა?! რა გინდათ, უცხოელების დავალების შესრულებას უნდა გადააყოლოთ საქართველო?!** რუსეთთან უმძრახობით რაც დარჩა, იმ საქართველოსაც რომ სპობთ, გგონიათ, ამის გამო „სტრატეგიული პარტნიორები“ ლოყებს ჩამოიხოკავენ?

**საქართველოს ხელისუფლება ისეა დაბუჟებული ევროატლანტიკური ბანგით, რომ ვერ ხედავს ან არ სურს, დაინახოს თავისი დამცირებული ადგილი ამ ვითომ სტრატეგიულ თანამეგობრობაში. ისე უკიდიათ ყველგან ევროკავშირის დროშები, თითქოს, ამ გაერთიანების წევრობა კი არა, ვიზალიბერალიზაცია არ ჰქონდეთ საღრეჭი.**

თუნდაც **ავღანეთში გაგზავნილი სამხედროების რაოდენობის მიხედვით ამერიკელების შემდეგ მეორე ადგილი როგორ ავხსნათ, თუ არა პოლიტიკური ცირკის კლოუნებისა და თაღლითების აღვირახსნილი პარპაშით, სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარ საქართველოში?** ქართველ ხალხს ძალიან ძვირი უჯდება ევროამერიკელთა წინაშე პოლიტიკური კლოუნებისა და „ფოკუსნიკების“ კუდის ქიცინი — რუსეთის გაუთავებელი ლანძღვით ქართველ ხალხს აყენებენ სახიფათო მდგომარეობაში. როდის დაელაპარაკე რუსეთს, იქნებ იმაზე გაცილებით უკეთეს პირობებს გთავაზობს, ვიდრე დასავლეთის ყალბი მიეთ-მოეთი და სირცხვილის ოფლის მომდენი მოთხოვნების შესრულებაა?! კიდევ კარგი, რუსეთში იციან, რომ ეს ანტირუსული ფსიქოზი ერთი მუჭა პოლიტიკური თაღლითების ბოდვაა, რომელსაც ქართველი ხალხისათვის მხოლოდ უბედურება მოაქვს. ევროპაში საჩივლელად რომ გარბიან, რისი იმედი აქვთ — რუსეთს შეაშინებს ეს ევროპელი ბუა და მუხლებზე დააყენებს? ევროკავშირი, რუსეთისათვის სანქციების დაწესებით თვითონვე შეშინდა იმხელა ზარალი ნახა. რუსეთი კი უფრო გაძლიერდა.

**ავღანეთიდან ჩამოტანილი ამერიკული ტანკებითა და საფრანგეთში შეძენილი საჰაერო თავდაცვის სისტემით მოაქვთ თავი, თითქოს ამ ტანკებით ავღანეთის საკითხი უფრო არ ააქოთეს, საფრანგეთის ამ სისტემას კიდევ ჩიტი არ გამოეპარება.** რა ღობე-ყორეს ედებით, შვილოსა, როცა საქართველოს გაერთიანებისა და აღორძინების პრობლემის გადაჭრა რუსეთთან მეგობრობის აღდგენით შეგიძლიათ. **კიდევ კარგი, ევროატლანტიკელ პარტნიორებს რუსეთი უშლის ხელს, თორემ საჯდომზე ბანტგაკეთებული პედერასტები წალეკავდნენ ყველა სიწმინდეს და საქართველოსაც ისე შთანთქავდნენ, ხმის ამოღების თავიც აღარავის ექნებოდა.**

ისე დიდია უცხოელი დამფინანსებლების გავლენა ქართულ პოლიტიკაზე და ცირკის კლოუნებად ქცეულ პოლიტიკოსებზე, რომ ხალხს სულაც არ აქცევენ ყურადღებას. მხოლოდ არჩევნების წინ თუ გაახსენდებათ ხალხის არსებობა, რადგან წარმატება, ძირითადად, უცხოელ მფარველებზეა დამოკიდებული. კანონებიც თავიანთი ინტერესებს მოარგეს. თუ პარლამენტარი იყავი თუნდაც რამდენიმე თვით, წლოვანებას მნიშვნელობა არ აქვს, ისეთ პენსიას ინიშნავენ სიკვდილამდის, რომ ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ, დამშეულ პენსიონერს არც კი დაესიზმრება.

**სიცრუის ბანგიდან გამოფხიზლებულ ხალხს სჭირდება დეპუტატის გამოწვევის დაკანონება, თორემ არჩევნების შემდეგ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობამოხსნილი ისედაც ცრუ ბიუროკრატია იხრწნება და, ქვეყნის საშინელი უბედურებიდან გამოყვანის მაგიერ, სექსუალური უკუღმართობისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების შემოტყუებით ცდილობს ევროატლანტიკელი მფარველებისთვის ერთგულების დამტკიცებას.**

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, აიძულეს, თანამდებობა დაეტოვებინა. მისი მომხრე პარლამენტში მხოლოდ შვიდი აღმოჩნდა. ჰოდა, **რადგან ასე მონდომებულები არიან უცხოეთის ლაქია პარლამენტარები, დააკანონდეს ერთნაირსქესიანთა ქორწინება, თვითონ იქორწინონ ერთმანეთზე და ამ სიბინძურით დატკბნენ.** ამიტომაა, რომ პოლიტიკური ცირკის არენიდან არ მიდიან გაკოტრებული და შერცხვენილი არსებები, რადგან მათ ოინბაზობას უცხოელი დამფინანსებლები მართავენ და ერთგულ ძაღლისშვილებს ვერაფრით ელევიან. ამგვარ არსებები, ნამუსი რომ ჰქონდეთ, ხალხში გამოჩენას უნდა უფრთხოდნენ.



**სიცრუის ბანგიდან გამოფხიზლებულ ხალხს სჭირდება დეპუტატის გამოწვევის დაკანონება, თორემ არჩევნების შემდეგ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობამოხსნილი ისედაც ცრუ ბიუროკრატია იხრწნება და, ქვეყნის საშინელი უბედურებიდან გამოყვანის მაგიერ, სექსუალური უკუღმართობისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების შემოტყუებით ცდილობს ევროატლანტიკელი მფარველებისთვის ერთგულების დამტკიცებას**

მოკლედ, **ამ პოლიტიკური ცირკის არენაზე კვლავ ტაკიმასხარაობის მოწმენი ვართ. ამჟამინდელ ხელისუფლებას ნაციონალებისა და მათი მიმდევრების მიერ ჩაწყობილი ნაღმები კიდევ ბევრგან აუფეთქდებათ, თუ პრინციპულად არ ამხილეს მათი ოინბაზობა.**

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზეა დამოკიდებული. ეს კარგად იციან დასავლეთის მიერ ნაკვებმა პარტიებმა და არასამთავროებმაც და სწორედ ამიტომ რეაგირებენ ასე გაცოფებით რუსეთთან ურთიერთობის დათბობის ყოველგვარ მცდელობაზე, და ხალხის სურვილს, ამ ქვეყანასთან მეგობრობის აღდგენის შესახებ, ფულით მოსყიდვას აბრალებენ თვითონ დოლარზე გაყიდული არარაობანი.

**ყბადაღებული იმედი კი, რომ ევროატლანტიკა გვიხსნის, სახედრის ცხვირწინ დაკიდებული ბალახია, რომელიც არც მოგვეცემა და არც დაგვეკარგება. მის მოპოვებას აყოლილი კი მოუსავლეთის კარს მივადგებით.**

უცხოეთის მიერ მოქრთამული ერის სამარცხვინო შვილები ცირკის ტაკიმასხარა ილუზიონისტის სიცრუის კვამლს ჭარბად აფრქვევენ და ბაწრით ცდილობენ, ევროატლანტიკურ ფორანს უკნიდან გამოაბან საქართველო მის დაყრილ ნაგავსა და მტვერში საჩანჩალოდ.

**„ვარდების რევოლუციამდე“ ქვეყანას ვალი ორი მილიარდი დოლარი ჰქონდა, ახლა ეს ვალი თოთხმეტ მილიარდამდე გაიზარდა ხალხსა და სამშობლოზე ზრუნვისაგან თავისუფალი ხელისუფლებების ძალისხმევით. სად წავიდა ეს მილიარდები?!**

მეოთხედი საუკუნეა, იძარცვება, იყიდება და ნადგურდება პატარა, მაგრამ მძლავრი სამრეწველო პოტენციალის მქონე აგრარული საქართველო; ქართველი ხალხი კი საშინელ დღეშია სულგაყიდულ და გადაგვარებულ ვაიქართველთა გაუმაძღრობისა და ამბიციების გამო.

**ხელისუფლებამ გაბედა და უცხოელებზე მიწის გაყიდვა დროებით შეაჩერა. უცებ აღავლავდნენ გაყიდული პარტიები და არასამთავრობოები, — როგორ გაბედეს, ასე ხომ ევროპელობას დავკარგავთო, და შემოდეს ქართული მიწები დახლზე. არადა, ეს არსებები ქართველები არიან. ამას ოდესმე იფიქრებდა ჩვენი წინაპარი, სიცოცხლის ფასად რომ იცავდა მიწის ყველა გოჯს?!**

სოფელი იცლება, თბილისი ისეა გაჭედილი, ქუჩაში გავლა ჭირს. ხელისუფლება ევროპელი ჯვაროსნების ხუთჯვრიანი და ევროკავშირის დროშებით იწონებს თავს. ეროვნული, წმინდა ქართული რაღა საჭიროა. ინგლისურად ბუტბუტიც იმისთვის სჭირდებათ, ევროპელად რომ მონათლონ. მაგრამ ინგლისმა შეიძლება პირველმა დატოვოს ევროკავშირი, მერე რა უყონ ინგლისურს? — მერე ის, რომ ამერიკა თურმე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და...

ეს ის ამერიკაა საბჭოთა კავშირის ატომური დაბომბვის გეგმა რომ შეადგინა, რომელიც თბილისის მიწასთან გასწორებასაც ითვალისწინებდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სტალინმა თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობა, მაშინ, როდესაც მეტროპოლიტენი თბილისზე დიდ ქალაქებშიც არ ჰქონდათ.

სტალინის მსგავსი გენიოსი მსოფლიოს არ ჰყოლია, ის ქართველი ერის სიამაყეა. ყველა ჯურის პარაზიტი ტაკიმასხარა კი ცდილობს სტალინის სახელის შებღალვას, მაგრამ ამით მისი სიდიადე უფრო ბრწყინდება.

საქართველოში ამგვარი პარაზიტების ტაკიმასხარაობა გრძელდება. დღეს ჩვენთან პარაზიტი მწერების გამოჩეკვის ამინდია, ხვალ კი ისე გაქრებიან, როგორც ქრება ყველა არარაობა.

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი

„ვერბა“ დიდი მგრძნობელობით გამოირჩევა, რაც იძლევა წამში 500 მეტრი სიჩქარით მოძრავი საჰაერო ობიექტების შორ მანძილზე დაზიანების საშუალებას: ვერტიკალურად — 6 კმ-ზე, ხოლო სიმაღლეზე — 4 კმ სიშორეზე. თვითდამიზნებითი ქობინი ავტომატურად ახორციელებს ცრუ თბური მიზნების (თბური შეფერხებების) „სელექციას“ და ყურადღება გადააქვს უფრო ძლიერი თბური გამოსხივების ობიექტზე.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ვერბა» თუ «სტინგერი»?

**„ვერბა“ — ეს არის რუსული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი დაბალ სიმაღლეზე მოძრავი საჰაერო ობიექტების დასაზიანებლად შემხვედრ და დადევნების პირობებში. „ვერბა“ დიდი სიზუსტით ანადგურებს ფრთოსან რაკეტებსა და უპილოტო საფრენ აპარატებს.**







კომპლექსში შედის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელსაც შეუძლია, აღმოაჩინოს საჰაერო ობიექტები, განსაზღვროს მათი პარამეტრები და აღმოჩენილი მიზნები გაანაწილოს მეზენიტეებს შორის მათი განლაგების მიხედვით.

ამ კომპლექსის რაკეტა აღჭურვილია თვითდამიზნების სამსპექტრიანი უნიკალური ქობინით, რომელიც მუშაობს ულტრაიისფერ, ახლო და საშუალო ინფრაწითელ დიაპაზონში. სწორედ ეს აძლევს საშუალებას, მიიღოს მრავალმხრივი ინფორმაცია მიზნის შესახებ.

ამას გარდა, გადასატან საზენიტო სარაკეტო კომპლექს „იგლა-C“-სთან შედარებით „ვერბა“ უფრო დიდი მგრძნობელობით გამოირჩევა, რაც იძლევა წამში 500 მეტრი სიჩქარით მოძრავი საჰაერო ობიექტების შორ მანძილზე დაზიანების საშუალებას: ვერტიკალურად — 6 კმ-ზე, ხოლო სიმაღლეზე — 4 კმ მანძილზე.

თვითდამიზნებითი ქობინი ავტომატურად ახორციელებს ცრუ თბური მიზნების (თბური შეფერხებების) „სელექციას“ და ყურადღება გადააქვს უფრო ძლიერი თბური გამოსხივების ობიექტზე.

სამხედრო სპეციალისტების აზრით, „ვერბა“ თავისი მონაცემებით მნიშვნელოვნად აღემატება ამერიკულ კომპლექს Fim-92 „სტინგერს“ და მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.

„სტინგერის“ გამოყენება დადებით შედეგს იძლევა მხოლოდ 180 მეტრზე მაღლა მფრენი საჰაერო მიზნების წინააღმდეგ, ანუ 180 მ-ზე დაბლა მოძრავ ვერტმფრენს თავისუფლად შეუძლია დაცხრილოს „სტინგერებით“ შეიარაღებული ქვეითთა ჯარის პოზიციები.

ამასთანავე, სიმაღლეზე „სტინგერის“ მოქმედების (ობიექტის დაზიანების) მაქსიმალური მანძილი 3,8 კმ-ია, ჰორიზონტალურად მოქმედების კი — 4,8 კმ, „ვერბას“ ანალოგიური მონაცემები კი ასეთია: სიმაღლეზე — 4 კმ, ჰორიზონტალურად — 6 კმ.

**«სტინგერის» გამოყენება დადებით შედეგს იძლევა მხოლოდ 180 მეტრზე მაღლა მფრენი საჰაერო მიზნების წინააღმდეგ, ანუ 180 მ-ზე დაბლა მოძრავ ვერტმფრენს თავისუფლად შეუძლია დაცხრილოს «სტინგერებით» შეიარაღებული ქვეითთა ჯარის პოზიციები. ამასთანავე, სიმაღლეზე «სტინგერის» მოქმედების (ობიექტის დაზიანების) მაქსიმალური მანძილი 3,8 კმ-ია, ჰორიზონტალად მოქმედების კი — 4,8 კმ. «ვერბას» ანალოგიური მონაცემები კი ასეთია: სიმაღლეზე — 4 კმ, ჰორიზონტალურად — 6 კმ**

# რუსულმა მზვერავმა თვითმფრინავმა ამერიკელები შეაშფოთა

**რუსეთის სამხედრო ავიაციაში ჩადებული ინვესტიციები და მოდერნიზაციის პროცესი შეუმჩნეველი არ დარჩენია ამერიკულ პრესას. გამოცემა The Diplomat-ი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ რუსების ახალი მზვერავი თვითმფრინავი Ту214P სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს.**

ამერიკელი ექსპერტის — **კეიტლინ პეტერსონის** აზრით, რუსული მოდერნიზებული მზვერავი თვითმფრინავი მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვნად აღემატება თავის ამერიკულ ვიზავის რადიოელექტრონული და რადიოტექნიკური ბრძოლის თვალსაზრისით.

კომპლექსური დაზვერვის თვითმფრინავი Ту214P, რომელიც შეიქმნა Ил-20-ის შესაცვლელად, აღჭურვილია ნებისმიერ ამინდში მოქმედი რადარებითა და სისტემა „ფრაქციის“ ოპტიკურ-ელექტრონული სენსორებით, რომლებიც მოწინააღმდეგის საბრძოლო ობიექტებისა და პოზიციების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

თვითმფრინაზე დამონტაჟებული აპარატების საშუალებით შესაძლებელია მაღალხარისხიანი ფოტო-ვიდეოს გადაღება ინფრაწითელ და ხილულ სპექტრში, აგრეთვე, მათი გამოსახვა დისპლეიზე რეალურ დროში.

ამას გარდა, Ту214P-ს შეუძლია მოწინააღმდეგის რადიოსიგნალების დაჭერა, თანამგზავრული და ფიჭური კავშირგაბმულობის ტელეფონების მოსმენა.

ამჟამად რუსეთის შეიარაღებულ ძალებს 2 ასეთი თვითმფრინავი ჰყავს. მათგან ერთი მოქმედებდა სირიაში, სადაც „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების პოზიციების დასაზვერავად იყენებდნენ.



**კომპლექსური დაზვერვის თვითმფრინავი ТУ214P, რომელიც შეიქმნა ИЛ-20-ის შესაცვლელად, აღჭურვილია ნებისმიერ ამინდში მოქმედი რადარებითა და სისტემა „ფრაქციის“ ოპტიკურ-ელექტრონული სენსორებით, რომლებიც მოწინააღმდეგის საბრძოლო ობიექტებისა და პოზიციების გამოვლენის საშუალებას იძლევა**

**ТУ214P-ის ტექნიკური მახასიათებლები:**

მზვერავი-თვითმფრინავი Ту214P შედგება სამი ნაკეთურისგან:

საოპერატორო, საყოფაცხოვრებო და აგრეგატული.

აქვს 2 ძრავა.

* ასაფრენი მასა — 111 ტ
* ფრთების განშლა — 42 მ
* სიგრძე — 46 მ
* კრეისერული სიჩქარე — 850 კმ/სთ
* მოქმედების სიშორე — 6500 კმ
* ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 12 კმ



# აშშ-მა პირველად გამოიყენა B-52 «ისლამური სახელმწიფოს» წინააღმდეგ

**ამერიკელებმა მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გამოიყენეს სტრატეგიული ბომბდამშენი B-52 ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების პოზიციების დასაბომბად.**

**B-52-ის ტექნიკური მახასიათებლები:**

ბოინგი B-52 „სტრატოფორტრესი“ („სტრატოსფეროს ციხესიმაგრე“) — ეს არის მეორე თაობის ამერიკული მძიმე საკონტინენტთაშორისო ბომდამშენი, რომლითაც აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალები 1955 წლიდან არის შეიარაღებული.

* ეკიპაჟი — 5 კაცი
* სიგრძე — 49,05 მ
* ფრთების განშლა — 56,3 მ
* მასა: — ცარიელის — 83250 კმ; შეიარაღების — 120 ათასი კგ
* მაქსიმალური სიჩქარე დიდ სიმაღლეზე — 957 კმ/სთ
* საბრძოლო მოქმედების რადიუსი — 7210 კმ
* ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 1675 მ

შეიარაღება:

* ატომური და ჩვეულებრივი ბომბები, მაღალი სიზუსტის რაკეტები, ინფრაწითელი და მგრძნობიარე სატელევიზიო სისტემები.

„18 აპრილს თვითმფრინავმა პირველი საბრძოლო გაფრენა შეასრულა. მიზანი კაიარში იარაღის საწყობი იყო, B-52 კვლავაც განახორციელებს წერტილოვან დარტყმებს“, — განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა **სტივ უორენმა.**

B-52 ლუიზიანის შტატში განლაგებული ამერიკული ბაზიდან ყატარში, ელ-უდეიდის ავიაბაზაზე გადაიყვანეს. ეს ამერიკელების მიერ ერაყში სტრატეგიული ბომბდამშენის გამოყენების პირველი შემთხვევაა ბოლო 26 წლის განმავლობაში. აქამდე „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო ოპერაციებში ამერიკელები, ძირითადად, გამანადგურებელ F/A-18 „სუპერ-ჰორნეტს“ იყენებდნენ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1910 წლიდან არსენ ონიანი სამეცნიერო საქმიანობაში იყო ჩართული პროფესორ ნიკო მარის მითითებით. არსენ და მელიტონ ონიანების ეზოში, სადაც დიდი კაკლის ხე დგას, დღესაც შემორჩენილია უზარმაზარი ფლეთილი ქვის ფილა (კა), რომელიც ასევე ქვის საყრდენებზე დგას. ნიკო მარი 1910 წელს, სვანეთში მოგზაურობის პირველ წელს, სწორედ არსენ ონიანის ოჯახში ათევდა ღამეს და მუშაობდა სვანური ენის შესწავლაზე. ალბათ, შესვენებისას ლითონის ბასრწვერიანი საგნით (დანის წვერით, ლურსმნით ან წაწვეტებული ფოლადის ჩხირით) ფლეთილ ქვაზე, კაზე, ამოუტვიფრავს თავისი სახელი და გვარი: „ნიკო მარი. 1910 წელი“.**

# «ვეფხისტყაოსნის» სვანურად თარგმნის ზოგიერთი საკითხისათვის

„არ მეშინია შარისა,
გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა,
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართულის გვარისა“.
ვაჟა-ფშაველა



**მასალის მიზანი არ არის შოთა რუსთაველის სიდიადის, მისი „ვეფხისტყაოსნის“ როლისა და ადგილის შეფასება და განსაზღვრა, ეს დიდად აღემატება ჩემს შესაძლებლობებს. საქმე უფრო მარტივადაა. არის თუ არა საჭირო, სვანურ ენაზე არსებობდეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. სწორედ ამაზე, მინდა, ჩემი აზრი გავუზიარო მკითხველს.**

1712 წლიდან, როცა ვახტანგ მეექვსემ პირველად დასტამბა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, იგი, დაუზუსტებელი მონაცემებით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 272-ჯერ გამოიცა სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ფორმით. „ვეფხისტყაოსანი“ ყველაზე მეტჯერ, რა თქმა უნდა, საქართველოში გამოიცა — დაახლოებით 70-ჯერ.

იყო მცდელობა, „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილიყო ქართველურ ენებზეც — მეგრულსა და სვანურზე, მაგრამ ამ იდეას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა არა საზოგადოების, არამედ იმ ვაი-პატრიოტი „ინტელიგენტების“ მხრიდან, რომლებიც სულსაც კი მიჰყიდიან (თუ აქვთ) უცხოურ კულტურას და თავიანთი „მაღალი კულტურითა და განათლებით“ წინ აღუდგებიან საუკუნეებგამოვლილ ქართულ კუთხურ კულტურასა და განათლებას, რომლის ფესვებსა და ნიადაგზე აღიზარდა ათასეულობით თაობა ანტიკური ხანიდან დღემდე.

ორლობის მოქართულე „ინტელიგენტუნა“ სიტყვის ძირებსა და ენის განვითარებაზე ცხარედ ეკამათება მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე მოლაპარაკე და ამ დარგში უდიდეს ავტორიტეტს, აკადემიკოს **ნიკო მარს**. არ სწვდება თემის სიღრმეს და „ერის პატრონის“ მანტიით შემოსილი, კუდაბზიკობით, ამპარტავნობით ქვეყანას მოძღვრავს ცრუ მოძღვრებით, რომელსაც არავითარი საფუძველი არ აქვს, გარდა სულელური ამბიციისა. თუ მისი უაზრო, პროვინციული თუ პორნოგრაფიული ნაწარმოები რომელიმე ენაზე ითარგმნა მისივე მცდელობით, დიდად კმაყოფილია და ამაყობს, ხოლო შხამსა და გესლს არ იშურებს ადამიანისთვის, რომელიც წლების განმავლობაში თავაუღებლად შრომობდა უკვდავი შოთას უკვდავი აზრების ქართულ დიალექტებზე გადასატანად და შთამომავლებისთვის საზრდოდ მისაწოდებლად, რათა ხელში არ ჩაუკვდეს ის ენა, რომელზეც მისი წინაპართა წინაპარი საუბრობდა.

დიდი გატაცებით იკვლევენ ფრინველების, ნადირთა და ზღვის ბინადართა ენას. მე რატომ დავუკარგო ჩემს შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილიშვილებს ის ენა, რომელზეც მათმა დიდმა ბაბუამ **არსენ ონიანმა** 1910-იან წლებში არაადამიანურ პირობებში გახევებული ქაღალდის ნაგლეჯებზე თარგმნა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“?!

ჩემს სიცოცხლეში არასოდეს გამომითქვამს და არც ვიტყვი კრიტიკის მაგვარსაც კი სტალინის პიროვნებაზე, მაგრამ არ ვთვლი გამართლებულად მის მკაცრ კრიტიკას ნიკო მარის მიმართ ენათმეცნიერების საკითხებში.

თუ ნიკო მარს არ ჰქონდა ბოლომდე გარკვეული მეგრულ-სვანური ენების წარმომავლობისა და მათი სტადიური განვითარების საკითხები, როგორ უნდა სცოდნოდა ასე უაპელაციოდ დიდ ქართველ პოეტს **მურმან ლებანიძეს**, რომელმაც გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და საუკუნეებგამოვლილ ენასა და კულტურასთან ერთად შეურაცხყო მილიონზე მეტი ადამიანი.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას სტალინმა გამოიძახა კარიკატურისტი **ეფიმოვი**, რომელიც გაზეთ „პრავდაში“ აქვეყნებდა თავის ნამუშევრებს, და უთხრა: „მე მომწონს თქვენ მიერ შექმნილი კარიკატურები, მაგრამ არ მომწონს, როდესაც სამურაებს ეშვებით ხატავთ, მათ ეშვები არ აქვთ და ეს მათი ეროვნული შეურაცხყოფაა. სხვა რამ ხერხს უნდა მიმართო“. **ჩვენ კი, სვანებსა და მეგრელებს, ისე შეურაცხგვყოფენ პრესითა და ტელევიზიით, რომ უკან ერთხელაც არ მოიხედავენ. ტერმინებიც კი შექმნეს: „სვანი კრიმინალი“, „სვანი ქურდი“, „სვანი ბოროტმოქმედი“ და სხვ.** თუ განვითარებული და მაღალკულტურული ერის შვილები ასე მიმართავენ თავიანთი ოჯახის წევრებს, **ჩვენ, „ჩამორჩენილი“ სვანები და მეგრელები, არასოდეს ვიტყვით: „ქართველებმა გაგვძარცვეს“, „ქართველებმა დაგვხოცეს“ და ასე შემდეგ, რადგან კარგად ვიცით, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვერ გავარჩევთ „სვანებმა“ გაგვძარცვეს თუ „ქართველებმა“.**

**ვინ უნდა იყოს დაინტერესებული, სვანები და მეგრელები უფრო შორეული წარსულიდან მოდიან თუ ქართები, ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ხალხისთვის, რომელიც ერთი ოჯახია?! მაგრამ ეს იმ კაცის სეპარატისტული იარაღია, რომელსაც საქართველოში კინკლაობისა და არეულობის გამოწვევა სურს. საქართველოს მტერი «ვეფხისტყაოსნისა» და სახარების თავის დიალექტზე მთარგმნელი კი არ არის, არამედ ის, ვინც ამას სეპარატიზმის საბურველში ახვევს**

ან **ვინ უნდა იყოს დაინტერესებული, სვანები და მეგრელები უფრო შორეულ წარსულიდან მოდიან თუ ქართები, ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ხალხისთვის, რომელიც ერთი ოჯახია?! მაგრამ ეს იმ კაცის სეპარატისტული იარაღია, რომელსაც საქართველოში კინკლაობისა და არეულობის გამოწვევა სურს. საქართველოს მტერი „ვეფხისტყაოსნისა“ და სახარების თავის დიალექტზე მთარგმნელი კი არ არის, არამედ ის, ვინც ამას სეპარატიზმის საბურველში ახვევს.** ამის ნათელი მაგალითია **მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე)** ჩანაწერი:

„ბოლო პერიოდში ისევ დაიწყო მსჯელობა „სახარების“! სვანურად და მეგრულად თარგმნის აუცილებლობის შესახებ. არადა, ამ კილოების მფლობელმა ქართველობამ საკუთარ დედაენაზე დიდი ხნის წინათ თარგმნა „წმიდა წერილი“ (და ჩვენ, სვანებმა და მეგრელებმა, მათთან ერთად არა? — გრ. ონიანი).

**თუ დიდად პატივცემულ მიტროპოლიტს ჰგონია, რომ სვანური და მეგრული დიალექტები გაცილებით გვიან გაჩნდა, ვიდრე „წმიდა წერილი“ ითარგმნებოდა, კიდევ ერთხელ გავკადნიერდები და ვურჩევ, კიდევ ერთხელ წაიკითხოს ქართველი ერის ისტორია.**

აკადემიკოსმა ნიკო მარმა 1910-1911 წლებში ორჯერ იმოგზაურა სვანეთში, სადაც სერიოზული სამუშაო ჩაატარა, როგორც ენათმეცნიერმა, ხოლო მოგზაურობის შთაბეჭდილებები 1917 წელს გამოაქვეყნა პეტერბურგში საიმპერატორო აკადემიის კრებულში, რომელიც შემდგომ ცალკე წიგნად გამოიცა სათაურით **„მოგზაურობა სვანეთში“.**

წიგნის მეექვსე გვერდზე ვკითხულობთ:

„იმისდა მიუხედავად, თუ როგორ აღვიქვამდი სვანებს, ვუსმენდი და ვგებულობდი მათ მეტყველებას, ვეცნობოდი მათ ტრადიციულ ინტიმურ ინტერესებს, მე თანდათან შევიგრძნობდი, რომ სვანეთში ყოფნისას დანარჩენი სამყაროდან მაშორებდა არა მარტო კავკასიის მაღალი ქედები, ძნელად გადასასვლელი უღელტეხილები და ღრმა ხეობები, არამედ კულტურის ათასწლეულები. როგორც ათონზე ყოფნისას მეჩვენებოდა, რომ აღმოვჩნდი ბიზანტიურ-ქრისტიანული სულიერი ინტერესების ეპოქაში, ასევე სვანეთში თავს ვგრძნობდი „ურარტუელთა“ ეპოქის წარმართული კულტურის ატმოსფეროში. მეტიც — ვეშაპების („виш-апи) თაყვანისმცემელთა გარემოცვაში“.

რა ვუყოთ იმ ათასწლეულებს და იმ წარმართულ ეპოქას, რომელსაც ლეგენდარული აკადემიკოსი სვანეთს შორეული წარსულიდან უყურებს მსოფლიოს მომავალი ცივილიზაციის ფონზე?!

ხელისუფლების მოხარკე „ისტორიკოსთა“ თუ „ინტელიგენტუნების“ ხუშტურების გამო მივატოვოთ მშობლიური ენა სვანებმა და მეგრელებმა?

1893 წლის 18 მარტს სვანეთის ისტორიის, ენისა და ეთნოგრაფიის მკვლევარმა, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლმა და მეგობარმა **ბესარიონ ნიჟარაძემ** მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს — **გიორგი წერეთელს** სვანეთიდან წერილი გაუგზავნა. ის სიხარულით აუწყებდა, რომ ჩამოაყალიბა სკოლა, რომელშიც 36 ბავშვი სწავლობს, რომ სვანი ბავშვები ადვილად ითვისებენ ქართულ ენას (ნეტავ, რომელ ენაზე საუბრობდნენ, ვიდრე სკოლა გაიხსნებოდა და რომელი იყო მათი მშობლების ენა? — გრ. ონიანი).

ჩემს ბავშვობაშიც კი, 1940-1950-იან წლებში, ქვემო სვანეთში ქართულ ენას ლეჩხუმურ ენას უწოდებდნენ. ცოლი თუნდაც კახელი შეგერთო, სვანები მაინც იტყოდნენ, ლეჩხუმელი ქალი მოუყვანიაო.

სვანეთის ისტორიის უდიდესი მკვლევარი **ნიკო ბერძენიშვილი** შესანიშნავად აყალიბებს სვანეთის განვითარების ეტაპებს:

„სვანეთი, რა თქმა უნდა, უძრავი და ერთ წერტილზე გაყინული არ ყოფილა და სვანეთის ყველა ნაწილი განვითარების თანაბარ სიმაღლეზე არ მდგარა. ამის კვალად იცვლებოდა სვანთა იდეოლოგია გვაროვნული წყობილებიდან ფეოდალურ ურთიერთობამდე (ფეოდალურ ურთიერთობას ნაზიარები სვანები კარგავდნენ „სვანობას“, ქართველგლეხდებოდა — ზემო რაჭა, ლეჩხუმი, მეგრელგლეხდებოდა — ხობის წყლის სვანეთი), მაგრამ სვანეთი, ძირითადად, მაინც გადაურჩა ფეოდალური ურთიერთობის შეტევას, მან ვერ შეაღწია ამ ბედნიერ ქვეყანაში და მას მხოლოდ კიდეები მოაჭამა“ (ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, 1990 წელი, გვ. 425—426).

**არსენ ონიანი,** რომელიც 1873 წელს დაიბადა ლაშხეთის თემის ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ სასაშში, ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის დაწყებით სკოლაში მისულა, „რადგან იმ დროს სვანეთში სკოლები არსად არ არსებობდა“ (გასარკვევია, რომელ ენაზე სწავლობდნენ ან საუბრობდნენ საუკუნეების განმავლობაში სვანები — გრ. ონიანი).

აქვე გაახლებთ საქართველოს ეროვნული აკადემიის არქივიდან ამოღებულ არსენ ონიანის ავტობიოგრაფიის ფოტოასლს. *(იხ. სურათი)*



არსენ ონიანის ავტობიოგრაფია

1910 წლიდან არსენ ონიანი სამეცნიერო საქმიანობაში იყო ჩართული პროფესორ ნიკო მარის მითითებით. არსენ და მელიტონ ონიანების ეზოში, სადაც დიდი კაკლის ხე დგას, დღესაც შემორჩენილია უზარმაზარი ფლეთილი ▶

**ინსტიტუტის დირექტორს, ავთანდილ არაბულს, მისაღებში შევეფეთე. ინსტიქტურად სიხარულით გადავეხვიე და გადავკოცნე, ის კი კაბინეტში დინჯად შემიძღვა და სავარძლისკენ მიმითითა, თვითონ კი კარადისკენ წავიდა. იქიდან უშველებელი, შავ ყდაში მოქცეული გაყვითლებული ფურცლების გროვა გადმოიღო, რომელიც ნაჭრის ლენტით იყო შეკრული. შემდეგ ღიმილით გადმომაწოდა და მითხრა: „აი ის, რასაც ამდენი წლის განმავლობაში ეძებდით“. თვალზე ცრემლი მომადგა. გარეკანი საკმაოდ ძველი მომეჩვენა, მაგრამ მაინც გულში ჩავიკარი და კოცნა დავუწყე.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ქვის ფილა (კა), რომელიც ასევე ქვის საყრდენებზე დგას. ნიკო მარი 1910 წელს, სვანეთში მოგზაურობის პირველ წელს, სწორედ არსენ ონიანის ოჯახში ათევდა ღამეს და მუშაობდა სვანური ენის შესწავლაზე. ალბათ, შესვენებისას ლითონის ბასრწვერიანი საგნით (დანის წვერით, ლურსმნით ან წაწვეტებული ფოლადის ჩხირით) ფლეთილ ქვაზე, კაზე, ამოუტვიფრავს თავისი სახელი და გვარი: **„ნიკო მარი. 1910 წელი“.**

სვანეთის ყველა ძვირფასი სტუმარი არსენ და მელიტონ ონიანების სახლში უნდა დაბინავებულიყო. ეს ის პერიოდია, როდესაც, მიუხედავად უგზოობისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, სვანეთში მეცნიერული კვლევის ჩატარების მნიშვნელობა, მათ შორის ენათმეცნიერების თვალსაზრისით, განუზომლად დიდი იყო.

სხვადასხვა დროს სვანეთს სტუმრობდნენ **ვარლამ თოფურია, კორნელი კეკელიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი** და სხვა ისტორიკოსი თუ ენათმეცნიერი.

ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერები და კიდევ მრავალი სხვა, სწორედ არსენ და მელიტონ ონიანებს სტუმრობდნენ რეგულარულად.

ვინც კი ჩამოჯდებოდა იმ მაგიდასთან, რომელზეც 1910 წელს ნიკო მარმა ავტოგრაფი დატოვა, იმნაირადვე ტოვებდა ავტოგრაფს (მხოლოდ მეცნიერები, სხვას უფლება არ ჰქონდა), როგორიც დიდ ნიკოს ჰქონდა გაკეთებული. როცა უკვე სტუდენტი ვიყავი, ხოლო დიდი არსენ ბაბუა გარდაცვლილი (იგი 1947 წელს გარდაიცვალა), არსენ ონიანის ძმა მელიტონ ონიანი გვიყვებოდა, სვანეთში მეორედ 1911 წელს ჩამოსული ნიკო მარი ამ მაგიდაზე ავალებდა ჩემს ძმას სვანურად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნასო: „ეს სასარგებლო იქნება, როგორც მოსახლეობისთვის, რომლის 80%-მა არ იცის ქართული ენა, ხოლო აუცილებელი იქნება მეცნიერებისთვის, რათა ფართო პლანში დაინახონ ქართული და სვანური სიტყვების ძირების ერთგვაროვნება და მათი ურთიერთშერწყმის თავისებურებანი“.

არსენ ონიანმა ძალიან შრომატევად სამუშაოდ ჩათვალა დავალების შესრულება, მაგრამ ნიკო მარმა მას ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა და დაარწმუნა ამ დიდი საქმის შესრულების აუცილებლობაში.

„არსენა ძალიან დაკავებული იყო თავისი საქმით, — განაგრძობდა მელიტონი, — თავს ევლებოდა მის მიერ გახსნილ 4-წლიან სასწავლებელს, სადაც სულ 11 მოსწავლე ჰყავდა, იყო სოფლის მღვდელი, რაიონული მოსამართლე (შემცვლელი). ამასთანავე, მთელი ღამის განმავლობაში იჯდა ლამპის შუქზე და ჩაჰკირკიტებდა ხან „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს და ხან — თარგმანს. ამუშავებდა ლექსიკოგრაფიის მასალებს, აგროვებდა სვანური ლეგენდების, შელოცვების, ზღაპრებისა და ლოცვების ტექსტებს და გადაჰქონდა იგი ქაღალდზე. ჩემი ძმა ძალიან მოწესრიგებული, პატიოსანი და შრომისმოყვარე კაცი იყო, ის ძალიან უყვარდათ იმხანად ცნობილ მეცნიერებსა

## იყო მცდელობა, «ვეფხისტყაოსანი» თარგმნილიყო ქართველურ ენებზეც — მეგრულსა და სვანურზე, მაგრამ ამ იდეას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა არა საზოგადოების, არამედ იმ ვაიპატრიოტი «ინტელიგენტების» მხრიდან, რომლებიც სულსაც კი მიჰყიდიან (თუ აქვთ) უცხოურ კულტურას და თავიანთი «მაღალი კულტურითა და განათლებით» წინ აღუდგებიან საუკუნეებგამოვლილ ქართულ კუთხურ კულტურასა და განათლებას, რომლის ფესვებსა და ნიადაგზე აღიზარდა ათასეულობით თაობა ანტიკური ხანიდან დღემდე



და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებსაც კი რამე შეხება ჰქონდათ სვანეთთან“.

ასე გაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ სვანურად თარგმნის იდეა.

დაასრულა თუ არა თარგმნა, და, თუ დაასრულა, სად იყო ნათარგმნი ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“, არავინ იცოდა. ნათარგმნიდან ვიცოდი მხოლოდ რამდენიმე სტროფი, რომლებსაც სუფრასთან შექეიფიანებულ ჩემს მეგობრებს ვუკითხავდი ხოლმე. ეს სამი თუ ოთხი სტროფი მალე მთავრდებოდა, მაგრამ რიტმითა და რითმით ძალზე მომხიბვლელად ნათარგმნი უკვდავი შოთას სტრიქონები სასიამოვნოდ ისმოდა და მეგობრებიც დაჟინებულად მთხოვდნენ კითხვის გაგრძელებას, მაგრამ, საუბედუროდ, მეტი არ ვიცოდი.

სულ ვფიქრობდი, რატომ არ უნდა მოინახოს თარგმანი, რომელიც ბუნებაში არსებობს და რომლის პოვნაც შესაძლებელია-მეთქი. ცდა არ დამიკლია, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. ერთხელ აკადემიკოს ნიკო მარის სვანეთში მოგზაურობაზე მასალას ვამზადებდი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ და საჭირო ცნობების მოსაძიებლად გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მივაშურე, სადაც ამაგდარი პატრიოტი სვანი, სამუზეუმო საქმის უბადლო მცოდნე და სვანეთზე მასალების შემგროვებელი **შადურ შუკვანი** მეგულებოდა.

შადურ შუკვანი მუზეუმში დამხვდა. მან უძვირფასესი მასალები გადმომცა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც, ნიკო მარის მასალებთან ერთად, ლენინგრადში ნიკო მარის რედაქციით გამოცემული არსენ ონიანის სამი წიგნიც მაჩვენა.

— ხომ ძვირფასი რამ მაჩუქე, ჩემო შადურ, მაგრამ ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, ჩემი დიდი ბაბუის — არსენ ონიანის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ თუნდაც ერთი გვერდი მაინც რომ მქონოდა,

— ვუთხარი მასპინძელს.

— ბატონო გრიშა, ერთი გვერდი რა ბედენაა, მესტიის სახელმწიფო მუზეუში მუშაობდა **დავით ნიჟარაძე**, სვანური ჯვარ-ხატების, ხელნაწერებისა და საეკლესიო სიმდიდრის მესაიდუმლე და პატრიარქი, სწორედ მის სახლში ინახება არსენ ონიანის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერი, რომელიც არაერთხელ ამიღია ხელში და ბევრჯერ წამიკითხავს. მე თვითონ დავურეკავ ქალბატონ ნანას, დავითის ქალიშვილს, და ნათარგმნ ტექსტს აუცილებლად მოგიტანთ.

აღარ ვიცოდი, სიხარულისაგან რა მეთქვა და რა მექნა, მოპოვებული მასალები სულ დამავიწყდა და მთელი ყურადღება თარგმანის მოპოვებაზე გადავიტანე. გარდაბანი სასწრაფოდ დავტოვე. მასპინძელს ულრმესი მადლობა გადავუხადე და თბილისისკენ გამოვემართე. გამახსენდა, რომ მესტიაში ჩემი უახლოესი მეგობარი და ახლობელი **ივერი ჭელიძე** იმყოფებოდა. ტელეფონზე ივერის მობილურის ნომერი ავკრიბე:

— ივერ, მესტიის მუზეუმში შენი მეუღლის, აწ გარდაცვლილი ქალბატონი ნელის მუშაობისას, იქ, აგრეთვე, მუშაობდა ბატონი **დავით ნიჟარაძე**, სწორედ მის ოჯახში ინახება არსენ ონიანის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერი. უმორჩილესად გთხოვ, ახლავე მიდი ნანასთან და ჩემი უმდაბლესი და უდიდესი თხოვნა გადეცი, რომ დაგვიბრუნოს ან გვათხოვოს რამდენიმე დღით ეს ხელნაწერი.

ივერ ჭელიძემ მითხრა, ჩათვალე, თარგმანი უკვე სახლში გაქვს, ნანა ჩემი ახლობელი და ძალიან კარგი ქალბატონია და ამ თხოვნაზე უარს არ გვეტყვისო.

მიუხედავად ივერი ჭელიძის უამრავი თხოვნა-ხვეწნისა, ტელეფონით ჩემი მრავალგზის ვედრებისა და შადურ შუკვანის შეწუხებისა, დავით ნიჟარაძის ოჯახიდან ხელნაწერი ვერ გამოვიტანეთ. ჩემი შვილის, დათუნას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, გული ამაზე მეტად აღარაფერზე დამწყვეტია (ვფიქრობ, მომავალში მაინც გავარკვიო და ავხსნა ეს გაუგებრობა).

გავიდა ხანი. ჩემი უსაყვარლესი დეიდაშვილის — **თენგიზ გაზდელიანის** და **გულიკო გაზდელიანი-ნემსაძის** ტელეფონით დამიკავშირდა.

— გრიშა, თარგმანი ნაპოვნია. ხვალ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული** თავის კაბინეტში გელოდებათ.

ის ღამე ძალიან გაგრძელდა, დილით ენათმეცნიერების ინსტიტუტს მივაშურე. კიბეზე რომ ავდიოდი, გული ამოვარდნაზე მქონდა, — ვაითუ კიდევ რაღაც ფათერაკი მოხდეს-მეთქი. ინსტიტუტის დირექტორს, ავთანდილ არაბულს, მისაღებში შევეფეთე. ინსტიქტურად სიხარულით გადავეხვიე და გადავკოცნე, ის კი კაბინეტში დინჯად შემიძღვა და სავარძლისკენ მიმითითა, თვითონ კი კარადისკენ წავიდა. იქიდან უშველებელი, შავ ყდაში მოქცეული გაყვითლებული ფურცლების გროვა გადმოიღო, რომელიც ნაჭრის ლენტით იყო შეკრული. შემდეგ ღიმილით გადმომაწოდა და მითხრა: „აი ის, რასაც ამდენი წლის განმავლობაში ეძებდით“.

თვალზე ცრემლი მომადგა. გარეკანი საკმაოდ ძველი მომეჩვენა, მაგრამ მაინც გულში ჩავიკარი და კოცნა დავუწყე.

ასე შევხვდი, უამრავი წლის ძებნის შემდეგ, ჩემთვის ყველაზე საოცნებო ხელნაწერს, რომელიც სულ მალე სამზითვო წიგნად იქცევა ჩვენს გვარში და, შეიძლება, მთელ სვანეთშიც.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთელმა კოლექტივმა დახმარება აღმითქვა ხელნაწერის სრულყოფის საქმეში. მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს და წიგნიც მალე იხილავს მზის სინათლეს.




**ყურადღება!**

**ამა წლის 20 მარტიდან „ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.**



## აშშ-მა სირიასა და ერაყში მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვა აღიარა

**ბოლო თვეების განმავლობაში სირიასა და ერაყში შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით საერთაშორისო კოალიციის მიერ ჩატარებული ავიაიერიშების შედეგად 20 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.**

საუბარია 2015 წლის 10 სექტემბრიდან 2016 წლის 2 ნოემბრამდე პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ათამდე შეტევა განხორციელდა. ექვსი თავდასხმა სირიაში განხორციელდა, ხოლო სამი — ერაყში. ყველა შემთხვევაში, მსხვერპლთა და დაშავებულთა შორის მშვიდობიანი მოქალაქეები არიან. ყველაზე მეტი მსხვერპლი 2015 წლის 5 ოქტომბერს აღირიცხა, როდესაც საერთაშორისო კოალიციამ „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე იერიში მიიტანა.

2014 წლის დასაწყისიდან სირიასა და ერაყში საერთაშორისო კოალიციის ავიაიერიშების შედეგად 41 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.



## აშშ-ში სუიციდის შემთხვევებმა მოიმატა

**1999 წლიდან დღემდე ამერიკის შეერთებულ შტატებში სუიციდის შემთხვევების რაოდენობამ 24%-ით მოიმატა. ამის თაობაზე აღნიშნულია ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ახალ ანგარიშში, რომელიც ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.** თვითმკვლელობის შემთხვევების ერთი პროცენტი 1999 წლიდან 2006 წლამდე პერიოდში აღირიცხა. დოკუმენტის მიხედვით, 2006 წლიდან 2014 წლამდე სუიციდის შემთხვევებმა წელიწადში საშუალოდ 2 პროცენტით მოიმატა. ეს მონაცემები ყველა ასაკობრივ ჯგუფს ეხება (10-დან 74 წლამდე) როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს. სუიციდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 10-დან 14 წლამდე გოგონებს შორისაა. ამასთანავე, კვლევის ერთ-ერთი ავტორი **სალი კარტეინი** მიიჩნევს, რომ გამოქვეყნებული მონაცემები სრულად არ ასახავს მძიმე რეალობას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის ელჩი ბრუსტერი, როგორც მოსალოდნელი იყო, ახლა ადგილობრივი პედერასტებისა და მათი მსგავსი ტიპების დარაზმვას იწყებს „რეაქციული კათოლიკური წრეების“ წინააღმდეგ. მიზანი — ეპისკოპოს ხესუს ლოპეს როდრიგესის გადაყენება. პარალელურად, აშშ-ის საელჩო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დომინიკის რესპუბლიკის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში რაც შეიძლება მეტი ღია თუ ფარული ლგბტ პირი მოხვდეს.**

# გეი-ლობი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში

## დომინიკის რესპუბლიკის კათოლიკე ეპისკოპოსი აშშ-ის ელჩს პედერასტს ეძახის

**ამა წლის მარტში დომინიკის რესპუბლიკის გაზეთ „დიარიო ლიბრეს“ კორესპონდენტი აშშ-ის საელჩოში გამართულ მიღებაზე არ შეუშვეს. გაზეთის ხელმძღვანელმა ადრიანო ტეხედამ დაასახელა მიზეზი: საელჩოს აუზში „გეების სიამაყის დღეს“ გადაღებული პიკანტური ფოტო. თანამედროვე ლიბერალურ-სექსუალური თავისუფლებების ფონზე გამოქვეყნებულ მასალაში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა: ელჩი და მისი „მეუღლე“ საცურაო ტრუსებში გამოწყობილ ათამდე დაკუნთულ ახალგაზრდა კაცთან პოზირებდნენ.**

**ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ში გაუქმდა აკრძალვა გეების სახელმწიფო სამსახურში მიღების შესახებ. ჟურნალმა „ნიუსვიკმა“ ობამას ამის გამო ისტორიაში პირველი გეიპრეზიდენტიც კი უწოდა. მეორე ჟურნალმა, რომელიც სექსუალური უმცირესობების პრობლემებზე წერს, 2015 წლის ნოემბერში გარეკანზე დაბეჭდა ობამას ფოტო წარწერით: **„ჩვენი პრეზიდენტი — მოკავშირე. გმირი. ხატება“**. ის პირველი პრეზიდენტია, რომელმაც ასეთი ჟურნალისთვის ფოტო გადაიღო, თუმცა შეიძლება, მართლაც გმირია, რადგან ობამას არც ერთ წინამორბედს არ გაურისკავს, საჯაროდ დაეჭირა მხარი გარყვნილებისთვის — ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის „ქორწინებისთვის“.

სწორედ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში მიიღო აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ „ისტორიული გადაწყვეტილება“ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთნაირსქესიანთა ქორწინებების ლეგალიზების შესახებ. ობამამ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ **„ამერიკამ უნდა იამაყოს“**. იმავე საღამოს კი თეთრი სახლი განათდა ცისარტყელას ფერებში — ლესბოსელებმა, გეებმა, ბისექსუალებმა და ტრანსგენდერებმა ცისარტყელა სიმბოლოდ მიისაკუთრეს და ამით ლამის შეაძულონ ბუნების ეს მოვლენა ნორმალურ ადამიანებს.

მსოფლიოს ქვეყნებში მოქმედ აშშ-ის წარმომადგენლობებში გაიგზავნა ობამას დირექტივა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „სექსუალური უმცირესობების“ დაცვა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა და მათი უფლებები აუცილებლად უნდა იყოს დაცული. სახელმწიფო მდივანი **ჯონ კერი** ამ პრობლემატიკას დიდი ყურადღებით მოეკიდა და ყველას შეახსენა ქვეყანაში გეების შეუზღუდავი უფლებების შესახებ. სწორედ **ჯონ კერის პირადი კონტროლით შეიქმნა სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველის პოსტი, რომელზეც ჰომოსექსუალი დიპლომატი რენდი ბერი დაინიშნა. მან განაცხადა, რომ თავგამოდებით დაიცავს ლგბტ-თა ინტერესებს ლათინურ ამერიკაში, პირველ რიგში, იმ ქვეყნებში, რომლებიც სექსუალური უმცირესობებისადმი მაინცდამაინც კარგი დამოკიდებულებით არ გამოირჩევიან.**

ცისარტყელას ფერებში შეღებილი ობამას ერთ-ერთი ექსპერიმენტი იყო 2013 წელს დომინიკის რესპუბლიკაში აშშ-ის ელჩად ჰომოსექსუალი **ჯეიმს ბრუსტერის** დანიშვნა. პრეზიდენტმა ის საარჩევნო კამპანიაში შეტანილი დიდი წვლილისთვის დააჯილდოვა. ასე აღმოჩნდა ბრუსტერი სანტო-დომინგოში — დასავლეთ ნახევარსფეროში ესპანეთის სამეფო გვირგვინის პირველი კოლონიის დედაქალაქში. სწორედ აქ შეიქმნა პირველი უნივერსიტეტი, აშენდა პირველი შენობა კათოლიკური ეკლესიისა, აიგო პირველი ციხესიმაგრე.

**დომინიკელები, რომლებიც ტრადიციულად, კონსერვატიული პრინციპების დამცველნი არიან ყველაფერში, რაც ეხება ოჯახურ ცხოვრებასა და ბავშვების აღზრდას, გაოცებას ვერ მალავდნენ ელჩად ბრიუსტერის დანიშვნის გამო.**

ევანგელისტური ეკლესიის მღვდელმსახურმა **კრისტობილ კარდოსომ** ელჩად ჰომოსექსუალის დანიშვნას „დომინიკელების ადათ-წესების შეურაცხყოფა“ უწოდა. დომინიკის რესპუბლიკის სენატის მემარცხენე ნაწილმაც შეშფოთება გამოხატა ამ დანიშვნის გამო: „მან, ვინც ბრუსტერი გამოგზავნა, არ გაითვალისწინა დომინიკელთა კულტურული თავისებურებები და რელიგიური პრინციპები“.

**დომინიკის რესპუბლიკაში გამგზავრების წინ ბრუსტერმა „ქორწინება“ გააფორმა უძრავი ქონების მოვაჭრე ბობ სატავაკესთან, რომელსაც დომინიკური პრესა „ელჩის მეუღლედ“ მოიხსენიებს. „ახალდაქორწინებულებმა“ ენერგიულად დაიწყეს ლგბტ-თა პოზიციების დაცვა კონსერვატიულ დომინიკელ საზოგადოებაში, განსაკუთრებით — სკოლებსა და უნივერსიტეტებში.**

მაგრამ პატივმოყვარე „მეუღლეებს“ ყველაფერი ისე არ გამოსდით, როგორც სურთ. მაგალითად, დომინიკის ტურიზმის სამინისტრომ მხარი არ დაუჭირა აშშ-ის საელჩოს შეთავაზებას მიზნობრივი ტურიზმზე — აშშ-დან ლგბტ-თა ჩამოყვანის თაობაზე, თანაც, გათვლილი იყო, რომ ამერიკიდან ჩამოსული ჰომოსექსუალი ტურისტები 1,5 მილიარდ დოლარს დახარჯავდნენ.

ბრუსტერი აღშფოთებული ლაპარაკობდა, დომინიკის ხელისუფლებას ელემენტარული გათვლების უნარი არ აქვს, გეი ტურისტები ხომ ყველაზე გულუხვი გადამხდელები არიანო.



დომინიკის ეპისკოპოსი ხესუს ლოპეს როდრიგესი



ჯეიმს ბრუსტერი (მარცხნივ) „ქმართან“ — ბობ სატავაკესთან ერთად

**კათოლიკური ეკლესიის იერარქები და მღვდელმსახურები ბრუსტერს მტრად მიიჩნევენ და გმობენ მამაკაცისა და მამაკაცის „ოჯახს“. ისინი ყოველთვის აპროტესტებენ, როდესაც ბრუსტერი და მისი „ქმარი“ სასწავლო დაწესებულებებს სტუმრობენ ახალგაზრდების გადასაბირებლად ლგბტ-თა მხარდამჭერ ჯგუფებში.**

15 მაისს დომინიკის რესპუბლიკაში საყოველთაო არჩევნები უნდა ჩატარდეს. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს სკანდალით, რომლის ცენტრშიც აშშ-ის საელჩო და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოა (USAID). საარჩევნო პროცესში ამერიკელთა ჩარევის გამო დომინიკელთა აღშფოთებამ პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც „იუსაიდის“ ადგილობრივი ფონდის ხელმძღვანელმა **ალექსანდრია პანეჰალმა** ლგბტ-თა იდეოლოგიის პროპაგანდისთვის მილიონდოლარიანი ფონდის არსებობაზე განაცხადა. პანეჰალის თქმით, აშშ-ის საელჩო და „იუსაიდი“ ამ თანხას საარჩევნო კამპანიაში ჰომოსექსუალი პოლიტიკოსების მხარდასაჭერად გამოიყენებს.

ამასთანავე, გამოცხადდა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი მეწარმეებისთვის სავაჭრო პალატის შექმნის შესახებაც. დომინიკის რესპუბლიკის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში პანეჰალის ამ განცხადებებმა საპროტესტო ქარიშხალი წარმოშვა. **ოჯახური ფასეულობების ტრადიციული კულტის მქონე კონსერვატიულ ქვეყანაში აშშ-ის წარმომადგენლების მიერ პედერასტიისა და სხვა სექსუალური გარყვნილების პროპაგანდამ ავტომატურად გამოიწვია ანტიამერიკული განწყობების ამოფრქვევა.**

რატომ გაბედა პანეჰალმა ამ ნაბიჯის გადადგმა? მას ხომ აქვს უცხოეთში მუშაობის გამოცდილება, თანაც სპეციფიკური?! მისი ყველა მივლინება დაკავშირებულია ქვეყნებთან, რომლებშიც რთული ვითარება იყო და იქ მუშაობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. ის აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად დაკავებული იყო ნიკარაგუის „გადემოკრატიულების“ პროექტის განხორციელებით, პროგრამით, რომელსაც საშუალება არ უნდა მიეცა ჰონდურასისა და ჰაიტისთვის, დაახლოებოდნენ ისეთ „პოპულისტურ“ ქვეყანას, როგორიც არის ვენესუელა. პანეჰალი მუშაობდა ეკვადორშიც და ცდილობდა პრეზიდენტ **რაფაელ კორეას** რეჟიმის დამხობას. **იყო „იუსაიდის“ რეგიონული მისიების ხელმძღვანელის მოადგილე (ეს პოსტი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლებისთვისაა დაჯავშნილი) უკრაინაში, მოლდოვასა და ბელარუსში. და უცებ ასეთი ჩავარდნა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო კოლეჯის დიპლომის მფლობელია უსაფრთხოების საკითხებში.**

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, **ამერიკელები დომინიკის რესპუბლიკაში მრავალეტაპიან ექსპერიმენტს ატარებენ — სწავლობენ დომინიკელთა „ემოციურ-ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობას“ ოჯახისა და ქორწინების დანგრევის ტექნოლოგიების მიმართ (საქართველოშიც ხომ ასეა — რედ.).**

ამ პროცესს სათავე დაუდო თვითონ ობამამ: 2015 წლის აპრილში იამაიკაზე ვიზიტისას ის ლგბტ-თემის წარმომადგენლებს შეხვდა და არად ჩააგდო ის, რომ კუნძულზე ჰომოსექსუალური ურთიერთობები სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება.

დომინიკის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ექსპერტები აშშ-ის კანდიდატად **ლუის აბინადერს** ასახელებენ — რევოლუციური თანამედროვე პარტიის ლიდერს. ის არ ცდილობს თავისი კავშირების წარმოჩენას ამერიკელებთან, მაგრამ **კათოლიკური წრეების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ აბინადერი უკვე მოელაპარაკა აშშ-ის საელჩოს ლგბტ-თემის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შერბილების შესახებ და, თუ ხელისუფლების სათავეში მოვა, კონსტიტუციაში შეიტანს ცვლილებას, რომლის მიხედვითაც დაკანონდება ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინება.**

ამჟამინდელ პრეზიდენტს — **დანილო მედინას** (დომინიკის განთავისუფლების პარტია) სურს პოსტის შენარჩუნება და აქვს კიდეც ამის შანსი. აშშ-ის ელჩის დემონსტრაციული გამოხდომები მედინამ თავშეკავებულად შეაფასა, როგორც ჩანს, თვლის, რომ ბრუსტერმა საკუთარ თავს თვითონ გაუწია დისკრედიტაცია და დომინიკელების რელიგიურ-ზნეობრივი ფასეულობებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

**კათოლიკური ეკლესიის იერარქების მიერ ამერიკელი გეიდიპლომატების მიმართ გამოთქმული კრიტიკის სიმწვავემ კი აპოგეას მიაღწია. ისინი ფორმულირებებში თავს არ იზღუდავენ. მაგალითად, 75 წლის ეპისკოპოსი ხესუს ლოპეს როდრიგესი აშშ-ის ელჩის მიმართ საჯაროდ იყენებს სიტყვა MARICON-ს (პედერასტი) და მას სთავაზობს, „სამზარეულოში იტრიალოს და „ქმარს“ მიხედოს“.**

ამერიკელების კრიტიკას, სასულიერო პირი ტოლერანტული არ არისო, ეპისკოპოსი პასუხობს, რომ ლგბტ პირების მიმართ ყოველთვის აქვს ერთი პოზიცია და მის შეცვლას არ აპირებს.

**აშშ-ის ელჩი ბრუსტერი, როგორც მოსალოდნელი იყო, ახლა ადგილობრივი პედერასტებისა და მათი მსგავსი ტიპების დარაზმვას იწყებს „რეაქციული კათოლიკური წრეების“ წინააღმდეგ. მიზანი — ეპისკოპოს ხესუს ლოპეს როდრიგესის გადაყენება.**

პარალელურად, აშშ-ის საელჩო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დომინიკის რესპუბლიკის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში რაც შეიძლება მეტი ღია თუ ფარული ლგბტ პირი მოხვდეს.

არჩევნები, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა ჩატარდეს, დაგვანახვებს, შეძლებენ თუ არა ამერიკელი გეიშეთქმულები ობამას გეგმის შესრულებას დომინიკის რესპუბლიკისთვის და ამ ქვეყნის გადაქცევას ლგბტ-ტურისტების ნაკრძალად, შემდეგ კი — კარიბის ზღვის აუზისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ლგბტ-იდეოლოგიის გამავრცელებელ ბაზად.

**ფონდსკ.რუ**

**ბულგარელი კრისტალინა გიორგიევა, რომელიც ამჟამად გაეროს კომისარია საბიუჯეტო საკითხებში, ითვლება იმ კანდიდატად, რომელიც ბევრს მოეწონება. თავიანთი კანდიდატურები შეიძლება წამოაყენონ არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუზანა მალკორამ და მისმა კოლუმბიელმა კოლეგამ მარი ანგელა ოლგინმა, ჩილეს პრეზიდენტ მიშელ ბაჩალეტის კი კანდიდატად, უკვე დიდი ხანია, ასახელებენ. გაეროს კულუარებში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელზეც ჩურჩულებენ, მაგრამ მისი არჩევა ნაკლებად სავარაუდოა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ სჭირდება გაეროს — მდივანი თუ მთავარსარდალი?

**სურთ კი ზესახელმწიფოებს გაეროს ძლიერი გენერალური მდივანი? — სვამს კითხვას ნორვეგიული გამოცემა „აფტენპოსტენი“ გაეროს ახალი გენერალური მდივნის არჩევნების წინ.**



მარცხნიდან (ზევით): ირინა ბოკოვა, ანტონიო გუტიერეში, კრისტალინა გეორგიევა, ჰელენ კლარკი, სუსანა მალკორა და ანგელა მერკელი

**1. სავსე დარბაზში გასაუბრება მუშაობის დაწყების წინ?**

პოსტზე 10 წლის ყოფნის შემდეგ **პან გი მუნი** ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კარიერას. გაეროს ახალი ხელმძღვანელის ძებნის პროცესი მუდამ დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, წელს კი ამ პროცესის ცალკეული ფრაგმენტები პირველად გაასაჯაროეს. რამდენიმე დღის წინათ გაეროს წევრი ქვეყნები 9 პრეტენდენტს გაესაუბრნენ და მათ 800-მდე კითხვა დაუსვას.

**2. ვინ არიან კანდიდატები?**

მათგან 7 აღმოსავლეთ ევროპიდანაა, რაც იმით აიხსნება, რომ ბევრი ქვეყანა, განსაკუთრებით — რუსეთი თვლის: მოვიდა აღმოსავლეთ ევროპის რიგი, დაიკავოს გაეროს ხელმძღვანელის სავარძელი. 9 კანდიდატიდან 4 ქალია. ნორვეგია იმ ქვეყნებს შორისაა, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ შემდეგი გენმდივანი ქალი უნდა იყოს.

**3. არიან ფავორიტები?**

**ჰელენ კლარკი** — ახალი ზელანდიის ყოფილი პრემიერმინისტრი და გაეროს განვითარების პროგრამის ამჟამინდელი ხელმძღვანელი — ცნობილი პიროვნება უმრავლესობისთვის. ფავორიტად ითვლება, აგრეთვე, ბულგარელი **ირინა ბოკოვა**, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და კომუნიკაციების (იუნესკო) სპეციალიზებულ დაწესებულებას ხელმძღვანელობს გაეროში. თუმცა არც ერთ მათგანს განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ დაუტოვებია მათი კანდიდატურების განხილვისას. ზოგიერთი კი საქებარ სიტყვებს არ იშურებს პორტუგალიის ყოფილი პრემიერმინისტრის — **ანტონიუ გუტიერეშის** მიმართ — ის ცოტა ხნის წინათ ლტოლვილთა საკითხების უზენაესი კომისარი იყო გაეროში.

**4. მაგრამ გუტიერეში არც ქალია და არც აღმოსავლეთ ევროპელი.**

პრიორიტეტები შეიძლება შეიცვალოს, თუ შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ამჟამინდელი კანდიდატები საკმარისად კვალიფიცურნი არ არიან. ამას გარდა, გამორიცხული არ არის, რომ მოგვიანებით გამოჩნდნენ უფრო ძლიერი კანდიდატებიც. ბევრი მიიჩნევს, რომ გაეროს მომავალი მდივანი ჯერ კიდევ არ გამოჩენილა.

**5. ვინ არიან ეს ჯოკერები?**

ბულგარელი **კრისტალინა გიორგიევა**, რომელიც ამჟამად გაეროს კომისარია საბიუჯეტო საკითხებში, ითვლება იმ კანდიდატად, რომელიც ბევრს მოეწონება. თავიანთი კანდიდატურები შეიძლება წამოაყენონ არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სუზანა მალკორამ** და მისმა კოლუმბიელმა კოლეგამ **მარი ანგელა ოლგინმა.** ჩილეს პრეზიდენტს **მიშელ ბაჩალეტის** კი კანდიდატად, უკვე დიდი ხანია, ასახელებენ. გაეროს კულუარებში გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელზეც** ჩურჩულებენ, მაგრამ მისი არჩევა ნაკლებად სავარაუდოა.



**6. ვინ წყვეტს, ვინ უნდა იყოს გაეროს შემდეგი გენმდივანი და წევრი ქვეყნები?**

თეორიულად — კი. მაგრამ სინამდვილეში გადაწყვეტილებას მიიღებს უშიშროების საბჭოს 15 წევრი ქვეყანა, არაუადრეს ოქტომბრისა.

უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს — აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, ჩინეთსა და საფრანგეთს — აქვს ვეტოს უფლება; შესაბამისად, შესაძლებლობა, გავლენა იქონიონ გაეროს გენმდივნის საარჩევნო პროცესზე.

მთავარია, კანდიდატი იყოს ისეთი ნეიტრალური, რომ აშშ-მა და რუსეთმა თქვან „ოქეი“. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა: გაეროს გენერალური მდივანი ვინ უფრო უნდა იყოს — მთავარსარდალი თუ მდივანი? 2006 წელს, როდესაც პან გი მუნს ირჩევდნენ, ბუშის ადმინისტრაციას სუსტი ლიდერი სჭირდებოდა და, გაეროში მომუშავე ბევრი დიპლომატის აზრით, აშშ-მა მიიღო კიდეც გაეროს სუსტი ლიდერი პან გი მუნის სახით. პრეზიდენტი ობამა კი გაეროს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე მისი წინამორბედი ბუში, და გაეროს გენმდივნის პოსტზე ისეთ პიროვნებას დაუჭერს მხარს, რომელიც ამ საერთაშორისო ორგანიზაციას უფრო აქტიურ მოთამაშედ გადააქცევს საერთაშორისო არენაზე.

პან გი მუნს, მაგალითად, არასოდეს გამოუყენებია თავისი უფლება, უშიშროების საბჭოსთვის განსახილველად შეეთავაზებინა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხები. ანტონიო გუტიერეშმა კი განაცხადა, რომ სწორედ ამის გაკეთებას აპირებს, თუკი გაეროს გენმდივნად აირჩევენ.

**„აფტენპოსტენი“**

# «ძაღლის წკავწკავი» ბრიტანეთის პარლამენტში: პრემიერმინისტრი — «რასისტი», ლონდონის მერობის კანდიდატი — ისლამისტი ექსტრემისტი





**ლონდონის მერობის კანდიდატი სადიკ ხანი იმედგაცრუებულია დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ დევიდ კემერონის საქციელით, რომელმაც ლეიბორისტული პარტია ექსტრემისტების მხარდაჭერაში დაადანაშაულა.**

20 აპრილს პარლამენტარების წინაშე ტრადიციული გამოსვლისას ბრიტანეთის პრემიერმა **დევიდ კემერონმა** განაცხადა, რომ დედაქალაქის მერობის კანდიდატი ლეიბორისტული პარტიიდან — **სადიკ ხანი** არაერთხელ გამოსულა ერთ მოედანზე ექსტრემისტებთან და „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერებთან ერთად, კერძოდ, რადიკალურად განწყობილ იმამ **სულეიმან განისთან** ერთად, რომელიც, პრემიერის თქმით, „ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერია“.

დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ „შეშფოთებულია ლონდონის მერის პოსტზე ლეიბორისტული პარტიის კანდიდატის შესაძლო არჩევით, რადგან ის კვლავ და კვლავ ექსტრემისტებთან დგას“. პრემიერის ამ ფრაზას პარლამენტარები ლეიბორისტული პარტიიდან შეხვდნენ შეძახილებით: **„რასისტო!“**

რამდენიმე წუთის შემდეგ იმამმა სულეიმან განიმ უარყო კემერონის მიერ წაყენებული ბრალდება და განაცხადა, რომ ყოველთვის გმობდა „ისლამურ სახელმწიფოს“ და პრემიერს სთხოვა, კამერის წინ გაემეორებინა ნათქვამი, რათა შესაძლებლობა მისცემოდა, მისთვის სასამართლოში ეჩივლა.

რადიოსადგურ „ელ-ბი-სი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში კი განიმ თქვა, რომ 2015 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში მხარს კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელ **დენ უოტკინსს** უჭერდა და მის სასარგებლო აგიტაციას ეწეოდა ლონდნის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში. ახლა კი კონსერვატორები მას განტევების ვაცად იყენებენ, რათა სადიკ ხანის დისკრედიტაცია მოახერხონ.

„პრემიერმინისტრის ძაღლივით წკავწკავს სრულიად საწინააღმდეგო ეფექტი მოჰყვა, — განაცხადა ლეიბორისტმა **ნილ კოილმა**, — გაირკვა, რომ სულეიმან განი, რომელიც 2015 წლის არჩევნებზე მხარს კონსერვატორებს უჭერდა, გასული წლის ნოემბერში შეხვდა ზაკ გოლდსმიტს (ლონდონის მერობის კანდიდატს კონსერვატიული პარტიიდან) და იმიტომ, რომ სადიკ ხანი ერთნაირსქესიანთა ქორწინებას მხარს უჭერდა, მის წინააღმდეგ გამოდიოდა“.

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელთა აზრით, კონსერვატორები აქტიურად ცდილობენ ხანის დადანაშაულებას ექსტრემისტებთან კავშირში. ეს იმიტომ ხდება, რომ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კონსერვატორების რეიტინგი საგრძნობლად დაეცა.

ადრე ზაკ გოლდსმიტმა განაცხადა, რომ მისი მუსლიმანი ოპონენტი დაკავშირებულია ექსტრემისტებთან.

კემერონისა და გოლდსმიტის ნათქვამის კომენტირებისას ხანმა კონსერვატორები „ძაღლის წკავწკავის“ კამპანიის გაჩაღებაში დაადანაშაულა, რომლის მიზანიც საზოგადოებაში განხეთქილების შეტანაა.

**დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ «შეშფოთებულია ლონდონის მერის პოსტზე ლეიბორისტული პარტიის კანდიდატის შესაძლო არჩევით, რადგან ის კვლავ და კვლავ ექსტრემისტებთან დგას». პრემიერის ამ ფრაზას პარლამენტარები ლეიბორისტული პარტიიდან შეხვდნენ შეძახილებით: «რასისტო»**

**„გარდიანი“**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე წლის განმავლობაში უგო ჩავესის ერთ-ერთი უახლოესი ადიუტანტი, რომელიც ხშირად რჩებოდა ხოლმე მასთან პირისპირ, მიჰქონდა საჭმელი, ყავა, წყალი, დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია და დაცული მოწმეა. მალე გახმაურდება ინფორმაცია ლიმსი სალასარის ფარული მოქმედებებისა და ამერიკის სადაზვერვო სამსახურებთან მისი მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ“.**

# უგო ჩავესი მოკლეს? აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო კვალის წაშლას ცდილობს



**ჟურნალისტი ევა გოლინჯერი (აშშ-ვენესუელა) არაერთხელ წერდა ვენესუელის პრეზიდენტის — უგო ჩავესის გარდაცვალების საეჭვო გარემოებებზე. ვებგვერდ aporrea.org-ზე გამოქვეყნებულია მისი ფრაზა: „ყველაფერი, რის მიღწევასაც ცდილობდა ვაშინგტონი უგო ჩავესის მმართველობის პერიოდში, დღეს, როცა ის აღარ არის, ხორციელდება“.**

სიმსივნური დაავადება, რომლითაც ჩავესი იტანჯებოდა, უჩვეულოდ აგრესიული და საეჭვო იყო, და ყოველდღიურად ჩნდება ახალი მტკიცებულებები, რომ ჩავესი მოკლეს.

ჩავესს ავადმყოფობის პირველი სიმპტომები 2011 წლის მაისში გამოუვლინდა. ივნისში ორი ოპერაცია გაუკეთეს ჰავანაში — სპეციალურ ცენტრში. კუბელმა ქირურგებმა ამოჰკვეთეს ავთვისებიანი სიმსივნე, მეტასტაზები, რომლებიც ავისმომასწავებელი სიჯიუტით ჩნდებოდა, პრევენციული ზომების მიუხედავად. საჭირო შეიქნა კიდევ რამდენიმე ოპერაციის გაკეთება.

**ჯან-ღონით სავსე, სპორტით დაკავებული ფიზიკურად ძლიერი ადამიანი 2013 წლის 5 მარტს წავიდა იმქვეყნად.**

**ევა გოლინჯერი** ამბობს: „რამდენიმე წლის განმავლობაში უგო ჩავესის ერთ-ერთი უახლოესი ადიუტანტი, რომელიც ხშირად რჩებოდა ხოლმე მასთან პირისპირ, მიჰქონდა საჭმელი, ყავა, წყალი, დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია და დაცული მოწმეა. მალე გახმაურდება ინფორმაცია **ლიმსი სალასარის** ფარული მოქმედებებისა და ამერიკის სადაზვერვო სამსახურებთან მისი მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ“.

უგო ჩავესის პირადი დაცვის უფროსის გვარს იშვიათად ახსენებდნენ პრესაში, როცა პრეზიდენტი ცოცხალი იყო. თავისი სამსახურიდან გამომდინარე, **ლიმსი სალასარ ვილიაფანია** ხშირად არ ჩნდებოდა ჟურნალისტების წინაშე, არ მოსწონდა ფოტოს გადაღება, ცდილობდა, ჩრდილში დარჩენილიყო. ჩავესი მას საიმედო, მოუსყიდველ, პროფესიონალ ბოლივარელ ოფიცრად მიიჩნევდა. სწორედ ასე შეაფასა პრეზიდენტმა ის ტელეგადაცემაში, რომელიც 2002 წელს პროამერიკული გადატრიალების მცდელობას მიეძღვნა. **შეთქმულებმა ჩავესი 3 დღით ჩამოაშორეს ხელისუფლებას, მაგრამ ხალხისა და არმიის მხარდაჭერით ტრიუმფალურად დაბრუნდა პრეზიდენტის სასახლეში — მირაფლორესში.** სასახლის სახურავიდან მას მიესალმნენ სამხედროები, რომელთა შორისაც გამოირჩეოდა სალასარი — ვენესუელის დროშის ფრიალით. ეს სურათი კონტრრევოლუციაზე გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, სალასარზე საკმაოდ ბევრია ცნობილი — ძირითადად, ამერიკული წყაროებიდან. ის დაიბადა 1974 წელს მრავალშვილიან ოჯახში, რომელიც ვენესუელის დედაქალაქის (კარაკასი) ღარიბ რაიონში — პეტარეში — ცხოვრობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა სამხედრო-საზღვაო აკადემიაში, რომელიც 1998 წელს დაამთავრა. სწავლობდა საშუალოდ — მონაცემებით 27-ე იყო 55 კურსდამთავრებულს შორის. ამის მიუხედავად, 1999 წელს სალასარი პრეზიდენტის საპატიო გვარდიაში ჩარიცხეს. ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა თავდაცვის მინისტრმა **ტიტო რინკონ ბრავომ** — ლიმსი სალასარის პირველი ცოლის მამამ. სალასარი ჩავესის პირად თანაშემწედ იქცა. პრეზიდენტის ცხოვრების რიტმის გათვალისწინებით დატვირთვა კოლოსალური იყო.

2002 წლის მოვლენების შემდეგ სალასარი მოულოდნელად გაგზავნეს პუნტო-ფიხოს პროვინციაში (ფალკონის შტატი) მდებარე სამხედრო-საზღვაო ბაზაზე, მაგრამ 2006 წელს, ჩავესის განკარგულებით, კვლავ დაცვის სამსახურში დააბრუნეს.

ჩავესის გარდაცვალების შემდეგ სალასარი უზრუნველყოფდა ნაციონალური ასამბლეის თავმჯდომარის — **დიოსდადო კაბელიოს** უსაფრთხოებას. სალასარის უცნაურმა ქცევამ დააეჭვა კაბელიო: იმხანად მწვავედ მიმდინარეობდა დისკუსია ჩავესის სიკვდილისა და იმ პირების შესახებ, რომლებსაც შეეძლო პრეზიდენტის სიცოცხლის ხელყოფა, ამიტომ კაბელიომ თხოვნით მიმართა თავდაცვის მინისტრს, სალასარი სხვა თანამდებობაზე გადაეყვანა. ამ პერიოდში სალასარი კვლავ დაქორწინდა. მისი რჩეული გახდა **ანაბელ ლინარეს ლეალი** — სამხედრო სასწავლებლის კურსდამავრებული, რომელმაც ოფიცრის ხმალი თვით ჩავესისგან მიიღო. გარკვეული ხნის განმავლობაში **ანაბელი ბანკ ბისენტენა-**



ჩავესის პირადი მცველი ლიმსი სალასარ ვილიაფანია

## ახალდაქორწინებულებმა რაპორტი დაწერეს დომინიკის რესპუბლიკაში წასვლაზე, იქ თაფლობის თვის გასატარებლად. წყვილს დართეს ამის ნება და ისინი მალე ჩავიდნენ სანტო-დომინიგოში (დომინიკის რესპუბლიკის დედაქალაქი), მაგრამ იქიდან გადაფრინდნენ ესპანეთში, საიდანაც სალასარი და მისი ოჯახი აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს სპეცთვითმფრინავით გადაიყვანეს ამერიკაში

**რიოში ვენესუელის შეიარაღებული ძალების ანგარიშებით იყო დაკავებული და ხელი მიუწვდებოდა უცხოეთში იარაღის შესყიდვის საიდუმლო ინფორმაციაზე. ახალდაქორწინებულებმა რაპორტი დაწერეს დომინიკის რესპუბლიკაში წასვლაზე, იქ თაფლობის თვის გასატარებლად. წყვილს დართეს ამის ნება და ისინი მალე ჩავიდნენ სანტო-დომინიგოში (დომინიკის რესპუბლიკის დედაქალაქი), მაგრამ იქიდან გადაფრინდნენ ესპანეთში, საიდანაც სალასარი და მისი ოჯახი აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს სპეცთვითმფრინავით გადაიყვანეს ამერიკაში.**

სწორედ ეს განაცხადა სალასარისა და მისი ცოლის გაქცევის შესახებ ესპანური გაზეთის — ABC-ს ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა **ემილი ხ. ბლასკომ,** რომელიც არაერთხელ გამოსულა აშშ-ის სპეცსამსახურების საინფორმაციო-პროპაგანდისტული რუპორის როლში. მისი მტკიცებით, ესპანეთში ცოლ-ქმარი სალასარები ამერიკელებმა რამდენჯერმე დაჰკითხეს „რეჟიმთან ურთიერთობის გაწყვეტის რეალური მიზნების შესახებ“.

საერთაშორისო მედიასაშუალებებში სალასარზე გამოქვეყნებულ მასალებში, რომლებსაც, ჩანს, ერთი და იგივე წყარო კვებავს, ხაზგასმულია, რომ ჩავესის სიცოცხლეში სალასარი „ნამდვილი ბოლივარელი“ იყო, მაგრამ პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ რეჟიმთან ურთიერთობის გაწყვეტა ისურვა, ამიტომ 13 თვის განმავლობაში საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსთან არა მხოლოდ გაქცევის ორგანიზების, არამედ თავისი, ცოლისა და შვილების უსაფრთხოების გარანტიების შესახებაც.

მიზეზი ნათელია: **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო — ეს არის ჯაშუშობა, მითითება იმაზე, რომ სალასარს ამ „კანტორასთან“ დიდი ხნის კავშირი ჰქონდა, რისი თავიდან აცილებაც სურდათ უგო ჩავესის პირადი მცველის მფარველებს, რადგან ვენესუელის კონტრდაზვერვა დაიწყებდა ჩავესის მკვლელობაში სალასარის მონაწილეობის ვერსიის გამოძიებას.**

ახლა მეუღლეები აშშ-ში არიან ფედერალური დაცვის ქვეშ და ჩვენებას აძლევენ ბევრ საკითხზე, უწინარესად, ბოლივარული რეჟიმის კავშირზე ნარკოტრაფიკთან. აღსანიშნავია, რომ **სალასარის გაქცევამდე აშშ-ის სპეცსამსახურებმა მედიასაშუალებებით გაავრცელეს ყალბი ცნობა ე.წ. ვარსკვლავური ნარკოკარტელის შესახებ, რომელსაც თითქოს დიოსდადო კაბელიო და ვენესუელის შეიარაღებული ძალების რამდენიმე გენერალი ხელმძღვანელობდნენ. ბასა და კიურასაოსთან ახლოს — კუნძულებთან, სადაც პენტაგონის სადამკვირვებლო ავანპოსტებთან ერთად ცენტრალური სადაზვერვოსა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს რეზიდენტურებიც მოქმედებენ, სალასარს არ დაუზუსტებია. ბლასკოს კომენტარებით კი შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კატერებმა კურსი კუბისკენ აიღეს! და კიდევ — სალასარი ყვება, რომ, როდესაც კაბელიოს ახლდა, ჰქონდა შესაძლებლობა, ენახა მისი „საიდუმლო დაჯავშნილი საცავი დოლარებისა“ — „შეფუთული დოლარების მთები იატაკიდან ჭერამდე“. სწორედ კაბელიოს წინასწარ კომპრომეტაციას იმიტომ შეეცადნენ, რომ მას აშშ-ის სპეცსამსახურები ჩავესის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, თანაც — მეტი ანტიამერიკული განწყობით.**

სალასარი ჩართეს ბინძურ კამპანიაში, რომელიც მიმართული იყო კაბელიოს წინააღმდეგ. სალასარის მიერ გაცემული ინფორმაციის ნაწილი (უფრო ზუსტად მისი კურატორებისა ცენტრალური სადაზვერვო და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოებიდან) ემილი ხ. ბლასკომ გამოიყენა წიგნში „ბუმერანგი ჩავესი“, რომელიც 2015 წლის აპრილში ერთდროულად გამოიცა ვაშინგტონსა და მადრიდში.

კერძოდ, სალასარი ამბობს, რომ იყო მოწმე პარლამენტის თავმჯდომარე (?!) დიოსდადო კაბელიოს „პირდაპირი მონაწილეობისა“ ნარკოტრაფიკში, როდესაც ნარკოტიკები კატერებით გადაიტანეს პარანგუანას ნახევარკუნძულიდან ფალკონის შტატში. **ვისთვის იყო განკუთვნილი ეს ნარკოტიკები და რატომ მოხდა ეს ყველაფერი არუ-ასე აჩვენებენ ნარკობარონების სალაროს ჰოლივუდურ ფილმებში.**

კითხვებს, რომლებიც ჩნდება ჩავესის მკვლელობის მომზადებაში სალასარის მონაწილეობაზე, პროამერიკული მედია გვერდს უვლის — სალასარის მოქმედებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ის პატიოსნად ემსახურებოდა რეჟიმს, ალმერთებდა ჩავესს, ვიდრე მიხვდებოდა, რომ მისი უშუალო უფროსები ნარკოტრაფიკში ჩაიძირნენ, მაგრამ **გამოძიებას, რომელსაც ვენესუელის კონტრდაზვერვა აწარმოებს, ეჭვი შეაქვს სალასარის „კრისტალურ პატიოსნებაში“. სალასარის დედამ აღიარა, რომ მის შვილს აღარ სურდა პრეზიდენტის დაცვაში მუშაობა, მაგრამ წასვლას არ ჩქარობდა, რადგან სხვა ადამიანები, რომლებიც მთავარი შემკვეთები იყვნენ, დაკისრებული მოვალეობების შესრულებას აიძულებდნენ.**

**ლიმსი სალასარს გამოსავალი აღარ დარჩა: მას მოუწევს „რევოლუციურ იმიჯთან“ გა-** ▶

**სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გერმანიის კანცლერის საქციელზე სულ რამდენიმე საათში გამოქვეყნდა 300 ათასზე მეტი კომენტარი, რომლებსაც, ძნელია, ზრდილობიანი უწოდო. გერმანელმა ინტერნეტმომხმარებლებმა ერთმნიშვნელოვნად შეაფასეს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება, როგორც მორჩილებისა და დათმობის ჟესტი თურქეთის პრეზიდენტის მიმართ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **მოთხოვება და აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ მუშაობა — თავისი ქვეყნისა და ჩავესის თანამებრძოლებისთვის სიბინძურის შესხმა. სალასარის განცხადებები ეწინააღმდეგება პატიოსანი პატრიოტის იმიჯს, რომლის კულტივირებასაც ის ადრე ცდილობდა.**

ან რად ღირს სალასარის მტკიცება, რომ ჩავესი გარდაიცვალა არა 2013 წლის მარტში, არამედ 2012 წლის დეკემბერში? მისი თქმით, მისტიფიკაციაში თითქოს მონაწილეობდნენ ჩავესის ნათესავები, მთავრობის წევრები, კუბის ხელმძღვანელები და კუბის კონტრდაზვერვის წარმომადგენლები. **ეს იმიტომ გაკეთდა, რომ უზრუნველეყოთ ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემა „მადუროს დაჯგუფებისთვის“. და სწორედ ამიტომ 2012 წლის დეკემბრის შემდეგ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დადგენილებები ფალსიფიცირებულად უნდა ჩაითვალოს, მადუროს მთავრობა კი — უკანონოდ.**

პარალელურად, ძლიერდება საინფორმაციო ხმაური ვენესუელის ხელისუფლების მონაწილეობაზე „ნარკოოპერაციაში“. ამაში ნათლად იკითხება ამერიკული სპეცსამსახურების განზრახვა: მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება გადაიტანოს სალასარისგან, როგორც ჩავესის სავარაუდო მკვლელისგან.

ბოლივარიული მედია სალასარს იუდას უწოდებს. ვენესუელის ოფიციალური და არაოფიციალური ორგანოები მის დანაშაულებრივ საქმიანობაზე მტკიცებულებებს აგროვებენ, ინფორმაციას მის კონსპირაციულ შეხვედრებზე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოების წარმომადგენლებთან, მათთვის პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტის მონაცემების გადაცემაზე, პირებზე, რომლებთან შეხვედრასაც გეგმავდა, ბიოლოგიურ მასალაზე, რომელიც ჩავესს ეკუთვნოდა.

ამერიკელები კი ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ ვენესუელელთა წამოწყებულ გამოძიებას.

მაგალითად, მადრიდში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურამ კრიტიკული ვითარება შექმნა ვენესუელის სამხედრო ატაშეს გარშემო — დიპლომატები ოპოზიციის წევრების თვალთვალში დაადანაშაულა. სინამდვილეში კი ლაპარაკია სულ სხვა რამეზე: ჩავესის სენსაციურ მკვლელობაში მონაწილეობაში მხილებისგან მომდინარე საფრთხეზე. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად ვინ იტყვის სრულ სიმართლეს. ეს შეიძლება იყოს სნოუდენის ტიპის იდეალისტი, რომელიც ჩათვლის, რომ პოლიტიკური მოღვაწეების მიმართ ასეთი ანგარიშსწორება დაუშვებელია. გარკვეულ იმედს ამყარებენ მატერიალურ ფაქტორზე. **ვენესუელის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დააწესოს ჯილდო კონკრეტულ ინფორმაციაზე ჩავესის მკვლელობის ორგანიზატორებისა და შემსრულებლების შესახებ.**

**ფონდსკ.რუ**



# სამსახურში მიმავალი კიევის მერი ველოსიპედიდან ჩამოვარდა

**კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ საკუთარ თავზე გამოსცადა, რას ნიშნავს უკრაინის დედაქალაქის ქუჩებში ველოსიპედით გადაადგილება.**

ვიტალი კლიჩკო გზაჯვარედინზე გაჩერდა, როცა შუქნიშანზე წითელი აინთო, მწვანე შუქის ანთების შემდეგ კი მან და მისმა მცველმა გადასასვლელი „ზებრა“, გადაჭრეს, შემდეგ კი კლიჩკომ ველოსიპედით სცადა ბორდიურზე შეხტომა, მაგრამ მანევრი არ გამოუვიდა და ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად გაიშხლართა. კიევის ელოსიპედისტთა ასოციაციის კოორდინატორმა **დიმიტრი მაკაგონმა** შენიშნა, რომ მერმა მოძრაობის რამდენიმე წესი დაარღვია. „იმ ადგილას მარცხნივ მოხვევა, როგორც ეს მერმა გააკეთა, აკრძალულია. ისევე, როგორც ტროტუარსა და გადასასვლელზე ველოსიპედით მოძრაობა — ის უნდა ჩამოსულიყო ველოსიპედიდან და გადასასვლელზე ფეხით უნდა გადასულიყო“, — განაცხადა მაკაგონმა.

# გერმანიაში ანტიისლამისტური მოძრაობის ლიდერი განსასჯელის სკამზე დასვეს

**19 აპრილს დრეზდენის (გერმანია) სასამართლოში დაიწყო პროცესი ანტიისლამისტური მოძრაობა „პეგიდას“ დამფუძნებელ ლუც ბახმანის წინააღმდეგ, — იუწყება „დოიჩე ველე“.**




43 წლის ბახმანს ერებს შორის შუღლის გაღვივებაში ადანაშაულებენ. მან 2014 წლის სექტემბერში სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ლტოლვილებისა და, საერთოდ, ყველა მიგრანტის შეურაცხმყოფელი კომენტარები.

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში „პეგიდას“ ყოფილ ლიდერს 3 თვიდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სასამართლო პროცესი უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების ვითარებაში მიმდინარეობს. მოძრაობის რამდენიმე ათეული დამცველი პროცესის დაწყების წინ სასამართლოს შენობასთან შეიკრიბა ბახმანის მხარდასაჭერად. მათ ხელში ეჭირათ პლაკატები: „გრცხვენოდეთ. თავისუფლება ლუც ბახმანს“ და „მერკელი უნდა გასამართლდეს“.

განაჩენი 10 მაისს უნდა გამოცხადდეს.

# «ჩემი კანცლერი არ არის»

## რატომ გამოუცხადეს ომი ანგელა მერკელს გერმანელმა ინტერნეტმომხმარებლებმა

**გერმანიის ხელისუფლებამ სანქცია გასცა, დაიწყოს სასამართლო პროცესი „ბენერმანის საქმეზე“. იან ბენერმანი არის სატირიკოსი და ტელეწამყვანი, რომელმაც გერმანიის ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში თურქეთის პრეზიდენტის — რეჯეფ თაიფ ერდოღანის შეურაცხმყოფელი ლექსი წაიკითხა. ინტერნეტმომხმარებლების რეაქციამაც არ დააყოვნა: მერკელი გერმანული ფასეულობების ღალატსა და უნიათობაში დაადანაშაულეს.**



ამ ინციდენტს განსაკუთრებულ სიმწვავეს სძენს ის, რომ სატირიკოსისა და ჟურნალისტის დასჯის მოწოდებით თვით კანცლერი გამოვიდა და ის, რომ ამ ჟურნალისტს ბრალი ედება „წმინდა არსების შეურაცხყოფაში“, როგორც გერმანელებმა უწოდეს ერდოღანის გარშემო ატეხილ სკანდალს.

სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გერმანიის კანცლერის საქციელზე სულ რამდენიმე საათში გამოქვეყნდა 300 ათასზე მეტი კომენტარი, რომლებსაც, ძნელია, ზრდილობიანი უწოდო. გერმანელმა ინტერნეტმომხმარებლებმა ერთმნიშვნელოვნად შეაფასეს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება, როგორც მორჩილებისა და დათმობის ჟესტი თურქეთის პრეზიდენტის მიმართ.

კომიკოსმა **ოლივერ კალკოფემ** გერმანიის პოლიტიკის ახლანდელ კურსს „კვერცხების დაკარგვა“ უწოდა. „ჩვენ ახლა ვხედავთ მერკელის მმართველობის დასასრულის დასაწყისს, — დაწერა „ტვიტერში“ კანკაფემ, — ძალიან მრცხვენია ამ უნიათობის“.

გერმანიის კანცლერის მიმართ მწარე მეტაფორების ავტორები მერკელს გამოსახავენ ლანგრით ხელში, რომელზეც ჟურნალისტის თავია დადებული. კარიკატურისტმა კამენსკიმ კი მერკელი გამოსახა შერისხული კომიკოსის გამოსახულებიანი მოკრივის სავარჯიშო მსხლითა და ხელთათმანებით, რომლებსაც ერდოღანს გადასცემს.

მიუხედავად მერკელის განცხადებისა, რომ ბერენმანის მიმართ დაწყებული სასამართლო გარჩევა წინასწარგანზრახულ გამამტყუნებელ განაჩენად არავინ უნდა აღიქვას, ბევრმა მის საქციელში გერმანული პრინციპებისა და ფასეულობებისადმი ღალატი დაინახა, ამიტომ ქვეყნის მოქალაქეებმა თავიანთი უკმაყოფილება სოციალურ ქსელში ამ ფრაზით გამოხატეს: „ჩემი კანცლერი არ არის!“.



**მიუხედავად მერკელის განცხადებისა, რომ ბერენმანის მიმართ დაწყებული სასამართლო გარჩევა წინასწარგანზრახულ გამამტყუნებელ განაჩენად არავინ უნდა აღიქვას, ბევრმა მის საქციელში გერმანული პრინციპებისა და ფასეულობებისადმი ღალატი დაინახა. ამიტომ ქვეყნის მოქალაქეებმა თავიანთი უკმაყოფილება სოციალურ ქსელში ამ ფრაზით გამოხატეს: «ჩემი კანცლერი არ არის!»**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთნაირსქესიანთა ქორწინება უზნეობაა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იგი ხომ ბუნების საწინააღმდეგო აქტია? ჩვენ, ომის ვეტერანები, კატეგორიულად ვილაშქრებთ ამ ანტიადამიანური ბინძური სიმახინჯის საქართველოში გავრცელების წინააღმდეგ.**

# დიდი სამამულო ომის ვეტერანებს გვაღელვებს ჩვენი სამშობლოს მდგომარეობა

**დღეს ადამიანს მეტად მოუწესრიგებელ მსოფლიოში უწევს ცხოვრება. კატაკლიზმები, ანომალიური მოვლენები, ანტიბუნებრივი, ანტისაზოგადოებრივი ქმედებები და საზოგადოებისთვის მიუღებელი სხვა მრავალი მოვლენა აფიქრებთ ადამიანებს. ჩვენთვის, ომგამოვლილი ვეტერანებისთვის, სულერთი არ არის, როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, როგორი იქნება ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღე, როგორ პირობებში იცხოვრებს მომავალი თაობა. ჩვენ ხომ მათი კეთილდღეობისთვის ვიბრძოდით და სიცოცხლეს ვწირავდით?!**

## დიდი სამამულო ომის ვეტერანები ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში იმისთვის არ ვიბრძოდით, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობას გახრწნილ და უზნეო გარემოში ეცხოვრა

საქართველოში ამჟამად შექმნილი სოციალური და პოლიტიკური ვითარება, სამწუხაროდ, არ იძლევა მშვიდად ყოფნის საშუალებას. დღეს აშკარად ლაპარაკობენ მესამე მსოფლიო ომის საფრთხეზე, რომელმაც შეუძლებელია, სერიოზულად არ დააფიქროს მსოფლიოს საზოგადოებრიობა, მათ შორის, ქართველი ხალხი.

ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, ამ ქაოსურ ვითარებაში გვაწუხებს და გვაღელვებს ჩვენი სამშობლოს მდგომარეობა. ხშირად ვდგებით ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც თავისი შინაარსით ეჭვს არ უნდა იწვევდეს და მსჯელობის საგანიც არ უნდა იყოს. მაგალითად, **ოჯახის საკითხი. რაც ადამიანთა საზოგადოება არსებობს, ოჯახი წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საზოგადოების ძირითად და განმსაზღვრელ რგოლს და იგი არის ერთობა ორი სუბიექტისა — მამაკაცისა და ქალის.**

ეს ჭეშმარიტება თითქოს სადავო არ უნდა გამხდარიყო, მაგრამ ოჯახის ინსტიტუტი საქართველოში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და, თუ მოვლენები ასე განვითარდება, საზოგადოებისთვის შეიძლება ტრაგედიად იქცეს.

ანდა ავიღოთ მეორე არანაკლებ თავსატეხი პრობლემა — **მამათმავლობა**. თავისთავად მამათმავლობა ახალი მოვლენა არ არის, ოდითგანვე ცნობილი იყო ადამიანებისთვის, მაგრამ იგი მიუღებელ ქმედებად აღიქმებოდა და საზოგადოებაში დიდ სირცხვილად ითვლებოდა. **დღეს კი ეს სამარცხვინო აქტი თავსატეხ პრობლემად იქცა და დასავლეთის ქვეყნებში მეტად მახინჯი ფორმა მიიღო. უბედურება არის ის, რომ დასავლეთის ქვეყნები დემოკრატიულობის დამკვიდრების ნიღბით ცდილობენ, ეს სიბინძურე საქართველოსაც მოახვიონ თავს. ვიმედოვნებთ, რომ ხალხი ამ სიყალბის ანკესზე არ წამოეგება. მამათმავლობის სიმახინჯემ შემდგომი განვითარება ერთნაირსქესიანთა ქორწინებაში ჰპოვა, რომლის გავრცელების საფრთხე საქართველოშიც არსებობს. ამ ბინძურ სიმახინჯეს ერი გადაგვარებისკენ მიჰყავს, ამას ქართველი კაცი ვერ შეეგუება.** ახლა ღიად საუბრობენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე. ასეთი კანონი საქართველოს პარლამენტმა არათუ არ უნდა მიიღოს, არამედ სხდომის დღის წესრიგშიც არ უნდა შეიტანოს. **ერთნაირსქესიანთა ქორწინება უზნეობაა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იგი ხომ ბუნების საწინააღმდეგო აქტია?!**

**ჩვენ, ომის ვეტერანები, კატეგორიულად ვილაშქრებთ ამ ანტიადამიანური ბინძური სიმახინჯის საქართველოში გავრცელების წინააღმდეგ.**



ყველა ზემოაღნიშნულმა ანომალიებმა სრულიად შეცვალა ადამიანებს შორის დამოკიდებულება, ურთიერთობის ფორმები. ყოველდღიურ ყოფაში ჩვეულებრივ ამბად იქცა ბილწსიტყვაობა, დედის გინება — „ჩემი დედა...“ „სექსი“, ამ სიტყვამ ხომ წალეკა ქართული ლექსიკა, რა კონტექსტში აღარ იყენებენ მას: „სექსუალური კაცი“, „სექსუალური ქალი“, „სექსუალური აღზრდა“, „სექსუალური მოძრაობები“ და ა.შ. ჟურნალ-გაზეთებში, ტელეეკრანებზე, კინოში თუ სხვაგან, ყველგან სექსზე საუბრობენ, თითქოს ქვეყანაში სხვა საქმე აღარ იყოს.

**უზნეობის აპოგეაა იოსებ სტალინის — დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემოქმედის — აღვირახსნილი ლანძღვა-გინება.** სტალინი იყო ისტორიული, ეპოქალური პიროვნება, რომლის მსგავსი, არათუ საქართველოს, მსოფლიოს არ ჰყოლია. მისი დამსახურება მსოფლიო ცივილიზაცი- ▶

# ფაქტი, რომელმაც ლატვიელები გააოცა

**„საქართველო და მსოფლიოს“ პუბლიკაციას „რატომ აკრძალა სტალინმა პიესა „ბათუმის“ დადგმა“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №13) გამოეხმაურა ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, სამშენებლო საქმის გამოჩენილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ОМАР МАРГВЕЛАШВИЛИ,**

**რომლის წერილსაც გთავაზობთ.**

**ბატონო რედაქტორო!**

**მოკლედ გეტყვით ჩემს დამოკიდებულებას „საქართველო და მსოფლიოსადმი“, რომელსაც თქვენ, ამდენი ხანია, წარმატებით უდგახართ სათავეში.**

**უმთავრესი, რითაც თქვენი გაზეთი მკითხველს იზიდავს, თემატიკის მრავალფეროვნებაა, მათ შორის, ისეთ თემებს წარმოაჩენთ, რომლებსაც, ოფიციალურად არა, მაგრამ, ფაქტობრივად, ტაბუ ადევს, ყოველ შემთხვევაში, სხვა პერიოდული გამოცემები თავს არიდებენ. ვგულისხმობ წერილებს სტალინის მოღვაწეობის შესახებ. მასალები, რომლებიც ამ თემაზე ქვეყნდება, გამოირჩევა ობიექტურობით, გულახდილობით, თავისუფალია სუბიექტური გადახრებისგან ერთ ან მეორე მხარეს. ჩემი ეს წერილიც ამ საკითხზეა. მადლობელი დაგრჩებით, თუ მიზანშეწონილად ჩათვლით მის გამოქვეყნებას.**

გასული საუკუნის 70-იანი წლები. მოსკოვში, მშენებლობის საკავშირო სამინისტროში გამართულ თათბირს ვესწრები. შესვენებისას გამომეცნაურა ლატვიის მშენებლობის მინისტრი **საკალაუსკასი** (იგი შემდეგ მშენებლობის საკავშირო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა). წესისამებრ, მოვიკითხეთ ერთმანეთი, ვისაუბრეთ ჩვენს პრობლემებზე, ბოლოს მორიდებით მთხოვა:

**— საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ, ბევრი საინტერესო რამ წამიკითხავს და მსმენია თქვენს ქვეყანაზე, ხალხზე. დიდი სურვილი მაქვს, გეწვიოთ, თუ არ შეგაწუხებთ.**

რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ვუთხარი, რომ მზად ვიქნებოდით მის მისაღებად ნებისმიერ დროს.

გარკვეული დროის შემდეგ მართლაც გვეწვია ლატვიის მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგესთან ერთად. დავხვდით. ქართული სტუმართმოყვარეობის წესისა და ადათის მიხედვით შესაფერისად ვუმასპინძლეთ. ერთ დღეს კახეთი დავათვალიერებინეთ — ალავერდი, გრემი, იყალთო, თელავი, სიღნაღი. გვყავდა სოფელ ვაჩნაძიანის ზვრებში; მეორე დღეს მცხეთა — სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი... ბოლოს ჩავედით გორში.



სტალინის სახლ-მუზეუმი. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსკურსიამძღოლი გვაცნობს იოსებ სტალინის ცხოვრებისა და მოვაწეობის პერიოდებს, იმოწმებს ისტორიულ ფოტოებს, ექსპონატებს — ორიგინალებს, რომლებიც საგულდაგულოდ და სათუთად არის გამოფენილი სტენდებზე, მაგიდებზე შუშის ქვეშ. ერთ-ერთი ექსპონატი სტუმრების ყურადღებას მიიქცევს. ეს არის წიგნი „მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე“. სტალინს ამ ნაშრომისადმი თავისი დამოკიდებულება წითელი ფანქრით ჰქონდა მიწერილი. მკაცრი და პრინციპული. მინაწერი, კარგად მახსოვს, მთავრდებოდა კატეგორიული მოთხოვნით: **„გირჩევთ, დაწვათ წიგნი“.**

შევეცადე, აღმედგინა ისტორია, რომელიც ამ წიგნთან არის დაკავშირებული, რათა თქვენი გაზეთის მკითხველები სრულად გარკვეული ყოფილიყვნენ საკითხის არსში.

**1938 წელს საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „დეტიზდატმა“ დასტამბა სმირნოვას წიგნი „მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე“. სასიგნალო ეგზემპლიარი გენერალურ მდივანს მიუტანეს. გადაიკითხა. უსაზღვრო იყო მისი აღშფოთება, რომელიც უმკაცრეს წერილად ჩამოყალიბდა და გაეგზავნა გამომცემლობის ხელმძღვანელსა და ავტორს.**

**წერილი მნიშვნელოვანია, უწინარესად, იმით, რომ ერთი ნიშანდობლივი შტრიხია, თუ როგორ აღკვეთდა სტალინი მისი კულტის გავრცელებისა და დანერგვის ნებისმიერ მცდელობას. ანალოგიური პათოსით იყო გამსჭვალული თქვენი გაზეთის პუბლიკაცია — „რატომ აკრძალა სტალინმა პიესა „ბათუმის“ დადგმა“, რომელმაც მიბიძგა, გამოგხმაურებოდით.**

„მოთხრობებთან“ დაკავშირებით სტალინი წერდა:

**„გადაჭრით წინააღმდეგი ვარ, გამოიცეს „მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე“.**

**წიგნში უხვად არის ფაქტობრივი უზუსტობა, დამახინჯება, გაზვიადება, დაუმსახურებელი ქება-დიდება. ავტორი შეაცდინეს ზღაპრების მოყვარულებმა, ცრუპენტელებმა (შეიძლება „პატიოსანმა“ ცრუპენტელებმა), მლიქვნელებმა. ცოდვაა ავტორი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.**

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი არის ის, რომ წიგნს აქვს ტენდენცია, ჩაუნერგოს ბავშვებს (და, საერთოდ, ადამიანებს) პიროვნების, ბელადების, შეუცდომელი გმირების კულტი. ეს საშიშია და მავნებელი...

**გირჩევთ, დაწვათ წიგნი“.**

სტუმრებმა გიდს სთხოვეს, წიგნის დათვალიერების ნება მიეცა.

თხოვნა შეუსრულეს.

კარგა ხანს ფურცლავდნენ, ათვალიერებდნენ, კითხულობდნენ და გაოცებას ვერ მალავდნენ. განსაკუთრებით — სტალინის მინაწერის გამო.

— ჩვენ ამის შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდით, — ამბობდნენ, — გაკვირვებულნი ვართ.

გორელთა სტუმართმოყვარეობა ცნობილია. არც ჩვენ გამოგვიშვეს უსადილოდ. იმხანად პოპულარულ რესტორან „ინტურისტში“ გაგვიშალეს სუფრა. მასპინძელმა, გორის სამშენებლო ტრესტის მმართ- ▶

# „ეს წიგნი შეგვახსენებს აფხაზეთს და ჩვენს ძირითად მისიას, რომელიც აფხაზეთს უკავშირდება“.

წიგნის თარო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ის გადარჩენაში, მსოფლიოს ხალხების ფაშისტური მონობისგან დახსნაში და საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნა-განვითარებაში ისე დიდია, რომ მისი შეფასების კრიტერიუმი, პრაქტიკულად, არ არსებობს. მან რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი კუთხე — საქართველო — ინდუსტრიულ და განვითარებულ ქვეყნად აქცია. სტალინის მმართველობის პერიოდში საქართველო მოწინავე ქვეყანა იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ რას წარმოადგენს ახლა, ერთ დროს მზიურ ქვეყანად წოდებული საქართველო? იგი დღეს ერთ-ერთ ღატაკ ქვეყნად იქცა და, დასავლეთის კლასიფიკაციის მიხედვით, განვითარებად ქვეყნებს შორის აღმოჩნდა.

**დიდი სტალინის ცხოვრება-მოღვაწეობა ბრწყინვალე მაგალითია იმისა, როგორ უნდა აშენო და მართო ქვეყანა, როგორ იზრუნო ხალხის კეთილდღეობაზე, როგორ იბრძოლო ქვეყნისთვის და დაიცვა იგი მტრებისგან. სწორედ ასეთი ადამიანების მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ თაობები!**

კაპიტალისტური ქვეყნების იდეოლოგები რომ აკრიტიკებენ და აძაგებენ სტალინს, გასაკვირი არც არის, რადგან მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. სტალინის პიროვნება უკვდავია და ამ ბუმბერაზი ადამიანის პიროვნებას უბადრუკი ადამიანების ავყიობა ჩრდილს ვერ მიაყენებს.

ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ვამაყობთ იმით, რომ დავიბადეთ და გავიზარდეთ სტალინის ეპოქაში, ვიბრძოდით დიდ სამამულო ომში და გავიმარჯვეთ მისი სახელით.

სტალინზე საუბარს მისი ყველაზე დიდი მტრის, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრის — **უინსტონ ჩერჩილის** სიტყვებით დავასრულებთ: „რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!“

დიდებული შეფასებაა!

წერილი მინორული ტონის გამოგვივიდა, მაგრამ რა გაეწყობა, რეალობა ასეთია — ჩვენ, იმ ომის ვეტერანები, 90 წელს გადაცილებულნი ვართ და შეიძლება ვინმემ თქვას, მოხუცები სიახლით ყოველთვის უკმაყოფილონი არიანო, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ რეტროგრადები არ ვართ, პირიქით — ყოველგვარ პროგრესულს მივესალმებით, რაც ქართული მენტალიტეტისთვის მისაღებია. მაგრამ **ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით უზნეობას, არაეთიკურ ქცევებს, ქართული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების საწინააღმდეგო ქმედებებს.**

ჩვენ, ომის ვეტერანები, მივესალმებით საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორის პოზიციას და ძალისხმევას გახრწნილების, გარყვნილებისა და უზნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**დიდი სამამულო ომის მონაწილეები:**

**შოთა ბუაძე,**
**დავით იაკობაშვილი,**
**იოსებ ტუხაშვილი,**
**ტარასი იჩქიტიძე**

◀ველმა, გორის მკვიდრმა, თამადობა მთხოვა.

სუფრა თავისი წესითა და რიგით წარიმართა. განწყობილება — შესანიშნავი, მაგრამ ვატყობ, რაღაცას წუხდა მასპინძელი. ადგილს ვერ პოულობდა. მიზეზი რომ ვკითხე, ჩუმად მთხოვა, სტალინის სადღეგრძელო წარმოთქვითო.

იმხანად გორში ყველა სუფრაზე ბელადის სადღეგრძელო პირველი შეისმებოდა. მისდამი უდიდესი პატივისცემის გამოხატვასთან ერთად, ეს გარკვეული პროტესტის ნიშანიც იყო ოფიციალური პოზიციის მიმართ, რომელიც ხრუშჩოვის ანტისტალინიანის გავლენიდან ვერ გამოსულიყო.

მე შეგნებულად თავს ვიკავებდი, რადგან ვიცოდი, რომ ბალტიისპირელები, რბილად რომ ვთქვა, სტალინის მიმართ სიმპათიურად არ იყვნენ განწყობილნი. ისტორიული ბედუკუღმართობა იყო, ყველას მოეხსენება, ამის მიზეზი.

ამასობაში ჩვენმა სტუმრებმა სადღეგრძელოს წარმოთქმის ნება ითხოვეს. წამოდგა ლატვიის მშენებლობის მინისტრი და აშკარად აღელვებულმა დაიწყო:

**— თქვენ იცით, სტალინის მმართველობის პერიოდში რაც გადაგვხდა ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ფაქტობრივად, დაგვიპყრო საბჭოთა კავშირმა. ამას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. ბალტიისპირეთში მცხოვრები ხალხი უარყოფითად აფასებს სტალინის პიროვნებას, მაგრამ ყველაფერმა იმან, რაც ჩვენ დღეს მის მუზეუმში ვნახეთ და მოვისმინეთ, განსაკუთრებით კი მისმა მინაწერმა პიროვნების კულტის მიუღებლობის თაობაზე, სრულად შეგვიცვალა თვალსაზრისი ამ ბუმბერაზ პიროვნებაზე.**

მინისტრმა ილაპარაკა სტალინის პოეტურ ნიჭიერებაზე, ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაბეჭდილ მის ლექსებზე, სამშობლოსადმი მის სიყვარულზე, ეროვნულობაზე, რომლითაც გამსჭვალული იყო ჭაბუკის პოეტური ოპუსები.

— ყველაფერ ამის გამო გთავაზობთ, რომ შევსვათ სტალინის სადღეგრძელო! — თქვა და ალავერდს ლატვიის მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგესთან გადავიდა:

— **სტალინი იყო უდიდესი პოლიტიკოსი, დიპლომატი, სტრატეგი, უდრეკი მხედართმთავარი, რომელმაც ისტორიაში ყველაზე დიდი და სასტიკი ომი მოიგო და მსოფლიო ფაშისტური ჭირისგან იხსნა. გამარჯვების შემდეგ კი უმოკლეს ვადაში აღადგინა უზარმაზარი ქვეყნის ომით არნახულად დაზარალებულ-დანგრეული სახალხო მეურნეობა.**

გარინდებულები ვისმენდით ამ სიტყვებს და, არ დაგიმალავთ, გული სიხარულითა და სიამაყით გვევსებოდა.

**ომარ მარგველაშვილი**

# «ყველას ერთნაირად როდი სტკივა აფხაზეთი»

**ცნობილი ქართველი ნეიროქირურგის, პრაქტიკოსისა და მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის — ნაპო მესხიას წიგნი „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“, რომელიც შარშან „ივერიონმა“ გამოსცა, უნიკალური მოვლენაა წიგნის სამყაროს ჩვეულ სივრცეში. იშვიათი მაინც.**




ძნელი წარმოსადგენია, რომ ავტორს გაებედოს და თავის წიგნში გამოექვეყნებინოს საკუთრივ მის წინააღმდეგ მიმართული, მისეული პოზიციის, თვალსაზრისის, მტკიცებულებათა წინააღმდეგ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში დაბეჭდილი კატეგორიულობითა და არცთუ ყოველთვის ეთიკური ნორმების დაცვით გამორჩეული პოლემიკური წერილები.

ამას გამბედაობა სჭირდება, უპირველესად კი, დარწმუნება საკუთარ სიმართლეში, რომელსაც მეცნიერული ანალიზი და საზოგადო მოღვაწის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი ასაზრდოებს.

ეს თვისებები რომ არა, სხვა ვერავითარი მოტივი ვერ აიძულებდა წარმატებულ ნეიროქირურგს, 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა და გამოგონების ავტორს, ნეიროქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდების შემქმნელს, ხელი მოეკიდა საქართველოს უახლესი ისტორიის ისეთი პრობლემის განხილვისა და ანალიტიკური შეფასებისთვის, როგორიც აფხაზეთის დაკარგვის საკითხია ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც. სპეციალურ (თემატიკის მიხედვით) ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემა ურთიერთგამომრიცხავი, კონცეპტუალურად განსხვავებული შეფასებებით არის წარმოდგენილი.

**„1987 წელს ბატონმა ნაპო მესხიამ დააარსა ნეიროქირურგიული ცენტრი ქალაქ სოხუმში და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას,** — წერს საქართველოს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, — **ცენტრი ცნობილი იყო, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც...**

**ამ ცენტრში კეთდებოდა ზურგის ტვინის, ნერვებისა და თავის ტვინის ოპერაციები მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ბატონ ნაპო მესხიას გამოცდილებისა და მის მიერ დანერგილი ახალი მეთოდების წყალობით მნიშვნელოვნად შემცირდა სიკვდილიანობა ბევრი ნევროლოგიური დაავადების დროს“.**

ერთ მხარეს — ეს, მეორე მხარეს — ძებნა ისტორიული სიმართლის. იგი ორივეს შესწვდა.

**„ეს წიგნი შეგვახსენებს აფხაზეთს და ჩვენს ძირითად მისიას, რომელიც აფხაზეთს უკავშირდება“,** — აღნიშნავს წიგნის რედაქტორი **იური პაპასქუა.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: „იმდროინდელი პოლიტიკური პროცესების ყოვლისმომცველი სამართლებრივი ანალიზი, წარუმატებლობის

## «რაც გინდა ვიბაქიბუქოთ, ქართულ-აფხაზურ (ქართულ-რუსულ) დაპირისპირებაში ჩვენი წვლილიც (ცხელ თავებში აფეთქებული გადაწყვეტილებებიც) რომ ურევია, ამის ხელაღებით უარყოფა უპასუხისმგებლო სიჯიუტეა, რომელიც ჩირადაც არ ღირს»

ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, ომის გარდაუვალობა თუ აუცილებლობის რესურსები უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე დღემდე შეფასებული და დეკლარირებული არ არის“ (გვ. 11).

ან როგორ იქნებოდა, როცა, როგორც ყოველთვის, „ქართლელების აღმა ხნული კახელებმა დაღმა ფარცხეს“?!

ამიტომ წაიკითხეთ ეს წიგნი აკვიატებული აზრის გარეშე, ყველა აქ წარმოდგენილი „პრო“ და „კონტრა“, რადგან (კვლავ ბატონ იური პაპასქუას დავესესხები) „ამ წიგნზე დიდხანს ისაუბრებენ — აღტაცებით (ვისაც სიმართლის მოსმენა ძალუძს), აღშფოთებით (ვისაც შეეხნენ და ამხილეს), გაოცებით (ვისაც ავტორის გამბედაობა გააკვირვებს), ოპტიმიზმით (ვინც კი მშობლიური კერიისკენ მიბრუნების იოტისოდენა პერსპექტივას დაიმგზავრებს თან)“ (გვ. 239).

და, მიაქციეთ ყურადღება ერთ, აღსარებასავით წარმოთქმულ დებულებას: „რაც გინდა ვიბაქიბუქოთ, ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში ჩვენი წვლილიც (ცხელ თავებში აფეთქებული გადაწყვეტილებებიც) რომ ურევია, ამის ხელაღებით უარყოფა უპასუხისმგებლო სიჯიუტეა, რომელიც ჩირადაც არ ღირს“ (გვ. 241).

ამ სახელდახელო შეფასებას წიგნის ავტორის მოწოდებით დავამთავრებ:

**„აწი ჯერი თქვენზეა, ძვირფასო მკითხველო! ყველაზე უკეთ თქვენ შეძლებთ გაარჩიოთ მტყუანი და მართალი“.**

**არმაზ სანებლიძე**

# აშშ-ის ფინანსური ელიტა ჰილარი კლინტონს არჩევნებში დამარცხებით ემუქრება



**ამერიკის ფინანსურმა ელიტამ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონს მკაფიოდ მიანიშნა, რომ მისი პოლიტიკური პროგრამა მიუღებელია. ფინანსური ელიტის რუპორის როლი მილიარდერმა ჩარლზ კოხმა დაიკისრა.**

კოხის აზრით, ჰილარი კლინტონის მოქმედება და რიტორიკა მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს მის მიერ აღებული კურსისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნებში დამარცხდება. ორიენტირად კი ჰილარის ქმარი, ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი დაასახელა, რომელიც „რა თქმა უნდა, მისაბაძი არ იყო, მაგრამ არა — დანახარჯების თვალსაზრისით“.

მოკლედ, ფინანსურმა ელიტამ მკაფიოდ მიანიშნა, რომ ქალბატონ ჰილარის ეკონომიის აუცილებლობაზე — ფულის მჭრელი დაზგა უნდა გაჩერდეს, სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპანსიური პოლიტიკა კი შენელდეს, ანუ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა მის ბიუჯეტს უნდა შეესაბამებოდეს.

კლინტონის წინააღმდეგ ამოქმედდა საინფორმაციო კამპანიაც. „ნიუ იორკ თაიმსმა“ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა სტატია. მასში კლინტონი მოხსენიებულია, როგორც აგრესიული ქორი, რომელსაც შეუძლია დიდი ომი გააჩაღოს.

დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმომადგენლები წინააღმდეგნი არიან კლინტონის აგრესიული ხაზის, რადგან მიიჩნევენ, რომ „ბიზნესი სიწყნარეს ითხოვს და არა ატომურ ომს“, რომლისკენაც მიისწრაფვის ჰილარი.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფინანსო ბუშტის გასაბერად მოიგონეს არა მხოლოდ ფასიანი ქაღალდები, სახელწოდებით „დერივატივები“, რომლებიც მხოლოდ ანალიტიკოსების პოზიციით იყო უზრუნველყოფილი. საფინანსო ბაზრის ნამდვილ ასაფეთქებელ ნივთიერებად იქცა ის, რამაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადამიანები პრობლემებიდან უნდა დაიცვას. ეს არის დაზღვევა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-15 (330-344)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

*არ არსებობს საზოგადოების ბიზნესის განადგურების იმაზე უფრო ზუსტი და ნაღდი საშუალება, როგორიც ფულის თავშეუკავებელი ბეჭდვაა. იგი ეკონომიკის კანონებს განადგურებისკენ შეაბრუნებს, თანაც ისე შეუმჩნევლად, რომ ამას მილიონიდან ვერავინ შეამჩნევს.*

*ჯონ მეინარდ კეინსი*

*ვინ უდარაჯებს დარაჯებს?*

*იუვენალიუსი*

## როგორ იშვა კრიზისი?

დღევანდელი კრიზისის გამომწვევი მიზეზების განხილვითაა სავსე ყველა ჟურნალი და გაზეთი. კრიზისის მთავარი მიზეზის განმსაზღვრელად აშშ-ის იპოთეკური ბაზრის წამდაუწუმ ხსენება წარმოჩნდება. „გამორჩეული“ გამოცემები კი სიამოვნებით წერენ გაუმაგრებელი და უზრუნველყოფაგამოცდილი **დოლარის გაუკონტროლებელი ემისიის** შესახებ. ანალიტიკოსებისა და პოლიტოლოგების აზრით, სწორედ ეს არის უბედურების უმთავრესი მიზეზი. მართლა ასეა?

ჰოც და არაც. **დოლარი და მისი ემისია ეკონომიკის ჩამოშლის არსია**, მაგრამ დოლარი მიზეზი არ არის. დოლარი შედეგია. ჭეშმარიტი მიზეზის სახელია **„ფედერალური სარეზერვო სისტემა“**. დაგვეთანხმებით, რომ მწვანე ქაღალდები (ამჟამად მოვარდისფრო) ამერიკის პრეზიდენტების გამოსახულებით თავისით არ იბეჭდება. უთუოდ ვიღაცის გადაწყვეტილებით ჩამობეჭდავენ, როდის და რამდენს, ჩვენს პლანეტაზე უპირველეს ფულს. ჰოდა, ამ კეთილი ჯენტლმენების განკარგულებით დაიბეჭდა უზომოდ ბევრი დოლარი, გადამეტებულად ბევრი, რაც მიზეზთა მიზეზი გახდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკების გასაჭირის და მათი უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყენების.

გაცვეთილი სიტყვა „ინფლაცია“, რომელიც თანამედროვე ეკონომიკის განუყრელი თანამგზავრი და თითოეული ოჯახის ლამის წევრი გახდა, თურმე ყოველთვის არ არსებობდა. **ძველ, კეთილ დროში არავითარი ინფლაცია არ არსებობდა. იგი გამოჩნდა მაშინ, როცა ეკონომიკა დღევანდელი, ჩვენთვის ნაცნობი სახით ჩამოყალიბდა — როცა ფულის ბეჭდვა ჰაიჰარად დაიწყეს.**

XVIII საუკუნიდან პირველ მსოფლიო ომამდე აშშ-ში და ევროპის უმეტეს ქვეყანაში ფასების დონე პრაქტიკულად არ შეცვლილა — არც გაძვირებულა, არც გაიაფებულა. 1870-დან 1913 წლამდე ცხოვრების ფასი აშშ-ში ყოველწლიურად 0,2 პროცენტით იზრდებოდა. ასე იყო მაშინ, როცა ფასებს „ოქროს“ ან „ვერცხლის“ ფულით ადგენდნენ. ძროხა ან ცხენი რაც ღირდა, ასი ან ორასი წლის განმავლობაში ძვირფასი ლითონის გარკვეული რაოდენობით განისაზღვრებოდა, უფრო ზუსტად, იმ მონეტების რაოდენობით, რომლებიც დამშვენებული იყო ევროპელი მონარქების პროფილებით.

შემდეგ ყველაფერი თანდათან შეიცვალა. 1980-იან წლებში, მაგალითად, ნაყინი 20 კაპიკი ღირდა, ერთ კაპიკად კი მხოლოდ ერთი კოლოფი ასანთის ყიდვა შეიძლებოდა. მეფის რუსეთში ერთ კაპიკად კაცი მსუყე სადილით კარგად დანაყრდებოდა.

საქართველოში უიაფესი ნაყინი 50 თეთრი ღირს, ერთი კოლოფი ასანთი — 5 თეთრი. ხუთი თეთრი კიდევ ლიფტით ასვლა-ჩასვლაში თუ გამოგადგებათ.

რა გახდა ყველაფრის გაძვირების მიზეზი?

ეკონომისტები გვეუბნებიან — მიზეზი ფულის მასის გაზრდაა მსოფლიოში. იმ ფასებმა ყოფილ საბჭოთა კავშირში მაინცდამაინც „პერესტროიკის“ დროს იწყო არნახული ზრდა. ფასებმა, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში სტაბილურობას ინარჩუნებდა, უცებ გაუსწრო ხელფასებს. ფასების ზრდას ყოველთვის წინ უსწრებდა რომელიმე კატაკლიზმი. მეფის რუსეთის დაცემამ კაპიკი ანაქრონიზმად აქცია; დაიშალა საბჭოთა კავშირი, ანაქრონიზმად იქცა რუბლი, იგივე მანეთი.

ასეთივე მოვლენები მეორდება ჩვენს პლანეტაზე, ყველა ქვეყანაში. და ყველგან ფასების მკვეთრი ცვლილების, ინფლაციის წარმოქმნის მიზეზად პირველი მსოფლიო ომი გვევლინება. ეგებ, ინფლაცია საომარმა დაპირისპირებამ გამოიწვია? არა, მანამდეც, XVIII და XIX საუკუნეებში წარმოებული ომების დროს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები აამუშავებდნენ საბეჭდ დაზგებს და უშვებდნენ ფულის ნიშნებს, რომლებიც ოქროთი არ იყო უზრუნველყოფილი. მაშინ ფასები უცებ ავარდებოდა. მაგალითად, აშშ-ში დამოუკიდებლობისთვის ომის დროს დაბეჭდეს ფულის ნიშნები, რომლებმაც წარმოშვა ანდაზა (რაღაცა) „კონტინენტალკაც“ (მაშინდელი ფულის ნიშანი) არ ღირსო. მაგრამ, როგორც კი დამთავრდებოდა ომი, ვალუტა გაიაფდებოდა, ფული ფულად იქცეოდა, ფასები კი თავდაპირველ მიჯნას უბრუნდებოდა.

იგივე რატომ არ მოხდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ? **საომარი მოქმედების პერიოდში გაძვირებული ფასები მშვიდობის დამყარების შემდეგ მკვეთრად შემცირდა, მაგრამ ომამდელ დონემდე არ დაიწია. იმიტომ, რომ ყოველი ომის შემდეგ საბეჭდ დაზგას გამორთავდნენ, მაგრამ ამ ომის შემდეგ გამარჯვებულმა ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, პირიქით, სრული სიმძლავრით ჩართო იგი. მსგავსი სურათი მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც გამეორდა, რომლის დამთავრების პერიოდისთვის აშშ-ში ინფლაცია შემცირდა, მაგრამ ფასები 1939 წლის დონეს აღარ დაუბრუნდა. მას შემდეგ, რაც დოლარი ჭეშმარიტად მსოფლიო სარეზერვო ვალუტად დამკვიდრდა, დაიწყეს მისი ბეჭდვა შეუზღუდავი რაოდენობით. სწორედ ამისკენ ისწრაფვოდნენ ფედერალური სარეზერვო სისტემის დამფუძნებელი ბანკირები.**




**აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტი 2007 წელს უდრიდა 13,8 ტრილიონ დოლარს, მთელი მსოფლიოსი — 54,3 ტრილიონ დოლარს. ამერიკელი «იპოთეკარების» ვალები მათხოვრული გროშებია იმ უზარმაზარ თანხასთან შედარებით, რომლითაც ერთმანეთს მიჰყიდიდნენ «ფასიან» ქაღალდებს ამერიკელი ფინანსისტები და შეუმჩნევლად ითრევდნენ ამ აფერაში დანარჩენ მსოფლიოს**

1913 წელს, როცა ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფსს) შეიქმნა, აშშ-ში მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 148 დოლარი მოდიოდა. 1978 წლისთვის კი უკვე 3.691 დოლარი შეადგინა. დოლარის ღირებულება, ერთეულად მიჩნეული, ამ პერიოდისთვის, 1939 წელთან შედარებით, 12 ცენტამდე შემცირდა. **2006 წელს სამომხმარებლო ფასები აშშ-ში თითქმის 15-ჯერ აღემატებოდა 1939 წლისას.**

ამრიგად, **ასწლეულების განმავლობაში ფასები ურყევი იყო, ინფლაცია არ არსებობდა. სამაგიეროდ, ფსს-ის შექმნის შემდგომ წლებში წარმოქმნილი ინფლაცია აღარ გამქრალა, პირიქით, სერიოზულ ეკონომიკურ ფაქტორად დამკვიდრდა, იმდენად სერიოზულ ფაქტორად, რომ საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოების არსებობასაც კი.** 1971 წელს პრეზიდენტმა **ნიქსონმა** ხელფასებსა და ფასებზე სახელმწიფო კონტროლი დააწესა. დღეს ამის გახსენება არ უყვართ, მაგრამ იმხანად აშშ-ის ეკონომიკა ისეთ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ საჭირო გახდა „სოციალისტური“ ღონისძიებების განხორციელება.

ინფლაცია აშშ-ში ფსს-ის შექმნის შემდეგ წარმოიქმნა და გაძლიერდა. რატომ? იმიტომ, რომ დოლარი სწრაფად იქცა მსოფლიო ვალუტად და ამერიკის ეკონომიკის კერძო პრობლემები დოლართან და მის ინფლაციასთან ერთად საერთო საკუთრებად წარმოგვიდგა...

ინფლაცია ფასების ზრდაა: თუ ძალა შეგწევს, შეგიძლია გაძვირებაც და გაიაფებაც. სსრკ-ში ასეც იქცეოდნენ, გადაწერდნენ საქონლის ფასებს, ეს იყო და ეს. მაშინ ყველაფერი სახელმწიფოს საკუთრება იყო. აშშ-ში სახელმწიფოს ცოტა რამ თუ ეკუთვნის, მაგრამ განვითარებული კაპიტალიზმის პირობებშიც კი შეიძლება ფასების მრუდის სასურველი გეზით წარმართვა...

1921 წელს გამოცემულ წიგნში კონგრესმენი **ჩარლზ ლინდბერგი**, რომელიც თავის დროზე ფსს-ის შექმნის თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო, ასახელებს სამ პრინციპს, რომელთა მიხედვით ფსს ქმნის ეკონომიკის კრიზისებს. ეს კრიზისები უნივერსალურია:

1. **ფულადი მასის გაზრდა ყველა არსებული საშუალებით** (რაც მეტია, უკეთესი);
2. **საკრედიტო აჟიოტაჟის შექმნა, მოსახლეობისა და ბიზნესის კრედიტების ასაღებად წაქეზება** (რაც მეტია, მით უკეთესი);
3. **ფულადი მასის მკვეთრი შემცირება და ვალების გადახდის მოთხოვნა.**

ყველაზე უფრო წყალწაღებულმა სკეპტიკოსმაც კი შეიძლება შეამჩნიოს ამ პრინციპების „ნაკვალევი“ მოვლენათა იმ რიგში, რომლებიც 2008-2009 წლების კრიზისს წინ უსწრებდა. გავიხსენოთ იპოთეკური კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი რომ წარმოქმნილიყო, ჯერ საინვესტიციო ბუმი უნდა დაეწყოთ, უძრავი ქონება კი გაეძვირებინათ. ბუმის შესაქმნელად ფსს-მ შეამცირა საპროცენტო განაკვეთი 6 პროცენტიდან 2001 წელს, ერთ პროცენტამდე — 2003 წლისთვის. ფული ეკონომიკაში ბევრია: იურიდიული პირები მას სიამოვნებით გასცემენ. მათ (იურიდიულ პირებს) მხოლოდ ფიზიკური პირები ჩამორჩებიან. მხოლოდ ერთ წელიწადში (2005 წლის განმავლობაში) ამერიკელებს 750 მილიარდი დოლარის კრედიტები დაუგროვდათ. თუ არის ფული, თანაც, იაფი, ქვეყანაში სამომხმარებლო ბუმი იწყება. ყიდულობენ არა მხოლოდ ტანსაცმელსა და პროდუქტებს, არამედ მოძრავ-უძრავ ქონებასაც და აქციებსაც... ბირჟაზე თამაში და სახლების ყიდვა-გაყიდვა ფეხბურთთან და ბეისბოლთან ერთად ამერიკელების ეროვნული სპორტის უპოპულარეს სახეობად იქცა. ისევე, როგორც 1910-იან წლებში ამერიკის მოსახლეობა წამოეგო ფულის იოლად შოვნის ანკესს. აქციების ინდექსებმა და კურსებმა ყველა რეკორდი მოხსნა. რაც უფრო მეტი ღირს ეს ვირტუალური აქტივები, მით უფრო სასურველი რაკურსით ჩანს ფინანსური კომპანიების, ბანკებისა და საინვესტიციო ფონდების ანგარიშები უბრალო ამერიკელებისთვის (და არა მხოლოდ მათთვის): ინვესტიციებისა და მათი ფასიანი ქაღალდების მიმზიდველობა იზრდება (ასე ეჩვენებათ). ბირჟის “რულეტკის” თამაშით გატაცება საყოველთაო ხდება, თამაშის ეპიცენტრი, რაღა თქმა უნდა, აშშ-ია. სხვადასხვა კომპანიის აქტივების ღირებულების ზრდასთან ერთად რიგითი მოქალაქეების შემოსავლებიც იზრდება. **ეს კეთილდღეობა ვირტუალური რომ არის, ვერავინ ამჩნევს. არც სურთ და არც სჭირდებათ, რადგან მყისვე გაქრება იმედის სხი-** ▶

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ში აგებულია უნიკალური სისტემა, როცა სახელმწიფო უბრალო დამკვირვებლის როლით კმაყოფილდება, თამაშს გარეთაა დარჩენილი. სახელმწიფო, დიდი ხანია, „პრივატიზებულია“, ამიტომაა, რომ მშვიდად იქცევა და ფეხებში არ ებლანდება ამერიკის შეერთებული შტატების ჭეშმარიტ პატრონებს.**

# ასწლეულების განმავლობაში ფასები ურყევი იყო, ინფლაცია არ არსებობდა. სამაგიეროდ, ფსს-ის შექმნის შემდგომ წლებში წარმოქმნილი ინფლაცია აღარ გამქრალა, პირიქით, სერიოზულ ეკონომიკურ ფაქტორად დამკვიდრდა, იმდენად სერიოზულ ფაქტორად, რომ საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოების არსებობასაც კი

**◀ ვმოსილი მატერიალური ბედნიერება. ადამიანები ყიდულობენ აქციებს, როგორც „პენსიებს შავი დღისთვის“ გადასანახად. ეს „ფასიანი ქაღალდები“ იმ დროისთვის, როცა ფსს-ს მიერ მოტყუებული ადამიანები საპენსიო ასაკს მიაღწევენ, იმ ქაღალდების ღირებულებისა იქნება, რომლებზეც ჩამობეჭდილია. მაგრამ, რადგან დამარწმუნებელი არავინ ჩანს, ეს ხალხიც მშვიდად არის და სიკეთის მოლოდინში კარგ გუნებაზეა — ეკონომიკა დღითიდღე იზრდება. შავი დღის ნიშნები ჰორიზონტზე არ ჩანს.**

მაგრამ გამოჩნდება იმაზე ადრე, ვიდრე შეიძლებოდა წარმოედგინათ.

საფინანსო მსოფლმოწყობის უცოდინარობას ყოველთვის ფატალურ შედეგებამდე მივყავართ.

2005 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან პროცენტული განაკვეთის გაზრდა დაიწყო. 2006 წლისთვის 5 პროცენტს მიაღწია. აშშ-ში უკვე იწყებდნენ ნიადაგის მომზადებას მომავალი კრიზისისთვის. რამდენიმე წელიწადი დასჭირდათ პლაცდარმის მოსამზადებლად. ყველაფერი წვრილმანებით უნდა დაწყებულიყო, რათა მიახლოებოდა იმ მიჯნას, რომლიდანაც კრიზისი ყველა აფრას აუშვებდა.

ფედერალური სარეზერვო სისტემის მხოლოდ ერთმა ნაბიჯმა — საპროცენტო განაკვეთის გაზრდამ მოვლენათა განვითარების ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია:

**1.** 2005 წლის ბოლოდან ვალის ბევრმა ამღებმა, განსაკუთრებით, „მეორე ხარისხისამ“ ვერ შეძლო თავისი იპოთეკის და სხვა კრედიტების გადახდა. პროცენტის გაზრდის გამო შემცირდა ახალი კრედიტების ოდენობა. შედეგად ბაზარზე გაიაფდა ბინები და გაიზარდა ობიექტების ექსპოზიციის ვადები.

**2.** ამან კიდევ უფრო გაზარდა კრედიტების გადაუხდელობის რაოდენობა. შექმნილ ვითარებაში იპოთეკარისთვის ვალის გადახდა იმდენად გართულდა, რომ უმჯობესი გახდა, სახლი ბანკისთვის დაეთმოთ ვალის გასტუმრების სანაცვლოდ.

**3.** 2006 წლის დასაწყისში დადგა ვალის გადახდის დრო. ვადა ამოეწურათ მათ, ვინც აიღო იპოთეკა 5 წლის განვადებით. ამ ადამიანებს ვალის გასტუმრების ისედაც შეზღუდული შესაძლებლობა ჰქონდათ, აქ კი გაეზარდათ კრედიტების გადახდის პროცენტი. გადასახადი მყისიერად რამდენჯერმე გაიზარდა, რამაც გადახდაზე უარის თქმის ახალი ტალღა გამოიწვია.

**4.** სახლების გაყიდვა დაიწყეს სპეკულანტებმა (მოგების ფიქსაციისთვის), ბანკებმა (გირაოს რეალიზაციისთვის). მოთხოვნა დაეცა, შეთავაზებამ მკვეთრად იმატა. შედეგად ფასები კიდევ უფრო დაეცა.

**5.** შემდეგ დაიწყო სიძნელეები, რომელთაც იმ კომპანიების გაკოტრება მოჰყვა. გაიაფდა იპოთეკური ობლიგაციები, ახალ გამოშვებებს მყიდველი არ ჰყავდა. ამის კვალზე სიძნელეებმა მიაღწია იმათამდეც, ვისაც აქციები ჰქონდა ნაყიდი ინვესტორებისგან, რომლებიც იპოთეკური ფონდების აქციებს იძენდნენ.



იპოთეკური კრიზისის ისტორია ბევრ შეკითხვას ბადებს. იგივე შეკითხვები შეიძლება მიესადაგოს საფონდო ბაზრის კრიზისს, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

სარეიტინგო სააგენტოები რატომ ანიჭებდნენ სანდოობის მაღალ რეიტინგებს?

რატომ ვერავინ შეამჩნია, რომ ამ გაბერილ ფასეულობათა უკან არაფერი იდგა?

ჭკვიანი ანალიტიკოსები, ერთ ხმაში რატომ მღეროდნენ, რომ უძრავი ქონების ბაზარსა და აქციების ბაზარს მუდმივად ზრდის პერსპექტივა აქვს?

სხვანაირად, აბა, როგორ? თევზაობისას ანკესს სატყუარა ხომ უნდა წამოაცვა? ანალიტიკოსების შეფასებაზე იმდენი რამ იყო დამოკიდებული, მკითხველი ვერც წარმოიდგენს. პირამიდა შენდებოდა და მაღლდებოდა მათ თავდაჯერებულ პროგნოზებზე დაყრდნობით.

**პროცესი ასე ვითარდებოდა:** სახლის ასაშენებლად ამერიკელმა ბანკის ასდოლარიანი კრედიტი აიღო. ბანკი, რომელმაც ეს კრედიტი გასცა, მის საფუძველზე ფასიან ქაღალდს უშვებს და ამ ქაღალდს სხვა ბანკს მიჰყიდის. ამით პირველმა ბანკმა, რომელმაც ეს კრედიტი გასცა, მიიღო ფული კიდევ ერთი კრედიტის გასაცემად. მეორე ბანკმა, რომელმაც ასეთი საწინდრის დიდი გროვა სხვა ბანკებისგან იყიდა, მათ საფუძველზე ფასიანი ქაღალდები გამოუშვა, რომლებიც სახლით კი აღარ იყო უზრუნველყოფილი, არამედ მხოლოდ ქაღალდით. ჭკვიან ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ უძრავი ქონება გაძვირდება და სახლი, რომელიც ამერიკელმა ბანკს გირაოდ დაუტოვა, გაძვირდება და ასის ნაცვლად ორასი დოლარი ეღირება. ამიტომ მეორე ბანკი გაბედულად გასცემს მეორად ფასიან ქაღალდს, რომელსაც „დერივატივი“ ეწოდება. საინვესტიციო ფონდები, რომლებმაც ირწმუნეს ანალიტიკების პროგნოზები და „ბაზრის ზრდას“ ელოდებიან, მეორე ბანკისგან ყიდულობენ ამ დერივატივებს და თავისი მხრიდან ახალ ფასიან ქაღალდებს უშვებენ. შედეგად — გამოშვებულია 300 დოლარის ფასიანი ქაღალდები იმ სახლზე, რომლის საწყისი ფასი 100 დოლარი იყო, მაგრამ ეს სახლი ფსს-ის მანიპულაციების წყალობით 50 დოლარამდე იაფდება. მსესხებელს კი ვალის გადახდა არ შეუძლია ან არ სურს. ბანკმა ახლა მისი სახლის გაყიდვაც რომ შეძლოს, მაშინ თავისი სავალო ვალდებულებებიდან მხოლოდ 50 დოლარის გადახდას მოახერხებს. მეორე ბანკიც იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება. დანარჩენი 250 დოლარის გადამხდელი არავინაა.

**ბანკები გაკოტრდა.**

**შემდეგ კოტრდება საინვესტიციო ფონდები, რომლებმაც ინვესტორების ფულით და „ანალიტიკოსების“ რჩევით შეიძინეს ძვირად ღირებული ჰაერი...**

**სანამ ბაზარი იზრდება, ფასები იზრდება, მთელი ეს სისტემა მუშაობს. აშშ-ში ამგვარი ქაღალდები, სხვადასხვა შეფასებით, გამოუშვეს 2-დან 9 ტრილიონი დოლარის ღირებულების.**

**ფულის „ონკანს“ თუ გადაკეტავთ, გააძვირებთ საპროცენტო განაკვეთს, დაუყოვნებლივ ჩამოინგრევა ეს დიადი, აბსტრაქტული პირამიდა.**

მსოფლიო ეკონომიკის დასანგრევად მხოლოდ იპოთეკური პრობლემები, ცხადია, საკმარისი არ არის, მაგრამ ისინი (ეს პრობლემები) ბიკფორდის ზონრის დანიშნულებას კარგად შეასრულებს. ეს ზონარი აფეთქების მოსაწყობად, ცხადია, საკმარისი არ არის. საჭიროა ასაფეთქებელი ნივთიერებაც. მსოფლიო მასშტაბის კრიზისის მოსაწყობად სერიოზული საფინანსო პრობლემებია საჭირო.

ეს პრობლემებიც წინასწარ შექმნეს, **საფინანსო ბუშტის გასაბერად მოიგონეს არა მხოლოდ ფასიანი ქაღალდები, სახელწოდებით „დერივატივები“, რომლებიც მხოლოდ ანალიტიკოსების პოზიციით იყო უზრუნველყოფილი. საფინანსო ბაზრის ნამდვილ ასაფეთქებელ ნივთიერებად იქცა ის, რამაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადამიანები პრობლემებიდან უნდა დაიცვას.**

**ეს არის დაზღვევა.**

დაზღვევა, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა ფასიანი ქაღალდის ემიტენტს (გამომშვებს) თავისი ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია. კარგი იდეაა?

შესანიშნავი! გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ამ დაზღვევას იმავე ფასიანი ქაღალდების სახით გააფორმებთ. მაშინ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთამაშეები შეძლებენ, გაყიდონ ისინი („ქაღალდები“). ამასთანავე, რისკი დაზღვეული იქნება.

შესანიშნავი ვითარება იქმნება: თქვენ მომყიდეთ ქაღალდი, თუ ჩემს დერივატივებზე რაიმე პრობლემა წარმოიქმნა, იხდით თქვენ. თუ მე მოგყიდით ფასიან ქაღალდს, ანალოგიურ შემთხვევაში გადაიხდით თქვენ.

რა გამოდის?

გამოდის, რომ ადამიანები დაზღვეულები არიან. რისკი არ არის. ყველაფერი დაზღვეულია.

„სი-დი-ესი“ ჰქვია ამ ჯადოსნურ ჯოხს, რომელიც ფინანსების სარკისმიღმეთში გამოიგონეს. კეთილ სიტყვას არ იშურებდნენ ამ „ფასიანი ქაღალდის“ მისამართით. განსაკუთრებით უყვარდა იგი ფსს-ის ხელმძღვანელ **ალან გრინსპენს**, უწოდებდა მას „უნიკალურ ახალ საშუალებას საკრედიტო ბაზარზე ლიკვიდურობის ასამაღლებლად“, „რისკების ჯადოსნურ სეპარატორს“, „დამატებითი დაფინანსების სანდო წყაროს“.

**აზრად არავის მოსვლია, უბრალო და აშკარა ფორმულა, რომ არ შეიძლება არსებობდეს სიტუაცია, როდესაც ყველა დაზღვეულია დამზღვევთა ჩათვლით.**

2008 წლის მეორე კვარტლისთვის ფასიანი ქაღალდების ბაზარი აშშ-ში შეადგენდა 16,4 ტრილიონ დოლარს, დანარჩენ მსოფლიოში — 58 ტრილიონ დოლარს. 2006 წელს ამ ბაზრის ღირებულება მთელ მსოფლიოში უდრიდა 20 ტრილიონ დოლარს, 2004 წელს — 6 ტრილიონ დოლარს. კოლოსალური ზრდაა!

ბევრია ეს თუ ცოტა?

**შეადარეთ: აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტი 2007 წელს უდრიდა 13,8 ტრილიონ დოლარს, მთელი მსოფლიოსი — 54,3 ტრილიონ დოლარს. ამერიკელი „იპოთეკარების“ ვალები მათხოვრული გროშებია იმ უზარმაზარ თანხასთან შედარებით, რომლითაც ერთმანეთს მიჰყიდიდნენ „ფასიან“ ქაღალდებს ამერიკელი ფინანსისტები და შეუმჩნევლად ითრევდნენ ამ აფერაში დანარჩენ მსოფლიოს.**

და ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი ბუშტულაა, რომელიც ამერიკულ იპოთეკაში გაბერეს. აქ ჩათვლილი არ არის დანარჩენი ვირტუალური აქტივები, რომლებითაც ყოველდღიურად ვაჭრობდნენ მსოფლიო სამორინეს მონაწილენი...

როგორც დიდი დეპრესიის წლებში, კვლავ შეიქმნა ვითარება, როცა ფულს ვერავის ესესხები, ვალები კი გადასახდელია...

**ფინანსურ კოლაფსს მოუგონეს პოლიტკორექტულობისა და თავისუფლების შესაფერი მოხდენილი სახელწოდება: „სამართლიანი ღირებულებით გაზომვა“.**

**თქვენ წინააღმდეგი ხართ სამართლიანობის?**

**სამართლიანი ღირებულების?**

**ვინ არის წინააღმდეგი, რათა ღირებულება სამართლიანად გაზომონ?**

**ყველა მომხრეა. ლამაზი სახელწოდების მიღმა კი წიკწიკებდა ასაფეთქებელი მექანიზმის საათი. ამ სიახლის არსი და აზრი ბოლო მომენტამდე ვერავინ გაიგო.**

**როცა გაიგეს, გვიან იყო...**

განა შეიძლებოდა, რომ ამერიკის სახელმწიფოს თვითონ შეექმნა სიტუაცია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას საფრთხეს შეუქმნიდა?

მაგრამ **ამერიკული სახელმწიფო აქ არაფერ შუაშია. აშშ-ში აგებულია უნიკალური სისტემა, როცა სახელმწიფო უბრალო დამკვირვებლის როლით კმაყოფილდება, თამაშს გარეთაა დარჩენილი. სახელმწიფო, დიდი ხანია, „პრივატიზებულია“, ამიტომაა, რომ მშვიდად იქცევა და ფეხებში არ ებლანდება ამერიკის შეერთებული შტატების ჭეშმარიტ პატრონებს.**

ფედერალური სარეზერვო სისტემა მთავრობისგან **დამოუკიდებელი** ორგანიზაციაა, ხოლო სახელმწიფო, ამერიკის პრეზიდენტები, სენატორები და კონგრესმენები ამას ვერ ამჩნევენ.

თქვენ ისევ გჯერათ, რომ კრიზისი თავისით მოხდა?

ამაზე მომდევნო თავში ვილაპარაკებთ...

**გაგრძელება იქნება**



## ინციდენტი შავ ზღვაზე: საქართველო თურქეთს აფრთხილებს

**თურქული გამოცემა Vatan-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში აღწერილია ინციდენტი, რომელიც აფხაზეთის ნავსადგურში სამი თურქული ხომალდის შესვლამ გამოიწვია (ავტორი მეჰმედ ალიდემირი). საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესმა“ თავისუფალი თარგმანით გაავრცელა სტატიის შინაარსი.**

როგორც სტატიაშია აღნიშნული, სამი თურქული გემის მოქმედებამ, რომლებიც აფხაზეთის პორტებში შევიდნენ, შავ ზღვაზე უსაფრთხოების კრიზისი და დიპლომატიური ინციდენტი გამოიწვიეს. საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთს „ოკუპირებულ ტერიტორიად“ მიიჩნევს. შესაბამისად, (საქართველოს დაუკითხავად) აფხაზეთის ნავსადგურებში გემების შესვლა კანონის დარღვევად კვალიფიცირდება. საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდებმა თურქული გემები გააჩერეს და გაჩხრიკეს, თუმცა ადმინისტრაციული და საჯარიმო ზომები არ მიუღიათ. ინციდენტის შესახებ საქართველოს სანაპირო დაცვამ თურქ კოლეგებს შეატყობინა და საერთაშორისო ნორმების დაცვისკენ მოუწოდა. საქმის კურსშია (თურქეთის) ტრანსპორტის სამინისტროც, რომელმაც შავ ზღვაში მცურავი თურქული გემები გააფრთხილა, აფხაზეთის ნავსადგურებში შესვლისაგან თავი შეიკავონ და არ დაარღვიონ საქართველოს ტერიტორიული წყლები, რათა თურქეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობა არ დაზარალდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამრღვევი გემების მიმართ სანქციები გატარდება. როგორც საქართველო-თურქეთის დიპლომატიური მიმოწერიდან ირკვევა, იმ სამი თურქული ხომალდიდან ერთ-ერთს 2012 წელს უკანონოდ გადაჰქონდა იარაღი, კონტრაბანდის სახით.

## სროლის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა

**ჯორჯიის შტატში სროლის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა. „ბიბისის“ ცნობით, პოლიცია ეჭვმიტანილს ეძებს. მისი ვინაობა ცნობილია.** სამართალდამცველთა თქმით, ეჭვმიტანილი დამოუკიდებლად მოქმედებდა. მან ხუთივე ადამიანი ცეცხლსასროლი იარაღით გამოასალმა სიცოცხლეს. ცხედრები ორ სხვადასხვა ადგილას აღმოაჩინეს.

მკვლელობის მიზეზები უცნობია. სროლა მოხდა ოჰაიოს შტატშიც, სადაც ოჯახის რვა წევრს გაუხსნეს ცეცხლი, მათგან ხუთი დაიღუპა, სამი ბავშვი გადარჩა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მკვლევართა აზრით, თერთმეტი თვის ბავშვის ტვინი ერთნაირადაა მზად როგორც ერთი, ასევე, ორი ენის შესასწავლად, რომლებიც მას ყოველდღე ესმის. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადრეული ბავშვობა ყველაზე ოპტიმალური დროა ორი ენის შესასწავლად, რომლის დროსაც სტიმულირდება თავის ტვინის მოქმედება და უმჯობესდება მისი საშემსრულებლო ფუნქციები.**



# რატომ არის სასარგებლო ორენოვნება

**მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ტვინი, რომელიც ორ ენას ფლობს, გაცილებით მეტად ავლენს ადამიანის აქტივობას ისეთ სფეროებში, რომლებიც კვლევით ფუნქციებს უკავშირდება, უფრო ადვილად პოულობს პრობლემების გადაჭრის გზებს და სხვ.**

ახალი კვლევის შედეგების თანახმად, რომლებიც ვაშინგტონის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა მიიღეს, განსხვავება ერთ და ორენოვან ადამიანებს შორის ადრეულ ასაკშივე შეიმჩნევა — როცა ბავშვი პირველი სიტყვების წარმოთქმას იწყებს.

კვლევის ჩატარებისას მეცნიერებმა გამოიყენეს მაგნიტოენცეფალოგრაფია (მეგ) — მეთოდი, რომელიც მაქსიმალურად ზუსტად ზომავს და აღნუსხავს მაგნიტური ველის ცვლილებას, რომელიც წარმოიშობა ტვინის ელექტრონული აქტივობის შედეგად.

მეგ-ის მეშვეობით სპეციალისტები იმ ბავშვების ნეირონების აქტიურობის ნიმუშების შედარებით ანალიზს აკეთებდნენ, რომლებიც ერთენოვან და ორენოვან ოჯახებში იზრდებიან.

ექსპერიმენტში თერთმეტი თვის 16 ბავშვი მონაწილეობდა, რომელთაგან 8 იზრდებოდა მხოლოდ ინგლისურენოვან ოჯახებში, მეორე 8 კი — ინგლისურ და ესპანურენოვან ოჯახებში. მათ 18 წუთის განმავლობაში მეგ-ის სკანერის კონტროლქვეშ უნდა მოესმინათ საუბარი ორივე ენაზე.

ბავშვების რეაქციის შედარებისას მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ორენოვანი ჩვილების თავის ტვინის პრეფრონტალური და ორბიტოფრონტალური ნაწილები გაცილებით ძლიერ რეაგირებდა საუბარზე. ეს ნიშნავს, რომ ბავშვები, რომლებიც ბილინგვურ ოჯახებში ცხოვრობენ, ვალდებულნი არიან, ერთი ენიდან მეორეზე გადაერთონ. ეს კი, შესაბამისად, საშემსრულებლო ფუნქციების განვითარების იმპულსს იძლევა.

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბავშვებისთვის ერთდროულად ორი ენის სწავლება უარყოფითად არ მოქმედებს მათი სწავლის ხარისხსა და ტემპზე. **მკვლევართა აზრით, თერთმეტი თვის ბავშვის ტვინი ერთნაირადაა მზად როგორც ერთი, ასევე, ორი ენის შესასწავლად, რომლებიც მას ყოველდღე ესმის.** აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ადრეული ბავშვობა ყველაზე ოპტიმალური დროა ორი ენის შესასწავლად, რომლის დროსაც სტიმულირდება თავის ტვინის მოქმედება და უმჯობესდება მისი საშემსრულებლო ფუნქციები.**

# მუტანტები არსებობენ და მათ მომაკვდინებელ დაავადებებთან ბრძოლა შეუძლიათ

**თითქმის 600 ათასი კაცის გენეტიკური ინფორმაციის კვლევისა და ანალიზის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მუტანტები რეალობაა და არ არის მხოლოდ კინემატოგრაფისტებისა და მწერლების ფანტაზიის ნაყოფი.**



მაგრამ, თვალებიდან ლაზერის სროლისა და საკუთარ თავზე ათასჯერ მძიმე სხეულების აწევის ნაცვლად, ამ მუტანტებს შეუძლიათ ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ნორმალური ცხოვრებისთვის ხელის შეწყობა.

მონაცემთა მეტაანალიზის შედეგად ნიუ იორკელმა მეცნიერებმა **სტივენ ფრენდის** ხელმძღვანელობით, აღმოაჩინეს 13 ინდივიდი, რომელთა გენეტიკური ინფორმაცია მეტყველებს იმაზე, რომ ეს ადამიანები უკვე მკვდრები უნდა იყვნენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მძიმედ დაავადებულნი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არ აღმოჩნდნენ ავად ისეთი დაავადებებით, როგორიცაა ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება და კისტოზური ფიბროზი (სუნთქვის ფუნქციის მძიმე დაზიანება). ორივე დაავადება, როგორც წესი, მემკვიდრეობით უნდა მიეღოთ, მაგრამ **გენეტიკურმა მუტაციამ ამ ადამიანებს აღნიშნულ დაავადებათა წარმატებით ბლოკირების საშუალება მისცა.**

მეცნიერები თვლიან, რომ ეს შეიძლება იყოს გასაღები იმ მეთოდების მიგნებისა, რომლებიც მედიცინას მსგავსი გენეტიკური დაავადებების მემკვიდრეობით გადაცემის თავიდან აცილების საშუალებას მისცემს. სამწუხაროდ, მოცემული კვლევა აგებულია მეტაანალიზზე. კვლევის ობიექტი 600 ათასი ადამიანის გენეტიკაზე ინფორმაციის მოპოვება ანონიმურად მოხდა. აქედან გამომდინარე, დადგენა იმისა, მათგან რომელია ის 13 ადამიანი, რომლებსაც გენეტიკურმა მუტაციამ აღნიშნულ დაავადებათა წარმატებით ბლოკირების საშუალება მისცა, შეუძლებელია, ამიტომ მეცნიერები ახალი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას გეგმავენ.

# ასეთი ხელები ადამიანთა მხოლოდ 15 პროცენტს აქვს




**რუდიმენტული ორგანოები ეწოდება სხეულის იმ ნაწილებს, რომლებმაც დროთა განმავლობაში დაკარგეს თავისი ფუნქცია, მაგრამ ჯერაც არის ადამიანის სხეულში.**

დედაბუნებას ეს ორგანოები სიცოცხლისთვის საჭიროდ აღარ მიაჩნია, მართალია, ისინი ფუნქციას კარგავენ, მაგრამ არ იცვლებიან.

რატომ არის, რომ სხეულის ზოგი ნაწილი და მათი ფუნქცია ჩვენს ორგანიზმში რჩება, ზოგის კი მხოლოდ ფუნქცია ქრება? რუდიმენტული ორგანოების ყველაზე კარგი მაგალითი ყველასთვის ცნობილი ბრმა ნაწლავია, ასევე, „ბატის“ კანი, სიბრძნის კბილი, გარეთა ყური... იყო დრო, როდესაც სხეულის ეს ნაწილები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ, მაგრამ დღეს ისინი საერთოდ აღარ გვჭირდება. აბა, **დააწყვეთ ხელები მაგიდაზე ხელისგულებით ზემოთ, შუა თითი და ცერი მიადეთ ერთმანეთს, თუკი მაჯაზე შეამჩნევთ დაჭიმულ მყესს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ რუდიმენტული კუნთი.** მას ჰქვია ხელის მტევნის გრძელი კუნთი. დღეს ადამიანების 10-15 პროცენტს ეს კუნთი აღარ აქვს, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია, რადგან ადამიანს ის აღარაფერში სჭირდება. როგორც ჩანს, ეს კუნთები ცხოველებში ბრჭყალების გამოჩენის ფუნქციას ასრულებს. ის ასევე აქვს ყველა პრიმატს და ხიდან ხეზე გადახტომისას საიმედოდ მოჭიდებაში ეხმარება.

ასე რომ, ყველაფერი ნათელია!"

# «ფასტფუდი» გაცილებით საშიშია, ვიდრე წარმოგიდგენიათ

**ახალი კვლევის შედეგები „სწრაფი კვების“ მოწინააღმდეგეებს ახალ არგუმენტებს სთავაზობს, რომ „ფასტფუდთან“ ერთად ადამიანის ორგანიზმში პოტენციურად მავნე ქიმიური ნივთიერებები — ფტალატები შეიძლება მოხვდეს.**

დოქტორ **კენეტ სპეიტის** განცხადებით, არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ უარი ვთქვათ სწრაფ კვებაზე: ერთ-ერთი მიზეზი გასუქების რისკია. მაგრამ ორგანიზმში ფტალატების მოხვედრის შესაძლებლობა საკმარისი არგუმენტია იმისთვის, რომ „ფასტფუდზე“ უარი ვთქვათ.

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის კვლევაში 8 800 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც ყოველდღიურად წარმოადგენდნენ ინფორმაციას თავიანთი კვების რაციონზე, მათ შორის სწრაფი „კვების ობიექტებში“ მიღებულ საკვებზეც. მოხალისეები გამოსაკვლევად ლაბორატორიას ასევე აბარებდნენ შარდს მასში ფტალატების შემცველობის დადგენის მიზნით. ანალიზების შედეგებმა აჩვენა, რომ „ფასტფუდის“ მოყვარულთა შარდში, სხვებთან შედარებით, ფტალატები 20-40%-ით მეტია და ამდენად, კვლევიდან გამომდინარე, **„ფასტფუდი“ ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე შენაერთების „საკმაოდ მნიშვნელოვანი“ მიმწოდებელია.**



სპეიტის აზრით, ფტალატების ორგანიზმში მოხვედრის მაქსიმალური აღკვეთა შეუძლებელია, რადგან კვლევის შედეგად დადგინდა, რომ **ხორცი და მარცვლეული პროდუქტები, მათ შორის პური, ტორტი, პიცა, ბრინჯიანი კერძები, ფტალატების მაქსიმალურ რაოდენობას შეიცავს; ფტალატების დამატებით წყაროს კი წარმოადგენს ცელოფნის ხელთათმანები, რომლებსაც „სწრაფი კვების“ ობიექტების თანამშრომლები იყენებენ.**

ფტალატებს შეიცავს, აგრეთვე, კოსმეტიკური და ჰიგიენური საშუალებები.

მართალია, კვლევამ დაამტკიცა „ფასტფუდით“ სარგებლობასა და ორგანიზმში ფტალატების რაოდენობას შორის კავშირი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფტალატები ორგანიზმში მხოლოდ და მხოლოდ „ფასტფუდის“ წყალობით ხვდება.

სპეიტი მიიჩნევს, რომ მომდევნო კვლევებისას მეცნიერები ფტალატების ორგანიზმში მოხვედრის სხვა წყაროებზეც გაამახვილებენ ყურადღებას.

**ხორცი და მარცვლეული პროდუქტები, მათ შორის პური, ტორტი, პიცა, ბრინჯიანი კერძები, ფტალატების მაქსიმალურ რაოდენობას შეიცავს; ფტალატების დამატებით წყაროს კი წარმოადგენს ცელოფნის ხელთათმანები, რომლებსაც «სწრაფი კვების» ობიექტების თანამშრომლები იყენებენ**

**სანამ ელექტრომობილები და ენერგიის ახალი წყაროები ნელა, მაგრამ ნამდვილად იხვეჭს პოპულარობას საზოგადოებაში, სერიოზულ წინააღმდეგობად რჩება ინდუსტრია, რომელიც საწვავ წიაღისეულზე მუშაობს. გარდა ამისა, ენერგიის შედარებით სუფთა წყაროებზე გადასვლას ხელს უშლის ის, რომ განვითარებადი ქვეყნები თავს უფლებას ვერ მისცემენ, უარი თქვან საწვავ წიაღისეულზე. ეს მათ ძვირი დაუჯდებათ და ძალიან ბევრ ადამიანს მუდმივი ენერგიის წყაროს გარეშე დატოვებს.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კაცობრიობას შეუძლია 10 წლით უარი თქვას საწვავი წიაღისეულის მოპოვებაზე

**ის, რომ გადაჭრით უარი ვთქვათ საწვავი წიაღისეულის მოპოვებაზე, სულაც არ არის შეუძლებელი. მთავარია, ამის სურვილი არსებობდეს.**



ამ დასკვნამდე მივიდნენ სასექსის უნივერსიტეტის მეცნიერები. მათი აზრით, კაცობრიობას შეუძლია უარი თქვას 10 წლის განმავლობაში ქვანახშირისა და ნავთობის გამოყენებაზე. ეს დასკვნა ისტორიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გაკეთდა, რომელთა დანახვაც რატომღაც არ უნდა მსოფლიოს გარკვეულ ნაწილს.

პროფესორმა **ბენჟამინ სოვაკულმა**, კვლევის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ ენერგიის ერთი წყაროდან მეორეზე გადასვლა ადრეც ძალიან სწრაფად ხდებოდა, ოღონდ ამისთვის აუცილებელი იყო: „სახელმწიფოს ძლიერი მხარდაჭერა“, ასევე, ზოგიერთი ეკონომიკური და ეკოლოგიური სტიმულის გათვალისწინება, რომლებიც ამ გადასვლის პერიოდს ხელსაყრელს გახდის. მაგალითად, კანადის პროვინცია ონტარიოს 11 წელი დასჭირდა იმისთვის, რომ მთლიანად ეთქვა უარი ქვანახშირის ენერგეტიკაზე, მაშინ, როდესაც საფრანგეთში, სულ რაღაც, 12 წელიწადში ბირთვული ენერგეტიკა 40 პროცენტამდე გაიზარდა. საწვავი წიაღისეულის მოპოვებაზე უარის თქმის სტიმულის მომცემი შეიძლება იყოს გლობალური კლიმატური ცვლილებები, ენერგორესურსების შემცირება, ასევე, ენერგიის მოპოვების ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება.

მკვლევარი აღიარებს, რომ ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ენერგიის ზოგიერთი წყარო ძალიან ძლიერ არის ინტეგრირებული საერთო ინფრასტრუქტურაში, გადასვლა შეიძლება ვერ მოხდეს ისე სწრაფად, როგორც ეს ჩვენ გვინდა. პროფესორი სოვაკული თვლის, რომ პროცესის ნელა განვითარდება სულაც არ ნიშნავს, უარი ვთქვათ მასზე, როგორც უპერსპექტივო მიმართულებაზე. ეფექტიანობა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია მხოლოდ საერთო სურვილსა და ძალისხმევაზე.

რა თქმა უნდა, სხვა საკითხია ერთობლივი ძალისხმევის არებობა. **სანამ ელექტრომობილები და ენერგიის ახალი წყაროები ნელა, მაგრამ ნამდვილად იხვეჭს პოპულარობას საზოგადოებაში, სერიოზულ წინააღმდეგობად რჩება ინდუსტრია, რომელიც საწვავ წიაღისეულზე მუშაობს. გარდა ამისა, ენერგიის შედარებით სუფთა წყაროებზე გადასვლას ხელს უშლის ის, რომ განვითარებადი ქვეყნები თავს უფლებას ვერ მისცემენ, უარი თქვან საწვავ წიაღისეულზე. ეს მათ ძვირი დაუჯდებათ და ძალიან ბევრ ადამიანს მუდმივი ენერგიის წყაროს გარეშე დატოვებს.**

გადასვლის დაჩქარება არ მოხდება მანამ, სანამ სუფთა ენერგიის გამოყენების პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა არ გახდება ისე რეალური, რომ საწვავი წიაღისეულის ყველაზე თავგამოდებული მომხრეებიც კი არ დაუჭერენ მას მხარს.

# «სრულმეტრაჟიანი» ქოლგა



**პრაქტიკულმა იაპონელებმა ხშირი წვიმიანი ამინდებისთვის „სრულმეტრაჟიანი“ ქოლგა გამოიგონეს. ქოლგის ქვეშ არც თავი დაუსველდებათ და არც ფეხები. ზოგს ისე მოსწონს ნოვაცია, რომ მზიან ამინდშიც კი პარკში გახვეული დასეირნობს.**



# ინტერნეტში კომპიუტერული ვირუსების მუზეუმი გაიხსნა

**პორტალი Archive.org აგროვებს და ინახვს უამრავ ინფორმაციას. აქ ნახავთ ასიათასობით ციფრულ წიგნს, სკანირებულ მიკროფილმს, ვიდეო და აუდიოჩანაწერს, კლასიკურ ვიდეოთამაშს. ახლახან კი საიტის სტუმრებისთვის ხელმისაწვდომი გახდა განყოფილება, რომელშიც კომპიუტერული ვირუსებია წარმოდგენილი.**

აქ არქივის თანამშრომლები ათავსებენ ძველ კომპიუტერულ ვირუსებს, რომლებიც პოპულარული იყო გასული საუკუნის 80-90-იან წლებში. ჯერჯერობით მუზეუმში დაცულია მხოლოდ 79 ექსპონატი, მაგრამ კოლექცია თანდათან იზრდება. სასიამოვნო ფაქტია ის, რომ მუზეუმში მოხვედრილი ყველა ვირუსი დღეს საშიში აღარ არის. არქივის თანამშრომლებმა ისინი „გააუვნებელყვეს“.

ახლა ვირუსების მუზეუმი საშუალებას აძლევს მსურველს, „უშიშრად ჩახედოს თვალებში“ მავნე პროგრამებს, რომლებიც გასული საუკუნის მიწურულს ადამიანებს სიცოცხლის ხალისს უკარგავდა.

**შანხაიდან არც ისე შორს ცხრამეტსართულიანი სასტუმრო შენდება. თითქოს ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ მიტოვებული კარიერის ადგილას ფეშენებელური სასტუმროს აღმართვა, მართლაც ყურადღების მისაქცევია.**

**სასტუმროს მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 500 მლნ დოლარი. ობიექტის მშენებლობა გაისად უნდა დასრულდეს. პირველი ორი სართული წყალქვეშ გაკეთდება, კარიერის დანარჩენი ტერიტორია შეივსება წყალსატევით, რომელშიც „ბუნებრივი“ ჩანჩქერი დაეშვება.**





# «ტიტანიკის» ჩაძირვა სამგანზომილებიანი ანიმაციის სახით რეალურ დროში




**ბრიტანული ტრანსატლანტიკური ლაინერი „ტიტანიკი“ სამუდამოდ შევიდა ისტორიაში 1912 წელს აისბერგთან ტრაგიკული შეჯახების გამო. იმ დღემ 1496 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რომლებიც შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე მხიარულობდნენ, ერთობოდნენ და მომავლის გეგმებს აწყობდნენ. რეჟისორმა ჯეიმს კემერონმა 1997 წელს მომხდარ ამბავზე ფილმი გადაიღო, რომელმაც უამრავი ჯილდო დაიმსახურა, მათ შორის, 11 „ოსკარი“.**

ვიდეოთამაშის ავტორებს კი აქცენტი მგზავრების ტრაგიკულ ბედზე არ გაუკეთებიათ, მათი მიზანია, აჩვენონ **ლეგენდარული „ტიტანიკის“ ჩაძირვის პროცესი სამგანზომილებიანი ანიმაციის სახით რეალურ დროში.** მოვლენათა ანიმაციური რეკონსტრუქცია შთამბეჭდავია. იგი გრძელდება 2 საათსა და 41 წუთს. ვიდეო წარმოგვიდგენს 1912 წლის ტრაგედიის ყველა მნიშვნელოვან მომენტს — ლაინერის აისბერგთან შეჯახებიდან მის ჩაძირვამდე.

მას შემდეგ, რაც გიგანტური გემი ოკეანის ფსკერისკენ წავიდა, გადარჩენილ მგზავრებს მაშველების მოლოდინში მინუს 2 გრადუსის ტემპერატურის წყალში გაყინვის დიდი შანსი ჰქონდათ, ამიტომ გადარჩა მხოლოდ 712 ადამიანი.

„ტიტანიკის“ ნარჩენები დღეს 3 750 მ სიღრმეზეა ჩაძირული. რეჟისორმა ჯეიმს კემერონმა და სხვა ენთუზიასტებმა მაქსიმალური ენერგია ჩადეს ამ ლაინერის ნაწილების შესწავლასა და შემდეგ ხალხისთვის მათი ჩვენების საქმეში. „ტიტანიკის“ ამოყვანის იდეა არა ერთხელ გაჩნდა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა. იყო ასეთი შემოთავაზებებიც: გემის კორპუსი შიგნიდან გაეყინათ, რათა მას ყინულის კუბივით გაეცურა; ან გემი პინგპონგის ბურთებით გაევსოთ...

ჩაძირულ „ტიტანიკთან“ 17 ექსპედიცია განხორციელდა, რომელთა დროს წყლიდან ამოიტანეს 5 ათასზე მეტი სხვადასხვა საგანი.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხარისხიანი კოსმეტიკის დამზადების პარალელურად ელენა რუბინშტეინმა პირველმა დაიწყო კანის ტიპებად კლასიფიცირება (მშრალი, ნირმალური და ცხიმიანი). მისი სილამაზის სალონები თანამედროვე სპა-სალონების მსგავსი იყო. ქალები მიდიოდნენ იქ მასაჟისა და სახის ნიღბის გასაკეთებლად. ელენა არწმუნებდა მათ, რომ ჯანმრთელი ცხოვრების წესი სილამაზის საწინდარია. მოუწოდებდა, უარი ეთქვათ მოწევასა და ალკოჰოლზე; ეუბნებოდა, რომ ჯანმრთელი კვება სილამაზის შენარჩუნებას უწყობს ხელს.**

# «ულამაზო ქალები არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ ზარმაცები»

**შუმერებისა და ძველი ეგვიპტელების დროიდან არსებობდნენ მომსახურე ქალები და კაცები საზოგადოებრივ ბაზრებსა და აბანოებში, რომლებიც მხოლოდ მამაკაცებს კრეჭდნენ თმას, პარსავდნენ წვერს, ასევე შეეძლოთ სისხლის გამოშვება, კბილის ამოღება, ფეხზე კოჟრის მოჭრა. ქალების მომსახურება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ შინ. მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა პირველი სალონი, რომლის დამაარსებელიც გახლდათ ელენა რუბინშტეინი.**



არჩილ გურიელი-ჭყონია და ელენა რუბინშტეინი

ამ ქალბატონს ვერ მივაკუთვნებთ ლამაზ მანდილოსანთა რიგს, მაგრამ უდავოა, რომ ის ნამდვილად იყო სილამაზის ექსპერტი. რუბინშტეინი თავისი ცხოვრების ყველა მოვლენას აკონტროლებდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ელენამ ჟურნალისტებს უკარნახა თავისი ბიოგრაფია, წარმოუდგინა რა მათ საკუთარი თავი მისთვის ხელსაყრელ რაკურსში.

ფართო წრეებში ის ცნობილი იყო, როგორც ოდიოზური პიროვნება, რომელიც არ გამოირჩეოდა გულკეთილობითა და გულთბილობით. კომპანიის თანამშრომლები მას „ტირანს" ეძახდნენ და ამის დამალვას არც კი ცდილობდნენ.

მისი ცხოვრება კონკიას ზღაპარს ჰგავს. 1872 წელს კრაკოვში დაიბადა, ღარიბი ვაჭრის რვა ქალიშვილს შორის უფროსი იყო. ელენა მხოლოდ თავისი მტკიცე ხასიათისა და შრომისმოყვარეობის წყალობით გახდა მილიარდერი. დიდმა **ჟან კოკტომ** მას „სილამაზის იმპერატრიცა" უწოდა. მის პორტრეტს ხატავდნენ XX საუკუნის გამოჩენილი მხატვრები — **პიკასო** და **სალვადორ დალი.**

20 წლის ელენამ დატოვა პოლონეთი და ბიძასთან ავსტრალიაში ჩავიდა იმედით, რომ მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებდა. **მოგზაურობა რუბინშტეინის ქალიშვილმა ისე დაიწყო, რომ ჯიბეში გროშიც არ ედო. მისი ერთადერთი კაპიტალი იყო ახალგაზრდობა, ამბიციურობა და რამდენიმე ქილა კოსმეტიკური კრემი, დედის დამზადებული.**

დედამ ელენას თავიდანვე ჩაუნერგა, ქალი ყოველთვის მოვლილი უნდა იყოსო. ავსტრალიის გარუჯულ ქალებს შორის ელენა მართლაც უცნაური ყვავილივით გამოირჩეოდა. მისი იდეალურად მოვლილი კანი ყურადღების ობიექტად იქცა. და აქ ელენამ სწორი მარკეტინგული სვლა გააკეთა: მან დედის გაკეთებული კრემის გაყიდვა დაიწყო. მალე მას მოსვენება არ ჰქონდა კლიენტებისგან, ამიტომ თვითონ დაიწყო კრემის დამზადება.

და კიდევ ერთი წარმატებული მარკეტინგული სვლა: მან გამოიგონა ისტორია, რომ კრემი დამზადებულია იშვიათი ჯიშის მცენარეებისგან, რომლებიც კარპატებში იზრდება, რის გამოც პროდუქცია გააძვირა. ის თვლიდა, რომ ქალებს ძვირად ღირებული ნივთების შეძენა უყვართ. თეთრ ხალათში გამოწყობილი ხშირად უყვებოდა ჟურნალისტებს თავის სამედიცინო განათლებაზე. სინამდვილეში ეს მორიგი ხრიკი იყო: მას არანაირი განათლება არ მიუღია, მხოლოდ გიმნაზია დაამთავრა.

ავსტრალიაში 9 წლის ცხოვრების შემდეგ ელენას ანგარიშზე ბანკში უკვე 100 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუგროვდა, ჰქონდა სილამაზის სალონი მელნბურნში და რამდენიმე საფირმო პროდუქტი (საპონი, ლოსიონი), რომლებიც არამხოლოდ მის სალონში იყიდებოდა, არამედ იგზავნებოდა ფოსტითაც.

დაიქირავა საუკეთესო სპეციალისტები. ისინი ამუშავებდნენ კოსმეტიკურ საშუალებებს, რომლებიც კანის რეგენერაციას უზრუნველყოფდა და ნაოჭების გაჩენას უშლიდა ხელს.

ელენას ეკუთვნის გამოთქმა: **„ულამაზო ქალები არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ ზარმაცები".**

ელენა ბევრს მუშაობდა, დრო საერთოდ არ რჩებოდა პირადი ცხოვრებისთვის, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, როცა ამერიკელ ჟურნალისტს **ედვარდ ტიტს** შეხვდა. ის იყო ნამდვილი დენდი, მისი კოსტიუმები შეკვეთით იკერებოდა ლონდონში, ხოლო მაისურები პარიზის მოდური სალონებიდან იყო გამოწერილი. ელენას ის შეუყვარდა, მათ ქორწილი ლონდონში გადაიხადეს. თანაბარი პარტნიორობა ბიზნესში — ეს იყო ელენას საქორწინო საჩუქარი ქმრისთვის.

როცა დაქორწინდნენ, ელენა 36 წლის გახლდათ, შეუხედავი, მაგრამ საუცხოოდ მოვლილი კანი მომხიბვლელს ხდიდა მას.

ედვარდს მალე მობეზრდა ოჯახური ცხოვრება და ქორწინებიდან რამდენიმე კვირაში ფლირტი გააბა სხვა ქალებთან ელენას თანდასწრებითაც კი. რა უნდა ექნა ელენას ამ სიტუაციაში? რა თქმა უნდა, საქმეში ჩაეფლო მთლიანად. მან ლონდონში სილამაზის სალონი გახსნა. ახალი იდეა გაუჩნდა: **მაკიაჟი. ამოცანად დაისახა, დაერწმუნებინა მდიდრები, გავლენიანი კლიენტები, გამოეყენებინათ დეკორატიული კოსმეტიკა.** ელენამ კარგად გათვალა, რომ ქალები ერთმანეთის მიბაძვით ამ სიახლით დაინტერესდებოდნენ. და აი, პრემიერმინისტრის ცოლი მისი მუდმივი კლიენტი ხდება. ელენამ აჩვენა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა მაკიაჟი. როდესაც ეს ქალბატონი საზოგადოებაში მაკიაჟით გამოჩნდა, მას უამრავი მიმბაძველი გამოუჩნდა.





ფეხმძიმობამაც კი ვერ ჩამოაშორა ელენა სამუშაოს. 1909 წლის დეკემბერში, 37 წლისამ, ელენამ ვაჟი გააჩინა, 1912 წელს — მეორე ვაჟი. ბავშვებს რამდენიმე ძიძა და მომვლელი ეხვია გარს და, დედა რომ ენახათ, მათთან ერთად მოგზაურობდნენ ლონდონიდან პარიზსა და ნიუ იორკში.

პირადი ცხოვრების წარუმატებლობას გავლენა არ მოუხდენია ელენას საქმიანობაზე. მას აზრად მოუვიდა **ტონალური პუდრისა და ფერ-უმარილის გამოშვება**. 1914 წელს გაემგზავრა ამერიკაში. აქ მას ბრძოლა მოუწია თავის კონკურენტთან — **ელიზაბეტ არდენთან.** ერთი შეხედვით ეს ქალები აბსოლუტურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან: ელენას მოსწონდა ძვირფასეულობა და მკვეთრი წითელი პომადა; ელიზაბეტის საყვარელი ფერი კი ვარდისფერი და ოქროსფერი იყო. ელენა იყო კოლექციონერი. მისი საყვარელი მხატვრები იყვნენ პიკასო და მატისი; ელიზაბეტი კი გატაცებული იყო ცხენებით და თამაშობდა გოლფს. ორივე იყო ამბიციური, დესპოტი და თავისნათქვამა. მონაწილეობდნენ ერთსა და იმავე გამოფენებში, უშვებდნენ მსგავს პროდუქციას, მეგობრობდნენ ერთსა და იმავე მოდური ჟურნალების რედაქტორებთან და ქედმაღლურად არად აგდებდნენ ერთმანეთს, როცა მათი გზები გადაიკვეთებოდა.

არდენთან მეტოქეობამ ელენას ოჯახური პრობლემები დაავიწყა. ის არ რეაგირებდა ედვარდის ტყუილებზე, ქმარი მას აქეთ ადანაშაულებდა დიდი ხნით შინიდან წასვლისა და უყურადღებობის გამო. ბოლოს კი აშარი ქმარი ახალგაზრდა ქალთან ერთად გაიქცა. გულუხვი კომპენსაციის ფასად ელენამ ყოფილი ქმრისგან ბიზნესის წილი დაიბრუნა.

განშორებიდან 4 თვის შემდეგ ელენა ისევ დაქორწინდა, ამჯერად მისი რჩეული ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი **არჩილ გურიელი-ჭყონია გახლდათ. ჭყონია ელენაზე 23 წლით უმცროსი იყო, ლამაზი და ღარიბი.** ელენა კი მაშინ 66 წლისა და სილამაზის იმპერიის მფლობელი გახლდათ. არჩილი აღმერთებდა ცოლს, ცოლიც უზომოდ შეყვარებული იყო მასზე. კომპანია „რუბინშტეინმა" დაიწყო წყალგამძლე ტუშის წარმოება და მსოფლიოში პირველად გამოუშვა კანის ღრმად გამწმენდი საშუალება, ვიტამინიზებული კრემი და დამატენიანებელი კრემი.

1955 წელს არჩილი გულის შეტევისგან გარდაიცვალა. მეუღლის დაკარგვამ ძლიერ იმოქმედა ელენაზე, მაგრამ მისი ტანჯვა ამით არ დამთავრებულა. ბედმა მას კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა: 1958 წელს მისი ერთი ვაჟი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ელენა რუბინშტეინი გარდაიცვალა 1965 წლის მარტში ნიუ იორკში 93 წლისა. მან თავისი იმპერია მემკვიდრეობით დაუტოვა თავის ვაჟს. ამჟამად სავაჭრო მარკა „ჰელენ რუბინშტეინი" ეკუთვნის „ლ'ორეალს".

ქალბატონს, რომელსაც არც სათანადო განათლება და არც საკმარისი კაპიტალი გააჩნდა, მაგრამ მაინც შეძლო სოციალური კიბის მწვერვალზე ასვლა და სილამაზის იმპერიის დაპატრონება, შეიძლება ავანტიურისტი ვუწოდოთ. მაგრამ, ამასთანავე, მისი ისტორია კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა და გამჭრიახობა ეხმარება ადამიანს ყველაზე წარმოუდგენელი ოცნებების ასრულებაშიც კი.

ხარისხიანი კოსმეტიკის დამზადების პარალელურად ელენა რუბინშტეინმა პირველმა დაიწყო კანის ტიპებად კლასიფიცირება (მშრალი, ნირმალური და ცხიმიანი). მისი სილამაზის სალონები თანამედროვე სპა-სალონების მსგავსი იყო. ქალები მიდიოდნენ იქ მასაჟისა და სახის ნიღბის გასაკეთებლად. ელენა არწმუნებდა მათ, რომ ჯანმრთელი ცხოვრების წესი სილამაზის საწინდარია. მოუწოდებდა, უარი ეთქვათ მოწევასა და ალკოჰოლზე; ეუბნებოდა, რომ ჯანმრთელი კვება სილამაზის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

## ელენა რუბინშტეინის სილამაზის სალათა

**შვრიის ფანტელებს დაასხით გადადუღებული თბილი წყალი, დაახურეთ ჭურჭელს თავზე და დადგით ცოტა ხნით. შემდეგ დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი, დაქუცმაცებული ნიგოზი, ხილის ჩირი, გახეხილი ვაშლი, ცოტა რძე, ნახევარი ლიმონის წვენი და სეზონური ხილი.**

**ასე მომზადებული სალათა აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ასუფთავებს ორგანიზმს, კვებავს კანსა და თმას.**

**რას არ მოიფიქრებენ სილამაზისა და ახალგაზრდობის დიდხანს შესანარჩუნებლად. თუ თქვენ ზემოთ აღწერილი რომელიმე პროცედურა ჭკუაში დაგიჯდათ, შეგიძლიათ, წახვიდეთ სამოგზაუროდ და საკუთარი თვალით ნახოთ ყველაფერი, მაგრამ, თუკი გველებმა, ლოკოკინებმა და კაქტუსმა დაგაფრთხოთ, ყურები არ ჩამოყაროთ, რადგან მსოფლიოში სხვა უამრავი ეფექტიანი და „უწყინარი“ პროცედურა არსებობს, რომლებიც მშვიდად შეგიძლიათ ჩაიტაროთ.**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მომსახურების უჩვეულო მეთოდები სილამაზის სალონებში

**ყველა სილამაზის სალონი ცდილობს, სხეულის მოვლისა და გაახალგაზრდავების განსაკუთრებული მეთოდებით რაც შეიძლება მეტი კლიენტი მიიზიდოს. არსებობს პროცედურები, რომლებსაც ყველა იყენებს და მოსწონს, მაგრამ არის ისეთებიც, რომლებზეც ცოტას თუ სმენია, მით უმეტეს საკუთარ თავზე გამოუცდია. მსოფლიოს სალონების მიერ შემოთავაზებულ სერვისებს შორის ზოგჯერ სილამაზისათვის ბრძოლის ფრიად უჩვეულო მეთოდებიც გვხვდება.**



*ეგზოტიკად შეიძლება ჩაითვალოს პედიკიური პატარა თევზების დახმარებით.

ამ თევზებს სპეციალურად ამრავლებენ სილამაზის სალონებში პედიკიურის გასაკეთებლად. კლიენტი დაღლილ ფეხებს ჩააწყობს თევზებიან აკვარიუმში, ხოლო შრომისმოყვარე თევზები აკურატულად და ფაქიზად მოაჭამენ გაუხეშებულ და მკვდარ კანს, აგრეთვე, კლავენ მიკრობებს.

სხვათა შორის, ასეთი პედიკიური დღეს ისე პოპულარულია, რომ თევზების გამოყენება სცადეს მანიკიურისთვის, სახის პილინგისა (პილინგი აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას, მისი დახმარებით ვიშორებთ მკვდარ უჯრედებს კანის ზედაპირიდან, ამით ვეხმარებით „სუნთქვაში“ და კოსმეტიკური საშუალებებიდან სასარგებლო ნივთიერებების უკეთ შეწოვაში) და, საერთოდ, მთელი სხეულის მასაჟის მიზნით.

* თუ თევზები მეტისმეტად ბანალურად გეჩვენებათ, მაშინ გამოიყენეთ კოსმეტიკური პროცედურები... **ლოკოკინებით!**

მაგრამ ამისთვის კოლუმბიაში წასვლა მოგიწევთ, სადაც აქტიურად გამოიყენება ლოკოკინის (Helix Aspersa) სამკურნალო თვისებები. ამბობენ, რომ **ლოკოკინის ლორწო საუკეთესო საშუალებაა კანის სამკურნალოდ, მას ნაიარევისა და დამწვრობის კვალის გაქრობაც შეუძლია.**

*** ისრაელში მკურნალის როლს ასრულებენ გველები.** მეტად სასარგებლოა მათ მიერ გაკეთებული მასაჟი — რეპტილიოთერაპია. სპასალონებში კლიენტებს სთავაზობენ პროცედურას, რომლის დროსაც ადამიანს ზურგზე ადებენ ერთმანეთში ჩახლართული 5-6 გველის გორგალს. რეპტილიები ცდილობენ, ერთმანეთისგან თავის დახსნას, რითაც უნებურად უმასაჟებენ ზურგსა და კისერს ადამიანს. როცა გველები დაიშლებიან და სხვადასხვა მიმართულებით დაიწყებენ ცოცვას, მათ ისევ ერთ გორგლად გადააქცევენ და ისინიც ხელახლა დაიწყებენ თავის გათავისუფლებას.

მსგავსი პროცედურებისთვის იყენებენ როგორც პატარა გველებს, ასევე პითონებსაც. ისრაელის სპასალონების სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ამ პროცედურით კლიენტები არამხოლოდ კარგად დაზელილ ზურგს იღებენ, არამედ ამარცხებენ შიშს.

*** აი, ჩეხეთში უფრო საშიში პროცედურა მოუფიქრეს.** აქ ყველა მსურველს სთავაზობენ საკუთარ თავზე ჯადოსნური ძალის გამოყენებას... **ლუდს.** დიახ, სასმელი, რომელმაც სახელი გაუთქვა ჩეხეთს მსოფლიოში, არა მხოლოდ შეიძლება დავლიოთ, არამედ შეიძლება გამოვიყენოთ მისი აბაზანები. ჩეხებს მიაჩნიათ, რომ ასეთი პროცედურები კუნთებისთვისაც ისევე სასარგებლოა, როგორც კანის გასაჯანსაღებლად.



* იაპონელებმა ირწმუნეს, რომ სილამაზის ფასი არაფერია და სალონებში კლიენტებს სთავაზობენ **ოქროს ნიღბის გაკეთებას.** ადამიანი რამდენიმე ხანი თავს წარმოიდგენს ქანდაკებად (ნიღაბს იკეთებენ სახეზე ან სხეულზე), ოქროს „საფარის“ მოშორების შემდეგ კი თავს ახალგაზრდად და ენერგიით სავსედ იგრძნობს. ეს პროცედურა იაფი არ არის, მაგრამ შეძლებული იაპონელები ამბობენ, რომ გასაახალგაზრდავებლად ფული არ ენანებათ.

***მექსიკელი კოსმეტოლოგები თვლიან, რომ ცოტა ტკივილი კლიენტს არ ავნებს.** ამ ქვეყანაში ძალიან პოპულარულია პროცედურა, რომელსაც საუკუნეების წინათ იყენებდნენ აცტეკები.

**სხეულის გარკვეულ ადგილებზე კაქტუსის მჩხვლეტავ ნაჭრებს ადებენ,** რომელიც ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევასა და ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში. ეს პროცესები უფრო ჩქარა და აქტიურად რომ წარიმართოს, დაჩხვლეტილ ადგილებს აგავის წვენით ასველებენ. ამასთანავე, პროცედურის დაწყების წინ ყველა კლიენტს სთავაზობენ ცოტაოდენ ტეკილას, რათა ჩხვლეტისგან გამოწვეული ტკივილი შეუმსუბუქდეთ.

რას არ მოიფიქრებენ სილამაზისა და ახალგაზრდობის დიდხანს შესანარჩუნებლად. თუ თქვენ ზემოთ აღწერილი რომელიმე პროცედურა ჭკუაში დაგიჯდათ, შეგიძლიათ, წახვიდეთ სამოგზაუროდ და საკუთარი თვალით ნახოთ ყველაფერი, მაგრამ, თუკი გველებმა, ლოკოკინებმა და კაქტუსმა დაგაფრთხოთ, ყურები არ ჩამოყაროთ, რადგან მსოფლიოში სხვა უამრავი ეფექტიანი და „უწყინარი“ პროცედურა არსებობს, რომლებიც მშვიდად შეგიძლიათ ჩაიტაროთ.







# როგორ მოვუაროთ სახეს და არამხოლოდ სახეს საშინაო პირობებში

**საშინაო პირობებში მარტივად კეთდება სახის პილინგი ყავის ნალექისგან, რომელიც არაჩვეულებრივ ეფექტს იძლევა — საოცრად არბილებს სახის კანს. ამისათვის წრიული მოძრაობებით მსუბუქად უნდა წავისვათ ის სახეზე და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩამოვიბანოთ.**

*შავი წერტილების ამოსაყვანად (ცხვირზე, ნიკაპზე) სკრაბივით იხმარება მჭადის ფქვილი.

*ძალიან მშრალი კანისთვის კარგია, თუ დუშგელში აურევთ ყავის ნალექს და 1 ჩაის კოვზ მარილს.

*ყავის ნალექს რუჯისთვისაც იყენებენ. არის ნიღაბი, რომელიც არბილებს და აახალგაზრდავებს კანს და ასევე მატებს მას მსუბუქ ნამზეურს:

1 ს.კ. თაფლი, 1 ს.კ. ყავა, 3 წვეთი ზეითუნის ზეთი, 1/2 ჭიქა რძე — ეს ინგრედიენტები ერთმანეთში უნდა აურიეთ, მიღებული მასა წაისვით სუფთა სახეზე. 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

*ყავის ნალექში თუ ცოტა შაქარს და 1 ჩ. კ. ზეითუნის ზეთს აურევთ, მიიღებთ ტანის სკრაბს, რომელიც ამკვრივებს კანს და ებრძვის ცელულიტს.

*არაჩვეულებრივია კანისთვის, აგრეთვე, ზეითუნის ზეთი. დღეს იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია — იყიდება აფთიაქებში და სულაც არ ღირს ძვირი. მდიდარია შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავებით, რომლებიც ხელს უწყობს კანის დატენიანებას, თმისა (თმაში იზელენ, ებრძვის თმის ცვენას) და ფრჩხილების ჯანმრთელობას. ზეითუნის ზეთს წამწამებზეც ისვამენ.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

* 1941 წლის 3 მაისს ზუგდიდში დაიბადა ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი, მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი (1962-1978), 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი 1989-1996 წლებში ნონა გაფრინდაშვილი.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ისტორიაში



*** 1924 წლის 1 მაისს თბილისში დაიბადა მსახიობი და რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი დავით (დოდო) აბაშიძე.**

1956 წლიდან მუშაობდა „ქართულ ფილმში“, შექმნა ბიჭიკოს („ჭრიჭინა“), აბდუშაჰილის („ბაში-აჩუკი“), ალუდას („ხევსურული ბალადა“), ომარის („მაცი ხვიტია“), სოსანას („დიდი მწვანე ველი“), ალექსანდრეს („სინათლე ჩვენს ფანჯრებში“), გენიოსას („უდიპლომო სასიძო“), მამამზე ერისთავის („დიდოსტატის მარჯვენა“), გიორგის („ფესვები“), ყვარყვარეს („ყვარყვარე“), არქიფო სეთურის („დათა თუთაშხია“), შავლეგის („არაჩვეულებრივი გამოფენა“), იასონის („პირველი მერცხალი“) და სხვა სახეები.

გარდაიცვალა 1990 წლის 26 იანვარს.

***1879 წლის 30 აპრილს სოფელ ტობანიერში (ამჟამად ვანის მუნიციპალიტეტი) დაიბადა ქართველი ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, თეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.**

გარდაიცვალა 1962 წლის 7 ივლისს.






*** 1994 წლის 6 მაისს გაიხსნა ლა-მანშის სრუტის ქვეშ გაყვანილი გვირაბი, რომელმაც საფრანგეთი დიდ ბრიტანეთს დააკავშირა.**

XX საუკუნის უდიდესი ნაგებობა ლა მანშის გვირაბი, ანუ ევროგვირაბი სიგრძით 51 კმ-ია და 38 კმ ზღვის ქვეშ არის. ევროგვირაბი, რომლის მშენებლობაც 1987 წელს დაიწყო, ორი ძირითადი (სარკინიგზო) და ერთი დამხმარე გვირაბისგან შედგება.

სპეციალური სამგზავრო მატარებლები პლატფორმებით ავტომობილებისთვის ყოველ საათში გადის ორივე მხრიდან.



*** 1840 წლის 7 მაისს ქალაქ ვოტკინსკში (ვიატკის გუბერნია, რუსეთი) დაიბადა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი პეტრე ჩაიკოვსკი.**

ავტორია 80-ზე მეტი ნაწარმოებისა, მათ შორის, 10 ოპერისა და 3 ბალეტის, 7 სიმფონიის, 4 სიუიტის, აგრეთვე, რომანსების.

ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით პოპულარულია ოპერები: „ევგენი ონეგინი“; „იოლანტა“; „მაზეპა“; „ორლეანელი ქალწული“; ბალეტები: „გედების ტბა“; „მძინარე მზეთუნახავი“; „მაკნატუნა“; №1 საფორტეპიანო კონცერტი და სხვა.

გარდაიცვალა 1893 წლის 6 თებერვალს.

*** 1921 წლის 5 მაისს პარიზში პირველად წარმოადგინეს სუნამო „შანელი №5“, სუნამო, რომელსაც „ქალის სურნელი“ უწოდეს.**

ლეგენდის თანახმად, კოკო შანელის პარფიუმერმა **ერნესტ ბომ** ერთ ფლაკონში 80 სხვადასხვა არომატის მქონე ექსტრაქტი შეურია და 10 სინჯარაში გადაიტანა. კოკო შანელმა მე-5 სინჯარა აირჩია, დაუმატა მას შროშანის არომატი და რიგით ნომერთან ერთად თავისი სახელიც მიაკუთვნა — „შანელი №5“.




„შანელი №5“ ყველაზე პოპულარული სუნამოა მსოფლიოში — დღემდე გაყიდულია 1,5 მილიარდი დოლარის ღირებულების.

*** 1791 წლის 27 აპრილს ჩარლზტაუნში (მასაჩუსეტსის შტატი, აშშ) დაიბადა ამერიკელი გამომგონებელი და მხატვარი სემუელ ფინლი ბრიზ მორზე.** მისი ყველაზე ცნობილი გამოგონებაა ელექტრომაგნიტური ტელეგრაფი („მორზეს აპარატი“, 1836 წ.) და მორზეს კოდი (ანბანი).

1844 წელს მორზემ პირველი დეპეშა გაგზავნა ვაშინგტონიდან ბალტიმორში.

გარდაიცვალა 1872 წლის 2 აპრილს.



*** 1840 წლის 1 მაისს ლონდონში წარმოადგინეს პირველი საფოსტო მარკები, რომლებზეც ინგლისის დედოფალი ვიქტორია იყო გამოსახული.**

პირველ მარკას ეწოდა „შავი პენი“. 6 მაისიდან კი მარკების დაწებება აუცილებელი შეიქნა წერილის გასაგზავნად.

მარკების გამოყენების იდეა ეკუთვნის სერ **როულენდ ჰელს** (1795-1879), რომელიც შემდეგ ინგლისის




საფოსტო სამსახურს ხელმძღვანელობდა.

*** 1469 წლის 3 მაისს ფლორენციაში დაიბადა იტალიელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ნიკოლო მაკიაველი.**

ეკავა ფლორენციის მეორე კანცლერის მდივნის პოსტი და დაკავებული იყო დიპლომატიით. მომხრე იყო ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების, რომლის განსამტკიცებლადაც ნებისმიერი საშუალების გამოყენება დასაშვებად მიაჩნდა, რაც გამოხატა კიდეც ნაშრომში „ხელმწიფე“.

ნიკოლო მაკიაველს ეკუთვნის ფრაზა: **„მიზანი ამართლებს საშუალებას“.**

გარდაიცვალა 1527 წლის 21 ივნისს.






*** 9 მაისი დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეა. 1945 წლის 8 მაისს ფაშისტური გერმანიის მიერ უპირობო კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერის შემდეგ 9 მაისი დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღედ გამოცხადდა.**

სტალინის ბრძანებით, ეს დღე მოსკოვში გრანდიოზული სალუტით აღინიშნა 1000 საარტილერიო ქვემეხიდან გასროლით.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ საბჭოთა არმიამ ტყვედ აიყვანა ვერმახტის 1,5 მლნ ჯარისკაცი და ოფიცერი, აგრეთვე, 101 გენერალი. ეს დიადი გამარჯვება საბჭოთა კავშირის ხალხებს 27 მლნ ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა (მათ შორის 8,6 მლნ ჯარისკაცის) მეორე მსოფლიო ომში ჩართული ქვეყნებიდან სსრკ ერთადერთი იყო, რომელიც მის ტერიტორიაზე შეჭრილ ფაშისტებს არ დანებდა და სისხლისმღვრელი ბრძოლები გაუმართა. იმ სახელმწიფოების დანაკარგები, რომლებიც ჰიტლერელებს დანებდნენ, შედარებით მცირეა — მოსახლეობის 1-2% (ყოფილი იუგოსლავიის გარდა, სადაც ეს მაჩვენებელი 11%-ს აღწევს).

გერმანელებმა კი ამ ომში 5,1 მლნ ჯარისკაცი დაკარგეს.




*** 1904 წლის 3 მაისს ამერიკელმა გამომგონებელმა ჯორჯ პარკერმა დააპატენტა თავისი პირველი კალამი „პარკერი“.**



*** 1929 წლის 4 მაისს ბრიუსელში დაიბადა ბრიტანელი მსახიობი და ფოტომოდელი ოდრი ჰეპბერნი (ქალიშვილობის გვარი ოდრი კეტლინ რასტანი), რომელიც „რომაულ არდადეგებში“ შესრულებული როლისთვის „ოსკარით“ დააჯილდოვეს.**

მონაწილეობდა, აგრეთვე, ფილმებში: „ომი და მშვიდობა“ (ნატაშა როსტოვა), „საუზმე ტიფანისთან“ (ჰოლი გოლაიტლი), „შარადა“ (რეგინა ლამპერტი), „ჩემი მშვენიერი ლედი“ (ელიზა დულიტლი), „როგორ მოვიპაროთ მილიონი“ (ნიკოლ ბონე) და სხვ.

გარდაიცვალა 1993 წლის 20 იანვარს.

**6 მაისს ახალმთვარეობაა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს და მცენარეებს ნუ დარგავთ. წარმატებას მიაღწევენ ქალწულის ნიშნით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**27 აპრ. - 10 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

გვერდით გადადეთ ამბიციური გეგმები და ფინანსური პრობლემების მოგვარება დაიწყეთ. იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენს გაკრიტიკებას შეეცდებიან, აგრესიულად ნუ უპასუხებთ, მით უმეტეს, თუ კრიტიკა სამართლიანი იქნება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, ის მხარში ამოგიდგებათ და პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ.

დაიცავით კვების რეჟიმი და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად ან დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღეები: 30 აპრილი, 7 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 28 აპრილი, 10 მაისი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

ბევრი რთული პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეთ. ნუ დადარდიანდებით და საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. პრობლემების მოგვარებაში დახმარება ახლობლებს სთხოვეთ და სიამოვნებით ამოგიდგებიან მხარში. არ არის გამორიცხული, ბევრი რამ გადააფასოთ და ცხოვრებას სხვა თვალით შეხედოთ.

საყვარელ ადამიანს, შესაძლოა, თქვენი დახმარება დასჭირდეს. დაძაბული სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, მისთვის დრო აუცილებლად გამონახეთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ შვილების მიმართ.

დიდია ტრავმირების ალბათობა, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების გამოყენებისას გაუფრთხილდით ხელებს.

**დადებითი დღეები: 29 აპრილი, 9 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 7, 10 მაისი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

რადიკალურ ცვლილებებზე — ახალი სამსახურის მოძებნაზე, ახალი ბიზნესპროექტის დაწყებაზე ან საცხოვრებლის გამოცვლაზე, სჯობს, არ იფიქროთ, რადგან ისეთი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებით, რომელთა მოგვარებაც ძალიან გაგიჭირდებათ. უარი თქვით საეჭვო ფინანსურ და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობაზე.

მარტოხელა ტყუპები, ვიდრე ახალგაცნობილ ადამიანთან რომანს წამოიწყებენ, მოსალოდნელ შედეგებზე უნდა დაფიქრდნენ. დაქორწინებულებმა კი მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ. დიდია ქრონიკული ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 30 აპრილი, 7 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 28 აპრილი, 4 მაისი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

საქმე თავზე საყრელად გექნებათ და დროის უკმარისობის გამო, ოჯახის წევრებმა შეიძლება უყურადღებობაში დაგადანაშაულონ. შეეცადეთ, კეთილგანწყობილი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებთან, რადგან მათი მხარდაჭერა თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობისთვის.

მარტოხელა კირჩხიბებს ელით რომანტიკული თავგადასავალი ახალგაცნობილ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან, თუმცა ურთიერთობა შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს.

ამ პერიოდში თქვენი ჯანმრთელობის მთავარი მტერი უმოძრაობა იქნება. მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად და მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღეები: 6, 9 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 1, 10 მაისი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

რუტინული საქმე დისონანსს შეიტანს თქვენს ცხოვრებაში. ნუ გაღიზიანდებით, შეეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად შეასრულოთ დავალებები და ახალი იდეის ხორცშესხმაზეც იფიქროთ.

შესაძლოა, გამოძებნოთ შემოსავლის დამატებითი წყარო, რომელიც თქვენს არცთუ სახარბიელო ფინანსურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გართულების მიზეზი თქვენი წინდაუხედავი საქციელი იქნება. ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უფროს წევრებს — დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

დიდია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 7, 9 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 27 აპრილი, 4 მაისი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

თუ იაქტიურებთ და მოვლენების განვითარებას არ დაელოდებით, ყველა საქმეს ისე წარმართავთ, როგორც დაგეგმილი გქონდათ. გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ მიმავალ გზაზე და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

მარტოხელა ქალწულებს ელით დაუვიწყარი რომანტიკული საღამო საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან, რომელთან ურთიერთობის გაღრმავებაზეც, დიდი ხანია, ოცნებობდნენ. დაქორწინებულმა ქალწულებმა კი, სჯობს, მეტი დრო გაატარონ შვილებთან.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ სტრესულ სიტუაციებს თავს აარიდებთ და მეტ დროს გაატარებთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღეები: 30 აპრილი, 9 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 4, 10 მაისი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

გამოიყენეთ ნებისმიერი შემთხვევა თქვენი უნარებისა და შესაძლებლობების წარმოსაჩენად. გულმოდგინედ შეასრულეთ ყველა დავალება და ხელმძღვანელობისგან ჯილდოს დაიმსახურებთ — ან დაგაწინაურებენ, ან პრემიას მოგცემენ.

თავი აარიდეთ ავანტიურისტულ პროექტებსა და საეჭვო გარიგებებში მონაწილეობას.

საყვარელი ადამიანისთვის პრეტენზიების წაყენება კარგს არაფერს მოგიტანთ, რადგან შესაძლოა, კონფლიქტი თავიდან ვერ აიცილოთ. შეეცადეთ, ურთიერთობის გარკვევა სხვა პერიოდისთვის გადადოთ.

იმ სასწორებმა, რომლებსაც თირკმლების ქრონიკული დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 27 აპრილი, 3 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 30 აპრილი, 8 მაისი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ბევრი იდეა გაგიჩნდებათ, მაგრამ კარგად უნდა დაფიქრდეთ, შეძლებთ თუ არა მათ განხორციელებას დამოუკიდებლად.

გაუფრთხილდით საფულეს და ძვირფასეულობას — დიდია დაკარგვის ალბათობა. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება თქვენს გულმოდგინე მუშაობაზე იქნება დამოკიდებული.

ბევრი მორიელი შეძლებს ურთიერთობის განმტკიცებას საყვარელ ადამიანთან, თუმცა ამისათვის რამდენიმე საკითხში დათმობაც მოუწევთ. გახსოვდეთ, რომ ზოგჯერ მეორე ვიოლინოს როლში ყოფნა ცუდი არ არის.

დიდია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 28 აპრილი, 3 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 4, 10 მაისი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

მოგიწევთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მოსაგვარებელი გექნებათ საყოფაცხოვრებო პრობლემებიც, რომლებიც დიდი ხანია, დაგიგროვდათ.

არ არის გამორიცხული, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი. ოჯახში მყუდრო გარემოს შექმნა და ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება დიდწილად თქვენზე იქნება დამოკიდებული. მეტი დრო დაუთმეთ შვილებთან ურთიერთობას.

შეეცადეთ, იკვებოთ ვიტამინებით მდიდარი ნატურალური საკვებით და გაიმყაროთ იმუნიტეტი. ფიზიკური ფორმის გასაუმჯობესებლად კი სჯობს, სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდეთ.

**დადებითი დღეები: 27 აპრილი, 10 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 29 აპრილი, 8 მაისი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ დაიწყებთ. სჯობს, მთავარი გამოარჩიოთ და მის კეთებას ნელ-ნელა შეუდგეთ. სასიკეთო პერიოდია შემოქმედებით სფეროში მოღვაწე თხის რქებისთვის: მსახიობებისთვის, მწერლებისთვის, მხატვრებისთვის, დიზაინერებისა და არქიტექტორებისთვის.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება, მშობლების მიმართ კი მეტი მზრუნველობის გამოჩენა გმართებთ. მათ თქვენი დახმარება დასჭირდებათ.

მაღალია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების შანსი. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 29 აპრილი, 3 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 27 აპრილი, 10 მაისი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

ახალი საქმიანი პარტნიორი, რომელსთანაც შეიძლება მოისურვოთ დასახული პროექტების განხორციელება, აირჩიეთ ისეთი, რომ არა მხოლოდ ბიზნესის, არამედ, საერთოდ, ცხოვრებისეულ საკითხებზეც გქონდეთ ერთნაირი თვალსაზრისი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მშვიდად წარიმართება. სიამოვნებას მოგგვრით ოჯახის წევრებთან ურთიერთობაც, რომლებმაც, შესაძლოა, სიურპრიზი მოგიწყონ.

გუნება-განწყობილების გასაუმჯობესებლად კარგი იქნება, თუ სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით.

**დადებითი დღეები: 1, 5 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 28 აპრილი, 8 მაისი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

აღივსებით ენერგიით, მოიმატებს თქვენი თვითდაჯერებულობა და რამდენიმე საქმეს ერთდროულად შეეჭიდებით. მუხლჩაუხრელი შრომით ყველა საქმეს წარმატებით დაასრულებთ.

შესაძლოა, აღმოჩნდეთ საზოგადოების ყურადღების ცენტრში და ადამიანებმა დახმარება გთხოვონ, უარს ნუ იტყვით, რადგან თქვენი რჩევები მათ წარმატებას მოუტანთ. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები. კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად. დაელაპარაკეთ მას გულწრფელად და შეეცადეთ, პრობლემები ერთობლივად გადაწყვიტოთ.

თუ მიხვდებით, რომ დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო ორგანიზმი ნელ-ნელა იფიტება, აუცილებლად დაისვენეთ და მიიღეთ მაღალკალორიული საკვები.

**დადებითი დღეები: 29 აპრილი, 9 მაისი.**
**უარყოფითი დღეები: 2, 5 მაისი.**

ევგენი სატანოვსკი:

# კანონი 9/11-ის შესახებ მსოფლიოს ააფეთქებს

**აშშ კონგრესი განიხილავს საუდის არაბეთის მოხელეთა პასუხისმგებლობის საკითხს 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერაქტებზე. ამერიკელები ამ ტრაგედიას „9/11 ტერაქტად" მოიხსენიებენ. საუდის არაბეთი კი ამერიკის შეერთებულ შტატებს ემუქრება, რომ საპასუხოდ განახორციელებს ღონისძიებებს დასაცავად თავისი ამერიკული ინვესტიციებისა, რომლებიც დაახლოებით 750 მილიარდი დოლარს შეადგენს. დაუფარავ შანტაჟად მიიჩნევს არაბების ასეთ გამოხდომას ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის პრეზიდენტი ევგენი სატანოვსკი.**


ევგენი სატანოვსკი

იგი წერს, რომ საუდელები ამერიკელებს შტატებში თავიანთი აქტივების გაყიდვით აშინებენ. ეს უეჭველად დასცემს აშშ-ის კორპორაციული და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ღირებულებას, რომლებსაც მყისვე გაიტანენ ბაზარზე.

ამასთანავე, ექსპერტი ხაზს უსვამს ამერიკელების უნარს, დაიცვან თავიანთი ეკონომიკა, რაც საპასუხო ღონისძიებებში გამოიხატება და არასასიამოვნო სიურპრიზად მოევლინება საუდელებს.

9/11 ტერაქტის შესახებ მიღებული კანონი გაასაჯაროებს მონაცემებს, რომლებიც სამხედრო წრეებისა და აშშ-ის პოლიტიკური ელიტისთვის იმთავითვე იყო ცნობილი.

ამ მონაცემებით **დასტურდება, რომ საუდის არაბეთის ხელმძღვანელობა, საგარეო დაზვერვის სამსახურის ჩათვლით, იდგა 11 სექტემბრის ტერაქტის უკან, უშუალოდ მონაწილეობდა „ალ ქაიდას" შექმნაში, მისი კვალი დასტურდება კიდევ ბევრ რამეში, რასაც ამერიკელები ბოლო 35 წლის განმავლობაში ებრძოდნენ და რასაც უამრავი სიცოცხლე შესწირეს.**

სატანოვსკი დარწმუნებულია, რომ ამ დოკუმენტების გამოქვეყნება გამოიწვევს დიდ სკანდალს და ისეთ აფეთქებას, რომელიც „საუდის არაბეთს ძალიან ძვირი დაუჯდება", ყველასთვის აშკარა გახდება, რომ სამხედრო ოპერაციებს ავღანეთისა და ერაყის წინააღმდეგ ამერიკა ამაოდ ეწეოდა, ამის ნაცვლად საუდის არაბეთთან უნდა „ემუშავა".

20 აპრილს აშშ-ის პრეზიდენტი ობამა ერ-რიადში ჩავიდა. პირველი, რაც პრესამ შეამჩნია, იყო ის, რომ **მასპინძლები სტუმარს უწინდებურად არ გადახვევიან, ცივად შეხვდნენ ამერიკის პირველ პირს.** სატანოვსკი აღნიშნავს, რომ **ურთიერთობა საუდის არაბეთსა და აშშ-ს შორის „შეიძლება აფეთქდეს" და შედეგად შეიძლება დაიშალოს „ის სტრატეგიული კავშირი, რომელიც თავის დროზე 44 წლის შეთანხმების ჩარჩოში წარმოიქმნა.**

„ცივ ომს ისე არ დაუზარალებია ამერიკელები, როგორც მეგობარ და მოკავშირე საუდის არაბეთთან ურთიერთობას. ამერიკის ისტებლიშმენტი ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად იყო ლობირებული და დაფინანსებული საუდელების მიერ. ეს შესანიშნავად ესმის ორივე მხარეს", — ასკვნის ექსპერტი **პრავდა.რუ-სთვის** მიცემულ ინტერვიუში.

## დასტურდება, რომ საუდის არაბეთის ხელმძღვანელობა, საგარეო დაზვერვის სამსახურის ჩათვლით, იდგა 11 სექტემბრის ტერაქტის უკან, უშუალოდ მონაწილეობდა «ალ ქაიდას» შექმნაში, მისი კვალი დასტურდება კიდევ ბევრ რამეში, რასაც ამერიკელები ბოლო 35 წლის განმავლობაში ებრძოდნენ და რასაც უამრავი სიცოცხლე შესწირეს


მეჰმედ კაპლანი

# შვედეთის მინისტრი, რომელმაც ისრაელელები ნაცისტებს შეადარა, გადადგა

**შვედეთის მშენებლობის მინისტრი და მწვანეთა პარტიის წევრი მეჰმედ კაპლანი გადადგა მას შემდეგ, რაც მასმედიამ იგი გააკრიტიკა იმის გამო, რომ ისრაელელები ნაცისტებს შეადარა და, აგრეთვე, მემარჯვენე ექსტრემისტული ადგილობრივი ორგანიზაციის „რუხი მგლების" მიერ გამართულ ნადიმში მონაწილეობდა. ეს ინფორმაცია გაზეთმა „ინდეპენდენტმა" გასულ სამშაბათს, 19 აპრილს გაავრცელა.**

44 წლის კაპლანმა განაცხადა, რომ ბოლო დღეების დისკუსიებმა შეუძლებელი გახადა მისი დარჩენა მინისტრის პოსტზე: „ნება მომეცით, განვმარტო, ეს არ ადასტურებს მონაცემებს ჩემს შესახებ, რომლებიც მცდარად მიმაჩნია. მე ვიცი, ვინ ვარ და რა გავაკეთე", — განაცხადა მან.

როგორც გამოცემა ადასტურებს, კაპლანი ეთნიკური თურქია, რომელიც შვედეთში მშობლებმა ერთი წლისა ჩაიყვანეს.

აპრილის პირველ ნახევარში შვედეთის საინფორმაციო წყაროებმა გამოაქვეყნეს შარშან, ზაფხულში, გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც კაპლანი ისლამისტური ორგანიზაცია „ნასიონალ ვიზიონის" წარმომადგენლებთან რამადანის დღესასწაულზე ყოფნისას არის აღბეჭდილი.

მინისტრს შეახსენეს სიტყვები, რომლებიც მან 2009 წელს წარმოთქვა, როცა პალესტინელების წინააღმდეგ ისრაელის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ნაცისტების მიერ 1930-იან წლებში ებრაელების გენოციდს შეადარა.

თურქეთის ულტრამემარჯვენე ახალგაზრდული ორგანიზაცია „რუხი მგლები" — „ჰიტლერიუგენდის" ანალოგი — 1960-იან წლებში გამოჩნდა ასპარეზზე. მისი იდეოლოგიის საფუძველთა-საფუძველი პანთურქიზმია, ოცნება დიად, სეკულარულ თურქეთზე, იმპერიაზე, რომელიც „თურანულ" ხალხებს გააერთიანებს სისხლით ნათესაობის და არა მაჰმადიანური რწმენის საფუძველზე. ამ ორგანიზაციის „ბოევიკებს" ადანაშაულებდნენ მთელ რიგ ტერაქტებსა და მკვლელობებში მონაწილეობის გამო. კერძოდ, დაჯგუფების აქტიურმა წევრმა **ალფარსლან ჩელიკმა** იკისრა პასუხისმგებლობა რუსული ბომბდამშენის მფრინავის მკვლელობაზე. „სუ-24" თურქებმა 2015 წლის 24 ნოემბერს ჩამოაგდეს.



# დონალდ ტრამპს 11 სექტემბრის ტერაქტი სასურსათო მაღაზიების ქსელში აერია

**სი-ენ-ენი იუწყება, რომ ეს შეცდომა რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ის პრეზიდენტობის პოტენციურმა კანდიდატმა დონალდ ტრამპმა ნიუ იორკის შტატის ქალაქ ბუფალოში 18 აპრილს ამომრჩევლების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში დაუშვა.**


დონალდ ტრამპი

ტრამპი შეკრებილთ უყვებოდა, რომ იმყოფებოდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ახლოს, როცა ტერორისტები ამ ობიექტს თავს დაესხნენ და საკუთარი თვალით იხილა, როგორ ასრულებდნენ პოლიციელები და მეხანძრეები თავიანთ სამუშაოს. „ისინი უდიდესი ადამიანები იყვნენ", — აღნიშნავდა იგი. ამასთანავე, მილიარდერმა ტერაქტებს, რომლებსაც ხშირად 9/11-ით მოიხსენიებენ, სულ სხვა რიცხვები მიუსადაგა — 7/11, რომლებიც მცირე სასურსათო მაღაზიების ფართო ქსელის სახელწოდებას ემთხვევა.

და არც შეუმჩნევია, რომ შეცდა.

ტრამპი, რომელიც ცნობილია თავისი ექსცენტრიკული გამოთქმებით, თავის გამოსვლებში ამგვარ შეცდომებს ხშირად უშვებს. ამა წლის მარტში **„პოლიტიკო"** იუწყებოდა, რომ ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა ერთი კვირის განმავლობაში 60 სიცრუეში ამხილეს ბატონი დონალდი. მაგალითად, სამედიცინო დაზღვევის ფასის ზრდის დინამიკაზე საუბრისას მან განაცხადა, რომ ტარიფებმა იმატა 35, 45 და 55 პროცენტით. სინამდვილეში კი დაზღვევა მხოლოდ 13,2 პროცენტით გაძვირდა.

სიცრუის ამ კორიანტელის მიუხედავად, მთელ რიგ შტატებში გამართული პრაიმერის მიხედვით, ტრამპი პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიის მქონე ყველაზე რეალური კანდიდატია რესპუბლიკური პარტიიდან. გასული კვირის ბოლოს მას ჰქონდა 744 ხმა, მის მთავარ კონკურენტ **ტედ კრუზს** —559. მარათონში ჩაბმულ პირს პრეზიდენტობის კანდიდატად წამოსაყენებლად 1237 ხმა დასჭირდება. გამოკითხვების თანახმად, ტრამპს გამარჯვების კარგი შანსი აქვს პირველად არჩევნებში.

საერთოეროვნული ყრილობები, რომლებზეც აირჩევენ პრეზიდენტობის კანდიდატებს რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიებიდან, ივლისში გაიმართება.

ქვეყნის მეთაურის არჩევნები 2016 წლის 8 ნოემბერსაა დანიშნული.

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოღუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894